

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

**ზურაბ ჭიჭელაშვილი**

სადისერტაციო ნაშრომი:

**მონეტარის დატოვება და ვალის გადაკისრება**

ხელმძღვანელი:

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი **ბ. ქირია**

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის  
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად



თბილისის  
უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

2008

## **შ ი ნ ა ა რ ს ი**

ნაშრომში გამოყენებული აბრევიატურები . . . . .	3
შესავალი . . . . .	4
<b>I თავი. მოთხოვნის დათმობისა (ცესიის) და ვალის გადაკისრების ზოგადი საკითხები</b>	
§1. მოთხოვნის დათმობისა (ცესიის) და ვალის გადაკისრების წარმოშობისა და განვითარების ისტორიული მიმოხილვა . . . . .	15
§2. მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების ადგილი სამოქალაქო სამართლის სისტემაში . . . . .	30
<b>II თავი. მოთხოვნის დათმობა</b>	
§1. მოთხოვნის დათმობის ცნება და მისი იურიდიული ბუნება. მოთხოვნის დათმობის სამართლებრივი შედეგები . . . . .	36
§2. მოთხოვნის დათმობის წინაპირობები . . . . .	53
§3. მოთხოვნის დათმობის ფორმა . . . . .	72
§4. ფიდუციალური მოთხოვნის დათმობა. საინკასო ცესია . . . . .	78
§5. ხელშეკრულების დათმობა . . . . .	85
§6. მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების სანივთო შედეგები ცალკეულ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში . . . . .	89
§7. საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე . . . . .	101
<b>III თავი. ვალის გადაკისრება</b>	
§1. ვალის გადაკისრების ცნება და მისი იურიდიული ბუნება . . . . .	115
§2. ვალის გადაკისრების წინაპირობები და სამართლებრივი შედეგები. ვალის გადაკისრება ქონების გადაცემისას . . . . .	127
<b>დასკვნა . . . . .</b>	<b>138</b>
<b>გამოყენებული ლიტერატურა და სასამართლოს გადაწყვეტილებები .</b>	<b>140</b>
<b>ბიბლიოგრაფია . . . . .</b>	<b>143</b>

### **ნაშრომი გამოყენებული აბრევიატურები:**

D. – რომის სამართლის წყაროები - დიგესტები

Gaius – რომის სამართლის წყაროები - გაიუსის ინსტიტუციები

BGH (Bundesgerichtshof) – გერმანიის უზენაესი სასამართლო

BGHZ – გერმანიის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სენატი

## შესავალი

*განსახილველი თემის აქტუალობა.*

ნორმალური, პროგრესულად განვითარებადი საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა სრულყოფილი კანონმდებლობის არსებობა. ამ სფეროში ქართული სახელმწიფოს ისტორიული მემკვიდრეობა საჭიროებს კარდინალურ გარდაქმნებს. ეს საჭიროება გამოწვეულია საქართველოს ისტორიის თავისებურებებით. ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ქართული საზოგადოება არსებობდა და ვითარდებოდა რუსული და საბჭოთა იმპერიების სივრცეში. ამ პერიოდში ქართულ საზოგადოებას თავსმოხვეული ჰქონდა იმპერიული კანონმდებლობა. ზემოაღნიშნული თავსმოხვეული სისტემისა თუ (და) ქართული ხასიათისა გამო, ქართულ საზოგადოებაში ჩამოყალიბდა გარკვეული ნიჰილიზმი კანონების მიმართ და კანონდაუმორჩილებლობის ჩვევა. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის, აგრეთვე, ამ კანონმდებლობის არასრულფასოვნება, მისი მოურგებლობა ქართულ სინამდვილესთან, ქართული საზოგადოებრივი ურთიერთობების სპეციფიკასთან. მე-20 საუკუნის სამოცდაათწლიანი საბჭოთა პერიოდის კანონმდებლობის ძირითადი დამახასიათებელი თვისება იყო იდეოლოგიისა და საბჭოთა სახელმწიფოსა და გამეფებული დიქტატურის ინტერესების დაცვა და სამსახური. ეს კიდევ უფრო აშორიშორებდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეალობას და კანონმდებლობას, განსაკუთრებით, სამოქალაქო სამართლის სფეროში. თუ თ. ნინიძეს დავესესხებით, სოციალისტური სამოქალაქო სამართალი “არსებითად საჯარო სამართალი იყო”<sup>1</sup>. შედეგად ჩამოყალიბდა პარალელური, ალტერნატიული სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ხშირად უფრო ეფექტურად მოქმედებდა კანონებში მოცემულ ნორმებთან შედარებით. ასეთებს

---

<sup>1</sup> სამოქალაქო სამართლის კოდექსი, გამომც. “სამართალი”, თბილისი, 1997, გვ. 3

მიეკუთვნებოდა ეთნიკური, გვაროვნულ-ტომობრივი ნიშნით განსაზღვრული გარკვეულ ტერიტორიაზე მოქმედი ჩვეულებითი სამართალი.

დემოკრატიული სახელმწიფოს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია ისეთი საკანონმდებლო სისტემის შექმნა, რომელიც სრულად მოიცავს საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა სფეროს, ხელს შეუწყობს საზოგადოების პროგრესს, ადამიანებში სამართლიანობის, სულიერების პრინციპებით ცხოვრებას.

ბოლო ათწლეულის პერიოდში ქართველმა მეცნიერებმა და საზოგადო მოღვაწეებმა განახორციელეს არაერთი მცდელობა, შეექმნათ თანამედროვე მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით ახალი საკანონმდებლო ბაზა. ამ მცდელობის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია 1997 წელს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღება. როგორც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, სრულყოფილი საკანონმდებლო სისტემის შესაქმნელად თაობათა მრავალწლიანი ძალისხმევაა საჭირო. კანონმდებლობის სრულყოფის პროცესი არ მთავრდება კანონის თუ სხვა ნორმატიული აქტის მიღებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ დასაწყისია ქართულ საზოგადოებაში ცივილური ურთიერთობების დამკვიდრებისა. მაგრამ მარტო დაწერილი სამართლის ნორმები ნაკლებად ქმედითია საზოგადოების მართლშეგნების ამადლებისათვის, მასში სამოქალაქო ურთიერთობების დამკვიდრებისათვის. აუცილებელია პოზიტიური სამართლის მეცნიერული კვლევა და, ამასთან, მისი მოქალაქეთა ფართო მასებში პოპულარიზაცია სხვადასხვა სახელმძღვანელოებისა თუ კომენტარების გამოცემითა და ლექცია-სემინარების ჩატარებით.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს კერძო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და საინტერესო სამართლებრივი ინსტიტუტების შედარებით-სამართლებრივ კვლევას. მასში დეტალურად არის გაანალიზებული მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების ძირითადი სამართლებრივი ასპექტები ქართული და უცხოური სამართლის მაგალითზე. იგი ერთ-ერთი პირველი მცდელობაა ერთდამიჯვე სამართლებრივი ინსტიტუტის მრავალი ქვეყნის სამართლის საფუძველზე პრაქტიკულად ყოველმომცველი გამოკვლევისა. ვიმედოვნებთ, რომ იგი წაადგება თანამედროვე ქართულ

ცივილისტიკას და შექმნის საფუძველს მომავალში სამოქალაქო სამართლის უფრო ღრმა და სრულყოფილი მეცნიერული კვლევებისათვის.

*კვლევის მიზანი და ამოცანები.*

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს კერძო სამართლის ინსტიტუტების – მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების შედარებით-სამართლებრივი კვლევა. მასში გაანალიზებულ იქნება ის ძირითადი თეორიული ცოდნა, რაც არსებობს თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში ამ ინსტიტუტებთან დაკავშირებით. უწყურადღებოდ დატოვებულ არ იქნება, აგრეთვე, პრაქტიკული მხარე საკითხისა; კონკრეტული საკითხის განხილვასთან ერთად ზოგიერთ შემთხვევაში მოცემულ იქნება მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან, განსაკუთრებით, გერმანიისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში განხილულ იქნება ძირითადად შემდეგი ამოცანები: (1) მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების წარმოშობისა და განვითარების ისტორიული მიმოხილვა; (2) მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების სამოქალაქო სამართლის სისტემაში ადგილის მიმოხილვა; (3) მოთხოვნის დათმობის ცნებისა და მისი იურიდიული ბუნების მიმოხილვა; მოთხოვნის დათმობის სამართლებრივი შედეგების მიმოხილვა; (4) ვალის გადაკისრების ცნებისა და მისი იურიდიული ბუნების მიმოხილვა; (5) ვალის გადაკისრების წინაპირობებისა და სამართლებრივი შედეგების მიმოხილვა. ვალის გადაკისრების მიმოხილვა ქონების გადაცემისას.

*სადისერტაციო ნაშრომის საგნის – მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების სამართლებრივი ინსტიტუტების მნიშვნელობა.*

სადისერტაციო ნაშრომის განსახილველი საგნის – მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების გარიგებები უდიდეს როლს თამაშობს თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებში.

ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში კრედიტორი ყოველთვის დაინტერესებულია, რაც შეიძლება ადრე და ადვილად მოახდინოს თავისი მოთხოვნის რეალიზაცია. მაგრამ ხშირად მოთხოვნა, ერთი მხრივ, ვადიანია

(ზოგჯერ – ხანგრძლივადიანიც) და, მეორე მხრივ, მთლიანად დამოკიდებულია მოვალის ნებასა თუ ქონებრივ შესაძლებლობებზე. ამიტომ კრედიტორისათვის უფრო მიზანშეწონილია, სხვა პირს დაუთმოს კუთვნილი მოთხოვნა, თუკი ეს უკანასკნელი შეპირდება დაუყოვნებელ ანაზღაურებას. თავის მხრივ, მოთხოვნის შემძენიც დაინტერესებულია გარიგებით, რადგანაც, როგორც წესი, მოთხოვნის დათმობის საზღაური მნიშვნელოვნად ნაკლებია მოთხოვნის ოდენობაზე. განსაკუთრებით, შემძენად გამოდიან საკრედიტო ორგანიზაციები ან სხვა ისეთი იურიდიული პირები, რომელთა საქმიანობის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოთხოვნის შესყიდვის გარიგებები. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ფაქტორინგული ოპერაციები, ბანკების მიერ თამასუქების დისკონტირება (შესყიდვა) მათი შემდგომი განკარგვის მიზნით.

უმნიშვნელოვანესია ე. წ. ფიდუციალური მოთხოვნის დათმობის გარიგებების როლი კრედიტორთა ინტერესების სწრაფი და ქმედითი დაკმაყოფილებისა. ფიდუციალური მოთხოვნის დათმობას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს დღევანდელ საქართველოში, ვინაიდან მეტად არადამაკმაყოფილებლად არის ორგანიზებული აუქციონის ჩატარების პროცედურა. ამის გამო ჭირს გირავნობის საგნის რეალიზაციით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. ფიდუციალური მოთხოვნის დათმობის გარიგებით მოვალე უთმობს კუთვნილ უფლებასა თუ მოთხოვნას თავის კრედიტორს იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელმა საკუთრების უფლებით იქონიოს ეს უფლება თუ მოთხოვნა მხარეებს შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად. მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ გადაწყვიტონ უფლების, მოთხოვნის შემდგომი ბედი. კერძოდ, მათ შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ გადაცემული უფლება, მოთხოვნა უნდა გაიყიდოს (ამასთან, აუცილებელი არ არის აუქციონის ჩატარება) და ამოღებული თანხებიდან მოხდეს კრედიტორის დაკმაყოფილება ან, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში უფლება, მოთხოვნა დარჩება კრედიტორს საკუთრების უფლებით.

ფიდუციალური მოთხოვნის დათმობისაგან განსხვავებით, საინკასო ცესიის შემთხვევაში მოთხოვნის დათმობა ხდება მოთხოვნის მფლობელის (ცედენტის)

ინტერესებში, კერძოდ კი, იმისათვის, რომ ცესიონერმა მოახდინოს მოთხოვნის რეალიზაცია ცედენტის სასარგებლოდ.

მეტად ხშირია პრაქტიკაში, აგრეთვე, ვალის გადაკისრების შემთხვევები. მაგალითად, საწარმოს როგორც ქონებრივი კომპლექსის გასხვისება გულისხმობს არა მარტო აქტივების გადაცემას, არამედ საწარმოს მიკუთვნებული ვალების გადაკისრებასაც. ვალის გადაკისრების გარიგება საშუალებას იძლევა, განხორციელდეს ორმხრივი ხელშეკრულების დათმობა – ანუ ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებისა და ვალდებულებების ერთდროული გადაცემა სხვა პირზე, რასაც ადგილი აქვს, მაგალითად, გამჭირავებლის მიერ გაჭირავებული ნივთის გასხვისებისას.

*სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე და კვლევის მეთოდი.*

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პირველ მცდელობას ქართული სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების ინსტიტუტების შედარებით-სამართლებრივი კვლევისა. ქართული სამოქალაქო სამართლის მეცნიერება ღარიბია მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების ინსტიტუტების შესახებ ნაშრომებით. უკანასკნელ დროს დაიწერა რამოდენიმე ნაშრომი, სადაც აღნიშნული ინსტიტუტები ზოგადად არის გაანალიზებული.

სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო კონცეფციის გამომხატველი დასკვნები და წინადადებანი ძირითადად შემდეგია:

1. უპირველეს ყოვლისა, სადისერტაციო ნაშრომში კრიტიკულად არის გაანალიზებული მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სანივთო (ქონებრივი) სამართალში განთავსება და მოცემულია ამ საკითხის გადაწყვეტის ავტორისეული მოსაზრება. კერძოდ, ავტორის აზრით, მართებული არ არის სანივთო სამართალში ვალის გადაკისრების სამართლებრივი ინსტიტუტის გადატანა. თავისთავად ვალი – ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე პასივი – არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს ქონებას სანივთო-სამართლებრივი გაგებით და, ამდენად, არც მისი გადაცემა როგორც ქონებისა არის შესაძლებელი. შესაბამისად, ვალის გადაკისრების ინსტიტუტი არ უნდა იყოს



განთავსებული კოდექსის იმ ქვეთავში, რომლის სახელწოდებაცაა – “საკუთრების უფლების შექმნა უფლებებსა და მოთხოვნებზე”. რაც შეეხება მოთხოვნის დათმობას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მხოლოდ ორი ნორმა, რომელიც მოცემულია 198-ე და 199-ე მუხლების პირველ ნაწილებში, უნდა იქნეს დატოვებული სანივთო სამართალში, ხოლო მოთხოვნის დათმობის მარეგულირებელი დანარჩენი ნორმები გადატანილ უნდა იქნეს ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში.

2. სადისერტაციო ნაშრომში მოცემულია მოთხოვნის დათმობის ცნება და გაანალიზებულია მისი იურიდიული ბუნება. მოთხოვნის დათმობა (ცესია) განმარტებულია როგორც თავდაპირველ და ახალ კრედიტორებს შორის დადებული გარიგება, რომლითაც თავდაპირველი კრედიტორი მოვალის მიმართ თავის მოთხოვნას გადასცემს (უთმობს) ახალ კრედიტორს. მოთხოვნის დათმობა ორმხრივი გარიგებაცაა – ხელშეკრულებაცაა. თავისი სამართლებრივი ბუნებით მოთხოვნის დათმობა წარმოადგენს განკარგვით გარიგებას, ვინაიდან ამ დროს ხდება არსებულ უფლებაზე უშუალო ზემოქმედება – მისი გადაცემა სხვა პირზე. ხელშეკრულების დადებით ცედენტი კარგავს მოთხოვნას და მას ერთდროულად იძენს ცესიონერი. მოთხოვნის დათმობა აბსტრაქტული გარიგებაცაა. იგი ყოველთვის უნდა განვასხვავოთ მის საფუძველად არსებული კაუზალური გარიგებისაგან, რომელიც ცედენტსა და ცესიონერს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობაცაა (ნასყიდობა, ჩუქება, გაცვლა). განსხვავებით ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემისაგან, ქართულ სამართალში მოთხოვნის დათმობა აბსტრაქტულია და იგი დამოკიდებული არ არის სამართლებრივ საფუძველზე (კაუზაზე).

3. სადისერტაციო ნაშრომში ერთმანეთისაგან გამიჯნულია მოთხოვნის დათმობისა და სუროგაციის სამართლებრივი ინსტიტუტები. კერძოდ, აღნიშნულია, რომ მოთხოვნის დათმობა – განკარგვითი გარიგებაცაა, რომლის ობიექტია კრედიტორის კუთვნილი მოთხოვნა (უფლება). იგი ხორციელდება ცედენტსა და ცესიონერს შორის დადებული კაუზალური გარიგების საფუძველზე. მოთხოვნის დათმობა, ამდენად, წარმოადგენს ცედენტის მიერ თავისი ვალდებულების შესრულებას ცესიონერის წინაშე. სუროგაციას კი ადგილი აქვს სხვისი ვალდებულების შესრულების დროს. კრედიტორზე

გადასული მოთხოვნის ოდენობა პირდაპირპროპორციულია შესრულების (გადახდის) ოდენობისა. პირიქით, მოთხოვნის დათმობის საფასური შეიძლება (და, უფრო ხშირად, ასეც არის) ნაკლები იყოს მოთხოვნის ოდენობაზე, მაგრამ ეს არ ამცირებს მოთხოვნის მოცულობას; იგი მაინც მთლიანად გადადის ცესიონერზე. სუროგაცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 372-ე მუხლის ნორმით ხორციელდება კანონის ძალით, მოთხოვნის დათმობა კი ყოველთვის მხარეთა შორის დადებული გარიგებაა. სუროგაციის დროს უკვე მოხდა გადახდა (ვალდებულების შესრულება) მესამე პირის მიერ და კანონი მხოლოდ იცავს მის ინტერესებს, როდესაც ადგენს მის მიერ განხორციელებული კრედიტორის მოთხოვნის უფლების მინიჭებას მოვალის მიმართ.

4. გერმანული სამართლის მაგალითზე სადისერტაციო ნაშრომში განხილულია საბაზრო ეკონომიკისათვის ისეთი მნიშვნელოვანი გარიგებები როგორცაა ფიდუციარული მოთხოვნის დათმობა და საინკასო ცესია. ფიდუციარული მოთხოვნის დათმობის გარიგებით მოვალე უთმობს კუთვნილ უფლებასა თუ მოთხოვნას თავის კრედიტორს იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელმა საკუთრების უფლებით იქონიოს ეს უფლება თუ მოთხოვნა მხარეებს შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად. საინკასო ცესიის შემთხვევაში მოთხოვნის დათმობა ხდება მოთხოვნის მფლობელის (ცედენტის) ინტერესებში, კერძოდ კი, იმისათვის, რომ ცესიონერმა მოახდინოს მოთხოვნის რეალიზაცია ცედენტის სასარგებლოდ.

5. სადისერტაციო ნაშრომში მოცემულია საწარმოსა და მემკვიდრეობის ნასყიდობის და ფაქტორინგის გარიგების ცნებათა ანალიზი და მათში მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების განკარგვითი შედეგები. ნაშრომში აღნიშნულია, რომ ნასყიდობის ამ სახეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი თავისი თანამედროვე სახის მიუხედავად არ იცნობს. საკანონმდებლო ვაკუუმს ვერ ავსებს “მეწარმეთა შესახებ” კანონის მე-8 მუხლით დადგენილი ნორმები ინდივიდუალური საწარმოს, სოლიდარული პასუხისმგებლობისა და კომანდიტურ საზოგადოებებში საწარმოთა შექმნის შესახებ. ამ მუხლში საუბარია არა საწარმოს გადაცემის გარიგებაზე, არამედ დადგენილია საწარმოს გადაცემის შემთხვევაში მისი ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობა.

ამდენად, ქართულ სამართალში გადაუწყვეტელია ის სამართლებრივი საკითხები, რომლებიც წამოიჭრება საწარმოს ნასყიდობის დროს ერთდროულად მოთხოვნის დათმობასა და ვალის გადაკისრებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ქართულ იურიდიულ ტერმინოლოგიაში გაურკვეველობაა სიტყვა “საწარმო“-ს ხმარებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ტერმინი უფრო კომერციული იურიდიული პირების კრებით სახელწოდებად გამოიყენება, ვიდრე ამ ცნების ნამდვილი და სწორი მნიშვნელობით. განსაკუთრებთ ამ მხრივ აღსანიშნავია “მეწარმეთა შესახებ” კანონის ტერმინოლოგია. კანონის ტერმინოლოგიის ასეთი გაურკვეველობის მიუხედავად ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში საწარმო სწორად არის მიჩნეული პირთა და ქონების ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ერთიანობად. საწარმოს ნასყიდობის ინსტიტუტის მსგავსად, მემკვიდრეობის ნასყიდობა ქართული სამართლის მიერ მოწესრიგებული არ არის. ამიტომ მემკვიდრეობის ნასყიდობის ინსტიტუტი ნაშრომში განიხილება, ერთი მხრივ, საფრანგეთის და, მეორე მხრივ, გერმანიის სამართლის მაგალითებზე. ფაქტორინგის ხელშეკრულებით ბანკი ან სხვა საკრედიტო დაწესებულება სასყიდლით იძენს სხვა პირთა კუთვნილ ფულად მოთხოვნებს. ფაქტორინგის ხელშეკრულების ცალკე გათვალისწინება ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილში არ უნდა იქნეს მიჩნეული ზედმეტად იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით იმ მოსაზრებით, რომ სანივთო სამართალში უკვე არსებობს მოთხოვნის დათმობის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები. მოთხოვნის დათმობასა და ფაქტორინგს შორის განსხვავება სწორედ რომ სამართლებრივი თვალსაზრისით უდიდესია, თუმცა ეს ორი ინსტიტუტი შეიძლება გარეგნულად ერთმანეთს ჰგავდეს. განსხვავების დასადგენად ისიც კმარა, რომ ერთი წარმოადგენს განკარგვით გარიგებას და მისი მეშვეობით ხდება საკუთრების უფლების გადაცემა მოთხოვნებსა და უფლებებზე, როდესაც მეორე – ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობაა და იგი მხოლოდ საფუძვლად (კაუზად) გვევლინება ფულადი მოთხოვნის დათმობას. ფაქტორინგის ხელშეკრულებაში მხარე, რომელიც იძენს მოთხოვნებს (ფაქტორი), შეიძლება იყოს მხოლოდ ბანკი ან სხვა საკრედიტო დაწესებულება. ფაქტორინგის ხელშეკრულების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ფულადი მოთხოვნები.

6. სადისერტაციო ნაშრომში ცალკე პარაგრაფი დათმობილია მოძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის საკითხს. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის სისტემებს ყოფენ იმ განსხვავებების მიხედვით, რომლებიც ახასიათებს, ერთი მხრივ, ტრადიციისა და კონსენსუალურ და, მეორე მხრივ, აბსტრაქტულ და კაუზალურ სისტემებს. კონსენსუალური სისტემის მიხედვით მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის საკმარისია მხარეთა შორის იმ ხელშეკრულების დადება, რომლითაც ხდება ამ უფლების გადატანა. საკუთრების უფლება შემძენზე გადასულად ჩაითვლება ხელშეკრულების დადების მომენტიდან. კონსენსუალური სისტემისაგან განსხვავებით, ტრადიციის სისტემის მიხედვით, საკუთრების უფლების გადაცემისათვის, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების გარდა, როგორც წესი, აუცილებელია ნივთის შემძენის მფლობელობაში გადაცემა. საკუთრების უფლება შემძენზე გადასულად ჩაითვლება არა ხელშეკრულების დადების, არამედ შემძენისათვის ნივთის მფლობელობაში გადაცემის მომენტიდან. საკუთრების უფლების გადაცემის სისტემების კლასიფიკაციის მეორე მეთოდი გადაცემათა სისტემებს ჰყოფს კაუზალურ და აბსტრაქტულ სისტემებად იმისდა მიხედვით, თუ რაოდენ დამოკიდებულია საკუთრების უფლების გადაცემის სამართლებრივი შედეგი მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ნამდვილობისაგან; გადადის თუ არა საკუთრების უფლება თვით ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულების (გარიგების) ძალით, თუ საკუთრების უფლების გადაცემა გამიჯნულია მის საფუძვლად დადებული ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან (გარიგებისაგან)? კაუზალური სისტემის მიხედვით, ხელშეკრულებას თავისთავად გადააქვს საკუთრების უფლება ყოველგვარი სხვა სამართლებრივი აქტისა თუ დადგენილი ფორმალობის გარეშე. ამასთან, ხელშეკრულების თავიდანვე ბათილობა ან შემდგომში მათი ბათილად ცნობა ყველა შემთხვევაში შედეგად იწვევს იმას, რომ საკუთრების უფლება თავიდანვე ვერ გადადის შემძენზე. საწინააღმდეგო რეგულირებასთან გვაქვს საქმე საკუთრების უფლების გადაცემის აბსტრაქტული სისტემის შემთხვევაში. ამ სისტემის მიხედვით საკუთრების უფლების გადაცემა ხორციელდება სპეციალური სამართლებრივი აქტის (გარიგების) მეშვეობით, რომელიც სრულად ემიჯნება ვალდებულებით-სამართლებრივ ხელშეკრულებას.

ვალდებულებით-სამართლებრივი საფუძვლის ბათილობა საკუთრების უფლების გადაცემის აქტს არ ეხება და არ აბათილებს მას; შესაბამისად, საკუთრების უფლება შემქმნე მაინც გადადის. თუმცა, ასეთი შენაძენი სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო უნდა დაუბრუნდეს გამსხვისებელს უსაფუძვლო გამდიდრების წესების ძალით.

7. სადისერტაციო ნაშრომში მოცემულია ვალის გადაკისრების ცნება და გაანალიზებულია მისი იურიდიული ბუნება. იმისდა მიხედვით, თავისუფლდება თუ არა ძველი მოვალე ვალის გადაკისრების ხელშეკრულების შედეგად თავისი ვალდებულებისაგან, განასხვავებენ ვალის გადაკისრების ორ სახეს: ა. პრივატული ვალის გადაკისრება (*die private Schuldübernahme*) და ბ. კუმულატიური ვალის გადაკისრება (*die kumulative Schuldübernahme*). პრივატული ვალის გადაკისრების დროს ძველი მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულებისაგან და მის ადგილს იკავებს ახალი მოვალე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლი). კუმულატიური ვალის გადაკისრების დროს ძველი მოვალე არ თავისუფლდება თავისი ვალდებულებისაგან. იგი რჩება ვალდებული კრედიტორის წინაშე, ხოლო მესამე პირი ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში შემოდის თანამოვალის სახით. კუმულატიური ვალის გადაკისრებას მეორენაირად შეგვიძლია ვალის დელეგირება (დელეგაცია) ვუწოდოთ. ნაშრომში დეტალურად არის განხილული ვალის გადაკისრების ინსტიტუტი საფრანგეთისა და იტალიის სამართლის მიხედვით.

სადისერტაციო ნაშრომის შექმნისას გამოყენებულ იქნა *კვლევის შედარებით-სამართლებრივი მეთოდი*. ნაშრომი არ შემოიფარგლება მარტო ქართული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის განხილვით, არამედ მასში გაანალიზებულია დასავლეთის განვითარებულ სახელმწიფოთა სამართალი და სასამართლო პრაქტიკა.

კვლევის შედარებით-სამართლებრივი მეთოდი უმნიშვნელოვანესია თანამედროვე ქართული სამოქალაქო სამართლის შესწავლისათვის, რადგანაც ეს უკანასკნელი ძირითადად დაფუძნებულია უცხო ქვეყნების სამართლის გამოცდილებაზე. აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა, უფრო ადვილად დავინახოთ ეროვნული კანონმდებლობის დადებითი და უარყოფითი მხარეები და

გაგაკეთოთ სათანადო დასკვნები კანონმდებლობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

*სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა.*

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი შეიცავს შესავალს, 3 თავს, 11 პარაგრაფს, დასკვნას, გამოყენებული ლიტერატურისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების სიასა და ბიბლიოგრაფიას.

**I თავი**  
**მოთხოვნის დათმობისა (ცხვის) და ვალის გადაკისრების**  
**ზოგადი საკითხები**

**§1. მოთხოვნის დათმობისა (ცხვის) და ვალის გადაკისრების წარმოშობისა**  
**და განვითარების ისტორიული მიმოხილვა**

ა. მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება რომის კერძო სამართლის მიხედვით

**I.**

1. მოთხოვნის გადაუცემლობა ადრეულ პერიოდში.

რომის კერძო სამართლის განვითარების ადრეულ პერიოდში<sup>2</sup> ვალდებულება მკაცრად განსაზღვრულ პირებს – კონკრეტულ კრედიტორსა და კონკრეტულ მოვალეს – შორის არსებულ ურთიერთობად მიიჩნეოდა. კრედიტორის მიერ მოვალის მიმართ თავისი მოთხოვნის გადაცემა სხვისათვის დაუშვებელი იყო:

“ვინმესათვის ერთხელ შეძენილი სტიპულაცია (მოთხოვნის უფლება) ჩვეულებრივ სხვაზე არ გადადის გარდა მემკვიდრისა.

არავინ არ შეიძლება მოქმედებდეს სხვისი სახელით ლეგისაქციურ (სასამართლო) პროცესში”<sup>3</sup>.

---

<sup>2</sup> დ. დოუდევი თავის სახელმძღვანელოში – “Римское частное право” (1997წ.) რომის სამართალს ჰყოფს 5 პერიოდად:

1. არქაული (753-367 ჩვ. წ. აღ-მდე);
2. წინაკლასიკური (367-17 ჩვ. წ. აღ-მდე);
3. კლასიკური (17-235 ჩვ. წ. აღ-ით);
4. პოსტკლასიკური (IV-VII); იუსტიცინიანეს (527-565წწ.) პერიოდები

<sup>3</sup> D. 7.1.25.2; D. 50.17.123pr

ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში ნებისმიერი მხარის შეცვლა შესაძლებელი იყო მხოლოდ ნოვაციის მეშვეობით, რომლის ძალითაც ნოვირებული ვალდებულება წყდებოდა და მის ადგილას წარმოიშვებოდა ახალი ვალდებულება. მაგრამ თანდათან სავაჭრო ურთიერთობების გაცხოველებამ მოითხოვა ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნის ან უფლების გადაცემა ვალდებულების შინაარსის შეცვლის გარეშე.

## 2. *Procurator in rem suam* – წარმომადგენელი თავის ინტერესებში.

*Procurator in rem suam*-ის პროცესუალური ინსტიტუტი ცესიის განვითარების გზაზე პირველი ნაბიჯი იყო. მისი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ სასამართლოში საქმის წარმოების დროს ცესიონერი მოთხოვნის წარდგენას ახორციელებდა ცედენტის სახელით და გამოდიოდა როგორც მისი წარმომადგენელი. თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილება მიიღებოდა ცესიონერის მიმართ:

“ის, ვინც წარადგენს სარჩელს სხვისი სახელით, დავალებას იღებს მარწმუნებლისაგან, ხოლო იძულებით აღსრულებას თავად ახორციელებს. თუ, მაგალითად, ლუციუს ტიციუსი წარადგენს სარჩელს პუბლიუს მევიუსის მაგივრად, მაშინ ფორმულა შედგება შემდეგნაირად: “თუ აღმოჩნდება, რომ ნუმერიუს ნეგიდუსმა პუბლიუს მევიუსს უნდა მისცეს ათი ათასი, მაშინ, მოსამართლეე, დააკისრე ნუმერიუს ნეგიდუსს, გადაუხადოს ლუციუს ტიციუსს ათი ათასი სესტერცია. თუ აღნიშნული არ აღმოჩნდება, მაშინ გაამართლე“. სანივთო სარჩელის წარდგენით წარმომადგენელი პროცესზე ამბობს: “ესა და ეს ნივთი კვირიტული სამართლის თანახმად ეკუთვნის პუბლიუს მევიუსს“ და თავის თავზე იღებს იძულებით აღსრულებას”<sup>4</sup>.

“(ულპიანე) §3 მემკვიდრეობის გაყოფის შესახებ სარჩელში ყოველი მემკვიდრე წარმოადგენს მოსარჩელე მხარესაც და მოპასუხის მხარესაც. ერთი პირი მეორეს უთმობს (დავალებას აძლევს - *mandat*) მოთხოვნას და ხდის მას “რწმუნებულად, რომელიც მოქმედებს თავის სასარგებლოდ”<sup>5</sup>.

მაგრამ *Procurator in rem suam*-ს ერთი ნაკლი ჰქონდა: ცედენტის გარდაცვალების შემთხვევაში ეს რწმუნებულებაც ავტომატურად წყდებოდა,

<sup>4</sup> Gaius 4.86

<sup>5</sup> D. 10.2.2.5



რასაც შედეგად მოჰყვებოდა ცესიის გაუქმება. ასევე ნებისმიერ დროს ცედენტს შეეძლო უარი ეთქვა წარმომადგენლობაზე, რაც არასტაბილურს ხდიდა ცესიონერის უფლებრივ მდგომარეობას. ამიტომ პრაქტიკაში შემუშავდა **remedia**, კერძოდ, წესი, რომლის თანახმადაც თუ წარმომადგენელმა უკვე წარადგინა სარჩელი, მაშინ მოვალის მიერ ამ სარჩელზე პასუხის შემდეგ წარმომადგენლის უფლებამოსილება შეიძლება გაუქმებულიყო მხოლოდ საპატიო მიზეზების არსებობისას – **causa cognita**<sup>6</sup>.

3. *In iure cessio hereditatis* – სამკვიდრო მასის სასამართლო წესით დათმობა.

“თუ ის, ვიზეც კანონით გადადის მემკვიდრეობა (XII ტაბულის კანონის ძალით), მემკვიდრეობის მიღებამდე ე. ი. მანამდე, სანამ გახდება მემკვიდრე, მას *in iure* (სასამართლო წესით) დაუთმობს სხვას, მაშინ ის, ვისაც დაუთმეს მაგისტრატის წინაშე, ხდება მემკვიდრე ისე, თითქოს იგი ყოფილიყო მოწვეული მემკვიდრეობის მისაღებად კანონის ძალით; ხოლო თუ პირველი მემკვიდრეობას დაუთმობს მისი მიღების შემდეგ, მაშინ მაინც იგი იღებს მემკვიდრეობას და ამიტომ იგი იქნება პასუხისმგებელი კრედიტორის წინაშე, ხოლო ვალები – ქარწყლდება: ამით მემკვიდრის მოვალეები იღებენ სარგებელს, ხოლო სამემკვიდრეო მასა გადადის იმაზე, ვისაც უთმობენ, სრულიად ისე, თითქოს ცალკეული საგნები მას გადაეცა მოსამართლე პრეტორის წინაშე”<sup>7</sup>.

როგორც ამ ციტატიდან ჩანს, წყაროები განასხვავებს სამკვიდრო მასის ორი სახის დათმობას:

1. სამკვიდროს მიღებამდე და
2. დათმობას მიღების შემდეგ.

პირველ შემთხვევაში შემძენს გადაეცემოდა მემკვიდრეობის უფლება – გამსხვისებლის სამართლებრივი მდგომარეობა, – რის შედეგად შემძენი ხდებოდა მემკვიდრე. ამ უკანასკნელზე გადადიოდა როგორც სამკვიდრო მასას მიკუთვნებული უფლებები და მოთხოვნები, ისე – ვალდებულებებიც. შესაბამისად, ამ დროს ხდებოდა უნივერსალური სამართალმემკვიდრეობა.

<sup>6</sup> Римское частное право – Под ред. проф. И. Б. Новицкого и проф. И. С. Перетерского. – М. Юристъ, 1996, გვ. 306

<sup>7</sup> Gaius 2.35

განსხვავებულ მოწესრიგებასთან გვაქვს საქმე, როდესაც მემკვიდრე სამკვიდრო მასას ასხვისებდა მისი მიღების შემდეგ: ვალებისათვის იგი რჩებოდა პასუხისმგებელი, ხოლო შემძენზე გადადიოდა მხოლოდ სამკვიდრო მასაში შემავალი ცალკეული ნივთები – *res corporales*; რაც შეეხება არამატერიალურ აქტივებს – სავალო მოთხოვნებს, ისინი შემძენზე არ გადადიოდა.

მოთხოვნის ცესია ხორციელდებოდა პროცესუალური წარმომადგენლობის მეშვეობით<sup>8</sup>:

“ვალდებულებების მიმართ, რა სახითაც არ უნდა იყოს ისინი დადებული, არ გამოიყენება ზემოთხსენებული საკუთრების უფლების შექმნის არ ერთი ხერხი; კერძოდ, თუ მე მინდა, რომ ჩემთვის განკუთვნილი შენ გეკუთვნოდეს, მაშინ მე არანაირი იმ საშუალებით, რომლითაც მეორეზე გადადის ფიზიკური ნივთი, ამის მიღწევა არ შემიძლია, მაგრამ აუცილებელია, რომ ჩემი სურვილით შენ მოახდინო ამ ვალის სტიპულირება ჩემი მოვალისაგან, რის შედეგადაც იგი თავისუფლდება იმ ვალისაგან, რომელიც მე მეკუთვნის და ხდება შენი მოვალე, რასაც ეწოდება ვალდებულების ნოვაცია”<sup>9</sup>.

#### 4. მოთხოვნის ნასყიდობა.

თანდათანობით ისტორიულ განვითარებასთან ერთად *in iure cessio hereditatis*-ის ნაცვლად რომის სამართლის წყაროები იყენებს მემკვიდრეობის ნასყიდობის ცნებას.

“2. (უღპიანე) უნდა აღვნიშნოთ, თუ რას ექცევა ყურადღება მემკვიდრეობის გაყიდვის დროს: ეს არის სამკვიდროს ის მასა, რაც არსებობდა გარდაცვალების ან სამკვიდროს მიღების დროს, ან მემკვიდრეობის გაყიდვისას. და სწორია, დაცული იქნეს ის, რაც დადგენილია გარიგებაში: უმეტეს შემთხვევებში გარიგებები, როგორც ჩანს, იდება ისეთნაირად, რომ გაყიდულად ჩაითვლება ის, რაც შეიტანება მემკვიდრეობაში გაყიდვის განხორციელების დროისათვის.

7. (პავლე) თუ ვინმე გაყიდის მემკვიდრეობას, მაშინ მემკვიდრეობა უნდა არსებობდეს, რათა მოხდეს ყიდვა, რადგანაც იყიდება ნივთი და არა

<sup>8</sup> Римское частное право – Д. В. Дождев, инфра, М-норма, 1997, გვ. 565

<sup>9</sup> Gaius 2.38

შესაძლებლობა როგორც ნადირობის ან მსგავსის ყიდვის დროს; თუ ნივთი არ არსებობს, მაშინ შეძენის ხელშეკრულება არ დადებულა, ხოლო ფასი უნდა დაბრუნდეს. . .<sup>10</sup>”

არა მარტო სამკვიდრო მასას მიკუთვნებული აქტივები, არამედ ფულადი ვალდებულებებიც ხდება ნასყიდობის საგანი:

“17. (ულპიანე) იმ პირთა ვალებს, ვინც მოვალენი არიან პირობითად ან ვინაც ვალდებულნი არიან გადაიხადონ გარკვეული ვადის დადგომისთანავე, – ჩვენ ჩვეულებრივ ვყიდულობთ და ვყიდით, რადგანაც საგანი არის ისეთი, რომლის ყიდვა და გაყიდვა შესაძლებელია. . .<sup>11</sup>

მოთხოვნის უფლების გაყიდვის დროს გამყიდველი პასუხს არ აგებდა მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებისათვის, თუმცა იგი პასუხისმგებელი იყო თვით გასხვისებული მოთხოვნის არსებობისათვის, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

“4. (ულპიანე) თუ მოხდა მოთხოვნის უფლების გასხვისება, მაშინ ცელსი დიგესტების მე-9 წიგნში წერს, რომ არ წარმოიშობა (გამყიდველის) პასუხისმგებლობა იმაზე, რომ მოვალე გადახდისუნარიანია, მაგრამ წარმოიშობა პასუხისმგებლობა იმაზე, რომ არსებობს მოვალე, (თუ შეთანხმებით სხვა რამე არ არის დადგენილი),

23. (გერმოგენიანე) თუ ვინმემ გაყიდა სარჩელი, რომელიც მას აქვს ძირითადი მოვალის წინააღმდეგ, მაშინ იგი ვალდებულია დათმოს ყველა უფლება, რომელიც მას ეკუთვნის ამ სასამართლო საქმეში როგორც თვით მოვალის წინააღმდეგ, ისე ამ ვალის თავდების წინააღმდეგ, (თუ მხარეებმა საწინააღმდეგო არ გაითვალისწინეს). §1. ყველაფერი, რაც სავალ მოთხოვნის გამყიდველმა მიიღო გაქვითვით ან ქონებაზე იძულებითი აღსრულებით, – იგი ვალდებულია სრული მოცულობით დაუბრუნოს მყიდველს“<sup>12</sup>.

##### *5. მოვალისათვის შეტყობინება (Denuntiatio).*

<sup>10</sup> D. 18.4.2; D. 18.4.7

<sup>11</sup> D. 18.4.17

<sup>12</sup> D. 18.4.4; D. 18.4.23

მოთხოვნის დათმობის შესახებ მოვალის შეტყობინებით ცედეტი კარგავდა დათმობილ მოთხოვნაზე უფლებას და ამ უფლებას საბოლოოდ მოიპოვებდა ცესიონერი. **Denuntiatio** განვითარდა იუსტინიანეს ეპოქაში და იგი აისახა იუსტინიანეს კოდექსის (**Codex Iustiniani**) ცალკე ნორმაში. მისი ჩამოყალიბებით მოთხოვნის დათმობის რომისსამართლისეულმა ინსტიტუტმა დასრულებული სახე მიიღო<sup>13</sup>.

## II.

მოთხოვნის დათმობის ცნება (**Cessio**).

მოთხოვნის დათმობის ცნება თითქმის არ შეცვლილა ორი ათასი წლის მანძილზე. ამ სამართლებრივი ინსტიტუტის რომისსამართლისეული ცნება პრაქტიკულად იდენტურია თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნების კანონმდებლობებსა და სამართლის მეცნიერებაში მოცემული განმარტებებისა.

მოთხოვნის დათმობა (**cessio**) არის გარიგება, რომლითაც თავდაპირველი კრედიტორი (ცედეტი) უთმობს ახალ კრედიტორს (ცესიონერი) თავის მოთხოვნას მოვალის მიმართ.

სხეულებრივი ნივთების გადაცემის მსგავსად (**traditio**), მოთხოვნის დათმობა რომის სამართალში აბსტრაქტულ გარიგებად მიიჩნეოდა<sup>14</sup>. მოთხოვნაზე საკუთრების უფლების გადაცემა დამოკიდებული არ იყო ცესიის საფუძვლისაგან – **causa**. რომის სამართალი მკაცრად მიჯნავდა ამ ორ გარიგებას. მოთხოვნა შეიძლებოდა გადაცემულიყო ნასყიდობის, ჩუქების, გაცვლის და სხვა გარიგების საფუძველზე, მაგრამ, გარდა რამოდენიმე გამონაკლისისა, მოთხოვნა შემძენზე გადადიოდა ამ საფუძველების ბათილობის მიუხედავად. გამონაკლისებს რომის სამართალი მიაკუთვნებდა მეუღლეთა შორის ჩუქებასა და ქალის მიერ ნივთის გადაცემას **intercessio**-თი ვალის

<sup>13</sup> Римское частное право – Под ред. проф. И. Б. Новицкого и проф. И. С. Перетерского. დასახელებული ნაშრომი, გვ. 311

<sup>14</sup> Система римского гражданского права – Ю. Барон, Книга IV, Обязательственное право, С-Петербург, 1899, გვ. 113; Обязательственное право – Генрих Дернбург, Москва, 1911, გვ. 132

გადახდის მიზნით. ამ უკანასკნელ შემთხვევებში რომის სამართალი თავად მიზნის ბათილობას აღიარებდა<sup>15</sup>.

რა მომენტში ითვლებოდა მოთხოვნა გადაცემულად და ცესიონერი მოვალის კრედიტორად? ეს იყო ძველ და ახალ კრედიტორთა შორის შეთანხმების მომენტი. შეთანხმების ძალით ძველი კრედიტორი კარგავდა კუთვნილ მოთხოვნას და მასზე უფლებას იძენდა ცესიონერი. ამდენად, ძველი კრედიტორის მიერ ცესიის შემდეგ იგივე მოთხოვნის სხვისათვის დათმობა სამართლებრივი ძალის არმქონედ ითვლებოდა. მანამდე, სანამ მოთხოვნის დათმობის შესახებ ეცნობებოდა მოვალეს (*denuntiatio*), ამ უკანასკნელს შეეძლო ვალდებულების შესრულება ძველი კრედიტორის მიმართ და ეს შესრულება ითვლებოდა სათანადო შესრულებად.

### III.

მოთხოვნის დათმობის დასაშვებობა. ცესიის საგანი.

რომის სამართლის დოქტრინა აღიარებდა მოთხოვნის დათმობის თავისუფლებას. როგორც წესი, ნებისმიერი მოთხოვნა (უფლება) შეიძლება ყოფილიყო ცესიის საგანი, თუ მას რაიმე ქონებრივი ღირებულება ჰქონდა. თუმცა საერთო წესიდან არსებობდა გამონაკლისები, როდესაც მოთხოვნის დათმობა გამორიცხული იყო.

გადაცემადი იყო თუ არა მოთხოვნა, ეს, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებული იყო თვით მოთხოვნის (უფლების) შინაარსზე, კერძოდ, იმაზე, თუ რაოდენ აუცილებელი იყო კრედიტორის მონაწილეობა ვალდებულების შესრულებისათვის (მკაცრად პირადული მოთხოვნები). ასეთი მოთხოვნების მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნეს სარჩო – *alimenta*<sup>16</sup>.

დაუშვებელი იყო მოთხოვნის დათმობა უფრო ძლიერისათვის (პოტენტიორ), რომლის სოციალური მდგომარეობა შეუძლებელს გახდიდა მოვალის მიერ მის წინააღმდეგ სასამართლოში დავის წარმოებას<sup>17</sup>.

<sup>15</sup> Система римского гражданского права – Ю. Барон, Книга II - Владение. Книга III - Вещные права, С-Петербург, 1908, გვ. 47-48; Вещное право – Генрих Дернбург, т. II, С-Петербург, 1905, გვ. 115

<sup>16</sup> Обязательственное право – Генрих Дернбург, Москва, 1911, გვ. 134

<sup>17</sup> Ю. Барон, Книга IV, დასახელებული ნაშრომი, გვ. 117

მოთხოვნის დათმობა შეიძლება გამორიცხულ ყოფილიყო კრედიტორსა და მოვალეს შორის ხელშეკრულებით – *pacta de non cedendo*<sup>18</sup>.

უცილოდ ბათილად ითვლებოდა მოთხოვნის დათმობა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

#### IV.

ურთიერთობები ცესიონერსა და მოვალეს შორის.

მოთხოვნა იმ მდგომარეობაში გადადიოდა ცესიონერზე, რა სახით და მოცულობითაც იგი არსებობდა ცედენტის ხელში. თუ, მაგ., დათმობამდე მოთხოვნა პირობითი იყო, ცესიონერი იძენს პირობაზე დამოკიდებულ მოთხოვნას. თუ მოთხოვნა შეადგენდა 100 სესტერციის სესხს, ცესიონერზეც გადადიოდა 100 სესტერციის მოთხოვნის უფლება იმისდა მიუხედავად, რომ შეიძლება ეს მოთხოვნა მას დათმობოდა უფრო ნაკლებ საზღაურად. ამდენად, ცესიონერს მოთხოვნის გამოყენება შეეძლო ისევე როგორც ცედენტს.

თუ მოთხოვნა უზრუნველყოფილი იყო აქცესორული უფლებებით – თავდებობა, გირავნობა, იპოთეკა, ეს უფლებებიც უცვლელად გადადიოდა ცესიონერზე. რაც შეეხება პრივილეგიებს, ისინი მიჰყვებოდა ძირითად ვალდებულებას იმ შემთხვევაში, თუ პრივილეგიები დაკავშირებული იყო ვალდებულებასთან, თუნდაც ისინი დადგენილი ყოფილიყო პირადად ცედენტისათვის. მაგრამ ცესიონერი არ იძენდა იმ პრივილეგიებს, რომლებიც ექნებოდა პირადად ცედენტს ქონებაზე იძულებითი აღსრულების ან გაკოტრების საქმის წარმოების დროს<sup>19</sup>. ასეთ პრივილეგიებს ეწოდებოდა *privilegium exigendi personae*. პროფესორი ი. ბარონი ამ პრივილეგიების გამორიცხვას გაუმართლებლად მიიჩნევდა<sup>20</sup>.

რომის სამართლის წყაროები არ იძლევა პასუხს კითხვაზე, შეეძლო თუ არა ცესიონერს ესარგებლა თავისი პირადი პრივილეგიებით. დოქტრინა ამ

<sup>18</sup> Генрих Дернбург, დასახელებული ნაშრომი, იქვე

<sup>19</sup> Генрих Дернбург, დასახელებული ნაშრომი, გვ. 136

<sup>20</sup> დაწვრილებით იხ. Ю. Барон, Книга IV, დასახელებული ნაშრომი, გვ. 115

საკითხს უარყოფითად წყვეტდა იმ საფუძვლით, რომ მოვალე ცესიონერის პირადი პრივილეგიების გამოყენების შედეგად ზარალს განიცდიდა<sup>21</sup>.

ცესია არ აუარესებდა მოვალის მდგომარეობას. მოვალეს შეეძლო ცესიონერისათვის წარედგინა ის შესაგებელი, რომელიც მას ჰქონდა ცედენტის მიმართ ცესიის შესახებ შეტყობინების მომენტამდე. ამასთან, თუ მოვალემ ცესიონერის მიმართ აღიარა თავისი ვალის არსებობა, მაშინ მას აღარ შეეძლო ესარგებლა ცედენტის წინააღმდეგ პირადი შესაგებელით<sup>22</sup>.

## V.

ურთიერთობები ცედენტსა და ცესიონერს შორის.

ცედენტსა და ცესიონერს შორის უფლება-ვალდებულებები განისაზღვრებოდა მათ შორის არსებული ხელშეკრულებით, რომელიც მოთხოვნის დათმობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა (*causa cessionis*).

მოთხოვნის გამყიდველი პასუხისმგებელი იყო იმაზე, რომ მოთხოვნა რეალურად არსებობს და ნამდვილია (*nomen verum*), მაგრამ პასუხს არ აგებდა მოთხოვნის რეალიზაციისათვის (*nomen bonum*). არც მჩუქებელი და არც ლეგატი ვალდებული პირი პასუხს არ აგებდნენ მოთხოვნის არსებობისა თუ მისი რეალიზაციის შესაძლებლობისათვის ამ გარიგებათა უსასყიდლობის გამო<sup>23</sup>. მჩუქებელი პასუხისმგებელი იყო მხოლოდ განზრახვისათვის – *dolus*<sup>24</sup>.

რომის სამართალი იცნობს შემთხვევებს, როდესაც ცესიის გარიგება თავისთავად აკისრებდა მხარეებს განსაზღვრულ ვალდებულებებს, კერძოდ, ცედენტს ყოველთვის ეკისრებოდა:

- ა) მოთხოვნის რეალიზაციის საკმეში ცესიონერის ხელშეწყობა, რომელიც ძირითადად გამოიხატებოდა მტკიცებულებათა საშუალებების მიწოდებაში,

<sup>21</sup> Ю. Барон, Книга IV, დასახელებული ნაშრომი, იქვე

<sup>22</sup> Генрих Дернбург, დასახელებული ნაშრომი, გვ. 138

<sup>23</sup> Ю. Барон, Книга IV, დასახელებული ნაშრომი, გვ. 116

<sup>24</sup> Генрих Дернбург, დასახელებული ნაშრომი, გვ. 140

- ბ) ცესიონერისათვის გადაეცა ყველაფერი, რასაც იგი მოვალისაგან მიიღებდა<sup>25</sup>,
- გ) გარდა ამისა, გადაეცა დათმობილი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები, მაგ., გადაეცა მის მფლობელობაში არსებული დაგირავებული ნივთი, თუ ამით არ ირღვეოდა მისი ვალდებულება დამგირავებლის მიმართ<sup>26</sup>.

## VI.

ვალის გადაკისრება.

ვალის გადაკისრება – ე. ი. სინგულარული სამართალმემკვიდრეობა ვალებში რომის სამართლისათვის უცნობი იყო. *ius civile* დაუშვებლად მიიჩნევდა მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების სხვა პირზე გადატანას თვით შინაარსის შეცვლის გარეშე. მართალია, რომის სამართლისათვის ცნობილი იყო სხვისი ვალის კისრების ისეთი ინსტიტუტი როგორცაა *expromissio*<sup>27</sup>, მაგრამ ამ გარიგების დროს ხდებოდა ვალდებულების ნოვაცია, რომელიც დროსაც ძველ მოვალესთან არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა წყდებოდა და მის მაგივრად წარმოიშვებოდა ახალი ურთიერთობა ახალ მოვალესთან; ამ დროს ძველი მოვალის მიმართ არსებული მოთხოვნის შეწყვეტასთან ერთად წყდებოდა მისთვის დადგენილი აქცესორული უფლებები და თანაც ახალი ვალდებულების მიმართ აღარ შეიძლებოდა იმ შესაგებლის დაპირისპირება, რომელიც არსებობდა წინა მოთხოვნის მიმართ<sup>28</sup>.

ბ. მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების ინსტიტუტების განვითარება შუა საუკუნეებსა და უახლეს პერიოდში.

### I.

<sup>25</sup> Ю. Барон, Книга IV, დასახელებული ნაშრომი, იქვე

<sup>26</sup> Генрих Дернбург, დასახელებული ნაშრომი, გვ. 139

<sup>27</sup> Expromissio გულისხმობდა სხვა პირის ვალის კისრებას ისე, რომ მოვალე თავისუფლდებოდა ვალდებულებისაგან. Expromissio-გან განსხვავებით, adpromissio მდგომარეობდა სხვა პირის ვალის კისრებას დამატებითი მოვალის სახით ისე, რომ ძველი მოვალე არ თავისუფლდებოდა ვალდებულებისაგან.

<sup>28</sup> Ю. Барон, Книга IV, დასახელებული ნაშრომი, გვ. 120



ზემოაღნიშნული რომისსამართლისეული მიღწევები მოთხოვნის დათმობის ინსტიტუტის განვითარებაში სრულად იქნა გაზიარებული შუა საუკუნეების გერმანული საერთო სამართლის მიერ. მართალია, საწყის ეტაპზე მოთხოვნათა დათმობა დასაშვებად მიიჩნეოდა მხოლოდ მოვალის თანხმობით<sup>29</sup>, მაგრამ შემდგომში პანდექტიკის განვითარებასთან ერთად აღიარებულ იქნა მოთხოვნათა გადაცემის შესაძლებლობა ასეთი თანხმობის გარეშეც.

XVIII-IX სს. გერმანულ სამართალში დაძლეულ იქნა, აგრეთვე, ვალის გარიგებით გადაცემის შეუძლებლობის რომისსამართლისეული პოზიცია. გარკვეული პირობების არსებობისას დაშვებულ იქნა მოვალის მიერ მასზე დაკისრებული ვალის სხვა პირისათვის გადაცემა. ამდენად, როგორც მოთხოვნის დათმობის, ისე ვალის გადაკისრების ინსტიტუტები გათვალისწინებულ იქნა მე-19 საუკუნის ბოლოს მიღებულ გერმანიის სამოქალაქო კოდექსში.

## II.

გერმანული სამართლისაგან განსხვავებულად იქნა აღქმული და ჩამოყალიბებული მოთხოვნის დათმობის ინსტიტუტი ფრანგულ სამართალში, რომელიც ამ საკითხში სრულად დაეყრდნო რომის სამართლის დოქტრინას. კერძოდ, 1804 წლის საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი (Code Civil) არ იცნობს ვალდებულებათა გადაცემის (დათმობის) ზოგადი გარიგების ცნებას. მოთხოვნებსა და უფლებებს იგი მიიჩნევს ნასყიდობის ხელშეკრულების საგნად და ამიტომ მათ გადაცემასაც არეგულირებს არა ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში, არამედ – ნასყიდობის ტიტულში (მე-6 ტიტული „ნასყიდობის შესახებ“). შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსი მოთხოვნისა და უფლების გადაცემას ითვალისწინებს მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. ამით კანონმდებელმა იმთავითვე დაუშვა ხარვეზი იმ თვალსაზრისით, რომ არ გაითვალისწინა მოთხოვნის ან უფლების სხვა კაუზით, სხვა გარიგების საფუძველზე გადაცემის შესაძლებლობა. მოთხოვნა და უფლება შეიძლება გადაცემულ იქნეს როგორც სასყიდლით, ისე უსასყიდლოდაც (მაგ., ჩუქების

---

<sup>29</sup> Lehrbuch des Bürgerlichen Rechts von Dr. Ludwig Enneccerus, Dr. Theodor Kipp und Dr. Martin Wolff, Erster Band, zweite Abteilung: Recht der Schuldverhältnisse von Dr. Ludwig Enneccerus, Marnburg, R. G. Elmert'sche Verlagsbuchhandlung (G. Bramm), 1923, გვ. 227

შემთხვევაში). თუმცა, ეს ხარვეზი პრაქტიკაში არ გამხდარა მათი სხვა გარიგებით გადაცემის ხელისშემშლელი, თუ ეს სურდათ ხელშეკრულების მხარეებს. იმის მიზეზი, რომ მოთხოვნის დათმობა – ყოველთვის ნასყიდობაა, წერენ ცვაიგერტი და კიოტცი, მდგომარეობს იმაში, რომ საფრანგეთში მოთხოვნის დათმობა „არასოდეს არ განიხილებოდა როგორც “აბსტრაქტული” გარიგება, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით არ არის დამოკიდებული ძირითადი გარიგებიდან წარმოშობილი ვალდებულებებისაგან“<sup>30</sup>.

რაც შეეხება ვალის გადაკისრების გარიგებას, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა კოდექსმა იგი ასევე რომის სამართლის გავლენით არ ცნო და დაუშვებლად მიიჩნია.

### III.

საქართველოში მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების სამართლებრივი ინსტიტუტები რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს სამეფოებისა და სამთავროების დაპყრობასთან ერთად შემოვიდა. თავად რუსეთის იმპერიაში მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისში მის დაცემამდე მოქმედებდა კანონთა კრებული (Свод Законов), რომლის მე-10 ტომის პირველ ნაწილს წარმოადგენდა სამოქალაქო კანონთა კრებული.

სამოქალაქო კანონთა კრებული (Свод Законов Гражданских) სტრუქტურით შეესაბამება ინსტიტუციურ სისტემას და შედგება შესავალი ნაწილისა და ოთხი წიგნისაგან.

სამოქალაქო კანონთა კრებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებას ან მოთხოვნას მიიჩნევდა მოძრავ ქონებად და მას უწოდებდა “სავალო ქონებას” (Долговое имущество). სავალო ქონებას კანონი მიაკუთვნებდა, აგრეთვე, ქონებრივ სარჩელებს სხვა პირების მიმართ (მუხლები 418-419).

რუსეთის იმპერიის დროინდელი ოფიციალური იურიდიული კომენტარი, რომელიც გამოხატული იყო სენატის განმარტებებში, აღიარებდა მოთხოვნის

---

<sup>30</sup> К. Цвайгерт и Х. Кетц - Введение в Сравнительное Правоведение в Сфере Частного Права, т. 2, Москва, 1998, გვ. 168

დათმობის თავისუფლებას კანონით დადგენილ ფარგლებში<sup>31</sup>. სენატის განმარტებების თანახმად, ასევე დაუშვებელი იყო წმინდა პირადული ხასიათის მოთხოვნების დათმობა. მოთხოვნის დათმობისათვის, როგორც წესი, მოვალის თანხმობა სავალდებულო არ იყო. მაგრამ იგი მოითხოვებოდა მხოლოდ იმ მოთხოვნათა გადაცემის დროს, რომლებიც დაკავშირებული იყო მოვალის პიროვნებასთან, ან თანხმობის საჭიროების შესახებ მითითებულია ხელშეკრულებაში<sup>32</sup>.

საინტერესოა, რომ სენატის განმარტებები დასაშვებად მიიჩნევს იჯარის უფლების გადაცემას, რადგანაც ამ უფლებას იგი მოძრავს ქონებად მიიჩნევს. კერძოდ, მასში აღნიშნულია:

“მოიჯარეს უფლება აქვს საიჯარო ქონება გადასცეს სხვა პირს მესაკუთრის თანხმობის გარეშე, თუ ამის შესახებ არ არის პირდაპირი აკრძალვა ხელშეკრულებაში. თუ გაქირავებული ქონების მესაკუთრის წინაშე პასუხისმგებელი რჩება თავდაპირველი მოიჯარე, მაშინ იჯარის<sup>33</sup> გადაცემა შესაძლებელია ქონების მესაკუთრის თანხმობის გარეშეც; ხოლო თუ ყველა ვალდებულება გადადის ქვემოიჯარეზე, მაშინ ამაზე საჭიროა ქონების მესაკუთრის თანხმობა. მესაკუთრის მონაწილეობის გარეშე დადებული ქვეიჯარის ხელშეკრულება ურთიერთობებს ადგენს მხოლოდ მოიჯარესა და ქვემოიჯარეს შორის და არ აძლევს ამ უკანასკნელს არავითარ უფლებას ქონების მესაკუთრის მიმართ, თუნდაც ქვეიჯარა დაიდო ისე, რომ ეს უფლება გათვალისწინებული იყო ქონების მესაკუთრესა და თავდაპირველ მოიჯარეს შორის დადებულ ხელშეკრულებაში. მოიჯარეს მიერ თავდაპირველი იჯარის ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში ქვეიჯარის ხელშეკრულება თავისთავად უქმდება.

იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადასახდელებზე უფლების დათმობის ხელშეკრულება არ წარმოადგენს იჯარით გადაცემული ქონების თაობაზე ხელშეკრულებას, არამედ – მოძრავი ქონების დათმობას და იგი

<sup>31</sup> Законы Гражданские (Свод Законов т. X ч. 1) С Объяснениями по решениям гражд. деп. правительствующего сената по 1915 г. включительно, Екатеринославль, 1916, гл. 266

<sup>32</sup> Законы Гражданские, დასახელებული ნაშრომი, იქვე

<sup>33</sup> იგულისხმება: “იჯარის ურთიერთობიდან გამომდინარე უფლება”

სავალდებულოა მხოლოდ დამდებ მხარეთათვის და მათი სამართალმემკვიდრეებისათვის, მაგრამ არა მესამე პირებისათვის”.

სამოქალაქო კანონთა კრებულის 2058-ე მუხლი ითვალისწინებს საყმო და სახლების სავალო საბუთების დათმობას:

“საყმო და სახლების სავალო საბუთები გირავნობის გარეშე გამსესხებელს შეუძლია ვადამდე და ვადის გასვლის შემდეგ გადასცეს სხვას, ვისაც სურს თავისი ფული გადაუხადოს მსესხებლის მაგივრად და მიიღოს უფლება გადაახდევინოს მას გამსესხებელზე მიმართვის გარეშე”.

ამ მუხლის ოფიციალური კომენტარი აფართოებს დათმობის საგნის წრეს და მასში აერთიანებს ყველა ხელშეკრულებას, რომელიც შეიძლება გადაცემულ იქნეს ხელშეკრულების მეორე მხარის თანხმობის გარეშე, “მაგრამ არა მაშინ, როდესაც ასეთი თანხმობა მოითხოვება ხელშეკრულების ბუნებით ან როდესაც გადაცემისათვის კანონით დადგენილია განსაკუთრებული წესი”<sup>34</sup>.

სამოქალაქო კანონთა კრებულში არაფერია ნათქვამი ვალის გადაკისრების შესახებ. თუმცა სენატის დოქტრინა დასაშვებად მიიჩნევს მოვალის მიერ თავისი ვალდებულების სხვა პირისათვის გადაცემას მხოლოდ ხელშეკრულების მეორე მხარის (კრედიტორის) თანხმობით. ამავე დროს, იგი დაუშვებლად მიიჩნევს ვალის გადაკისრებას იმ შემთხვევებში, როდესაც ეს აკრძალულია კანონით ან გამორიცხულია მხარეთა შორის შეთანხმებით<sup>35</sup>.

#### IV.

სამოქალაქო კანონთა კრებული მიღებიდან (1833 წელს) სულ მალე უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს იმ რეფორმების გამო, რაც მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში განხორციელდა რუსეთის იმპერიაში. ამიტომ 1882 წელს შეიქმნა კომისია ახალი სამოქალაქო კოდექსის პროექტის შემუშავებისათვის<sup>36</sup>. ვალდებულებითი სამართლის პროექტი შედგა 1899 წელს. ეს უკანასკნელი ეფუძნებოდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მოდელს. მასში სრულყოფილად იქნა გათვალისწინებული მაშინდელი უახლესი კოდიფიკაციის –

<sup>34</sup> Законы Гражданские, დასახელებული ნაშრომი, გვ. 280

<sup>35</sup> Законы Гражданские, იქვე

<sup>36</sup> И. А. Покровский – Основные проблемы Гражданского Права, «Статист», Москва, 1998, გვ. 73

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მოღწევები, მათ შორის, მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების ინსტიტუტები ჩამოყალიბდა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა სამოქალაქო კოდექსის ამ პროექტს არ ეწერა კანონად ქცევა. მისი ამოქმედების იმედები დაასამარა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ. მაგრამ ეს პროექტი გარკვეულწილად საფუძვლად დაედო, თავის მხრივ, საბჭოთა საქართველოს პირველ სამოქალაქო სამართლის კოდექსს, რომელიც მიღებულ იქნა 1923 წელს. ეს კოდექსი მეტად ღარიბია მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების მარეგულირებელი ნორმებით. იგი ამ ორივე ინსტიტუტს ერთად სულ 5 მუხლს უთმობს. ბევრს არაფერს ახალს ამატებს ამ ინსტიტუტების მომწესრიგებელ ნორმებს საბჭოთა საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსი. ის, რაც დაემატა, მიზნად ისახავდა მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაციის დაცვას:

“სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის ვალდებულების მოთხოვნის დათმობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს არ ეწინააღმდეგება სახალხო მეურნეობის დაფინანსების წესებს და პროდუქციის გეგმურ განაწილებას და, აგრეთვე, კანონის საგანგებო მითითებებს.

ვალის გადატანა სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის ვალდებულებებში შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ეს არ ეწინააღმდეგება სახალხო მეურნეობის დაფინანსების წესებს და პროდუქციის გეგმურ განაწილებას, აგრეთვე, კანონის საგანგებო მითითებას” (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 206-ე და 210-ე მუხლები).

ვერ ვიტყვი, რომ საქართველოს სსრ 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნორმები საფუძვლად დაედო ახალ სამოქალაქო კოდექსს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მათი გავლენა ამ უკანასკნელზე საკმაოდ დიდია. ეს ეხება არა მარტო ნორმათა იურიდიულ შინაარსს, არამედ მუხლების ჩამოყალიბების სტილსაც. შეიძლება ითქვას, ამ მხრივ ახალი სამოქალაქო კოდექსი უფრო ჰგავს 1964 წლის კოდექსს, ვიდრე მის საფუძვლად აღებულ გერმანიის სამოქალაქო კოდექსს.

## **§2. მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების აღვილი სამოქალაქო სამართლის სისტემაში**

სამოქალაქო სამართალი წარმოადგენს ნორმათა ერთობლიობას, რომლებიც დალაგებულია განსაზღვრული სისტემის მიხედვით. სამოქალაქო სამართლის ძირითადი ნორმატიული აქტის – სამოქალაქო კოდექსის ცალკეული ნორმები ქმნის ინსტიტუტებს, რომლებიც, თავის მხრივ, ერთიანდება წიგნებად და მთლიან კოდექსად.

სამოქალაქო კოდექსში ცალკეული ინსტიტუტების განლაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით. უპირველეს ყოვლისა, ამას მნიშვნელობა აქვს კოდექსის ნორმათა პრაქტიკაში გამოყენებისათვის, რათა ადვილად მოიძებნოს კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა. მაგალითად, ლოგიკურად ასე უნდა იყოს: ჩუქების მომწესრიგებელი სხვა ნორმები სრულად უნდა განთავსდეს მხოლოდ ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილის ჩუქების თავში და არა სხვაგან – საოჯახო, მემკვიდრეობის, სანივთო სამართალში.

მეორე მხრივ, სამართლებრივი ნორმებისა და ინსტიტუტების სათანადო განლაგება ხელს უწყობს მათ სწორად გაგებასა და იურიდიულ შეფასებას. ცხადია, ნორმა უნდა შევიდეს იმ ინსტიტუტის შემადგენლობაში, რომელიც მოიცავს ნორმით მოწესრიგებულ ურთიერთობას, ხოლო ინსტიტუტი უნდა შევიდეს კოდექსის იმ წიგნის შემადგენლობაში, რომელსაც იგი თავისი სამართლებრივი ბუნებით უნდა ეკუთვნოდეს.

როგორც უნდა გადაწყდეს მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების ინსტიტუტების სამოქალაქო სამართლის სისტემაში განლაგების საკითხი? გადასაწყვეტი საკითხი, კერძოდ, იმაში მდგომარეობს, თუ კოდექსის რომელ წიგნში უნდა იქნეს განთავსებული ეს ინსტიტუტები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება ჩათვალა უფლებებსა და მოთხოვნებზე საკუთრების უფლების შექმნის საშუალებებად და ორივე ინსტიტუტი ერთად განათავსა სანივთო სამართლის მესამე თავში – „საკუთრების შექმნა და დაკარგვა“. მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების ორიათასწლიანი განვითარების პერიოდში

და დღესაც მსოფლიოს ყველა დანარჩენ ქვეყანაში ეს ინსტიტუტები განლაგებული იყო და არის ვალდებულებით სამართალში. რა გახდა საფუძველი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ასეთი რადიკალურად განსხვავებული პოზიციისა? ასეთი გადაწყვეტის საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ ორივე გარიგება კოდექსის ავტორებმა მიიჩნიეს სანივთო-სამართლებრივ გარიგებებად და, შესაბამისად, აღნიშნულ სამართლებრივ ინსტიტუტებს მიუჩინეს ადგილი სანივთო სამართალში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა გაბედული ნაბიჯი გადადგა მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების ინსტიტუტების ახლებური, სრულიად სხვაგვარი ხედვისა, წინამდებარე ნაშრომის ავტორის მოსაზრებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ეს გადაწყვეტა სწორი არის მხოლოდ ნაწილობრივ შემდეგი არგუმენტების საფუძველზე:

1. უპირველეს ყოვლისა, მთლად მართებული არ არის სანივთო სამართალში ვალის გადაკისრების ინსტიტუტის გადატანა. თუნდაც თვალში საცემია შეუსაბამობა თავად კოდექსის ქვეთავის სახელწოდების შინაარსსა და ვალის გადაკისრების სამართლებრივ შედეგებს შორის. ქვეთავის სახელწოდება ცალსახად მიუთითებს, რომ კოდექსის ამ ნაწილში საუბარია საკუთრების უფლების შექენაზე უფლებებსა და მოთხოვნებზე, რომლებიც წარმოადგენს ქონებას, აქტივებს. ხოლო თავისთავად ვალი – ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე პასივი – არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს ქონებას სანივთო-სამართლებრივი გაგებით<sup>37</sup> და, ამდენად, არც მისი გადაცემა როგორც ქონებისა არის შესაძლებელი. იგივე საფუძველით ვალის გადაკისრების არც “სანივთო გარიგებად” მონათვლა იქნებოდა მართებული. ამიტომაც არც ერთი გერმანული კომენტარი, მონოგრაფია თუ სახელმძღვანელო არ იყენებს ასეთ ტერმინოლოგიას. ვალის გადაკისრება უბრალოდ ჩვეულებრივი აბსტრაქტული განკარგვითი გარიგებაა. მისი ცნება და იურიდიული ბუნება ქვემოთ უფრო დაწვრილებით იქნება განხილული, ამჯერად, უბრალოდ, უნდა აღინიშნოს, რომ არც ის წარმოადგენს საფუძველს ვალის გადაკისრების სანივთო სამართალში მოსათავსებლად,

<sup>37</sup> განსხვავებით სამემკვიდრეო-სამართლებრივი გაგებისა

რომ ეს უკანასკნელი – განკარგვითი გარიგებაა, ანუ მისი მეშვეობით ხდება არსებულ უფლებრივ მდგომარეობაზე უშუალო ზემოქმედება: ვალის გადაცემა სხვა პირისათვის. განკარგვითი გარიგებები სხვაც არის ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში. მაგალითად:

- ა) ვალის პატიება. ვალის პატიების შემთხვევაში წყდება არსებული ვალდებულება კრედიტორსა და მოვალეს შორის შეთანხმებით. ამ დროსაც არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა სამართლებრივ საფუძველზე – კაუზაზე დებენ მხარეები ამ შეთანხმებას. მას განკარგვითი სამართლებრივი შედეგი აქვს შეთანხმების მიღწევისთანავე. თუმცა არავის, მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ავტორებს არ გადაუწყვეტიათ, ვალის პატიება სანივთო სამართალში გადაეცანათ;
- ბ) ნოვაცია – ძველი ვალდებულების ახალი ვალდებულებით შეცვლა. ნოვაციის შემთხვევაშიც წყდება ძველი ვალდებულება და მის ადგილზე წარმოიშვება ახალი, ანუ ადგილი აქვს განკარგვით სამართლებრივ შედეგს. თუმცა მას სამართლიანად ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში ათავსებენ. რატომ? რა არგუმენტებით? თუ შესაძლებელია დასაბუთდეს ვალის პატიებისა და ნოვაციის ვალდებულებით სამართალში განთავსების მართებულობა, იგივე არგუმენტები შეიძლება იქნეს გამოყენებული ვალის გადაკისრების მიმართაც.

საკითხის გადაწყვეტის გასაღები მდგომარეობს იმაში, თუ რომელ სამართლებრივ შედეგზე ამხვილებს ყურადღებას და წინ აყენებს კანონმდებელი. ზემოაღნიშნული გარიგებების ვალდებულებით სამართალში მოხვედრა განაპირობა სწორედ იმან, რომ კოდექსის ავტორები აქცენტს უკეთებენ როგორც შინაარსობრივ, ისე ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში სუბიექტური შემადგენლობის ცვლილებაზე, იმაზე, რომ ამ გარიგებებით ხდება გარკვეული ცვლილებები ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში და არა იმაზე, რომ ერთი პირი კარგავს უფლებას, ხოლო სხვა პირი – იძენს, ვინმე თავისუფლდება ვალდებულებისაგან, ხოლო მეორე კარგავს მოთხოვნას.



ვალის გადაკისრების დროსაც მიუხედავად იმისა, რომ მის დროს ადგილი აქვს განკარგვით სამართლებრივ შედეგს, – უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გასამახვილებელია ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტურ (მაგრამ არა შინაარსობრივ) ცვლილებაზე: ახალი მოვალის მიერ ძველი მოვალის ადგილის დაკავება ან ახალი მოვალის შემოსვლა ურთიერთობაში ძველი მოვალის ვალდებულებისაგან გათავისუფლების გარეშე. ამის გამო სწორედ ვალის გადაკისრება ტიპური ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტია და მისი სანივთო სამართალში გადატანა გაუმართლებელია მითუმეტეს იმის გამოც, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმ ქვეთავს, რომელშიც იგი მოთავსდა, ეწოდა “საკუთრების შექმნა უფლებებსა და მოთხოვნებზე”, მაშინ როდესაც ვალი არც უფლებაა და არც მოთხოვნა და, შესაბამისად, არც ქონება<sup>38</sup>.

ზემოაღნიშნულ პოზიციას ამყარებს თანამედროვე კანონმდებლობები, რაზეც ოდნავ ქვემოთ შევჩერდებით. ახლა კი განვიხილოთ იგივე საკითხი მოთხოვნის დათმობის მიმართ, რაც ოდნავ განსხვავებულია ვალის გადაკისრების მიმართ გადაწყვეტისაგან.

2. მოთხოვნის დათმობის დროს ხდება საკუთრების უფლების გადაცემა არამატერიალურ სიკეთეზე – უფლებებსა და მოთხოვნებზე. ამ მხრივ მოთხოვნის დათმობის განთავსება სანივთო სამართლის წიგნში სრულიად მართებული უნდა იყოს; ამ შემთხვევაში მართლდება სანივთო სამართლის მესამე თავის მე-3 ქვეთავის სახელწოდებაც: ამ დროს ხდება საკუთრების უფლების შექმნა უფლებებსა და მოთხოვნებზე. მაგრამ მოთხოვნის დათმობის ინსტიტუტის მარეგულირებელი უკლებლივ ყველა ნორმის გადმოტანა მაინც არ უნდა იქნეს მიჩნეული მართებულად იგივე მოსაზრებებით, რაც ითქვა ვალის გადაკისრების მიმართ:

მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნის დათმობის დროს იდება განკარგვითი გარიგება და ხორციელდება საკუთრების უფლების გადაცემა განსაზღვრულ ქონებაზე, – სახეზეა ასევე ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში

---

<sup>38</sup> დაწვრებით იხ. ლადო ჭანტურია – უძრავი ნივთების საკუთრება, შედარებითი სამართლებრივი კვლევა (გერმანული სამართლის მაგალითზე), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1994

მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელთა რეგულირება სწორედ ვალდებულებითი სამართლის საგანია. კერძოდ, რა ცვლილებებზეა საუბარი? მოთხოვნის დათმობის დროს, მაგალითად,

- ა) კანონის ძალით წარმოიქმნება ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა ძველ და ახალ კრედიტორებს შორის: ძველმა კრედიტორმა ახალ კრედიტორს უნდა გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ყველა საბუთი, რომელიც ეხება მოთხოვნას, მიაწოდოს მოთხოვნასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ა. შ.;
- ბ) უნდა გადაწყდეს აქცესორული უფლებების ბედი;
- გ) დაცულ უნდა იქნეს მოვალის ინტერესები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელმა არაფერი იცოდა მოთხოვნის დათმობის შესახებ და ბევრი სხვა საკითხი.

ამიტომ, მართალია, მოთხოვნის დათმობის დროს ადგილი აქვს საკუთრების უფლების გადაცემას, სანივთო-სამართლებრივ შედეგებს, მაგრამ ზემოაღნიშნული ურთიერთობები ვალდებულებით-სამართლებრივია და ისინი უნდა დარჩეს ვალდებულებით სამართალში. სამართლის მიერ, სულ ცოტა, იგნორირებულ არ უნდა იყოს ცესიის ინსტიტუტის არსი – კრედიტორის შეცვლა ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში და ურთიერთობები, რომლებიც ამ უკანასკნელ სამართლებრივ შედეგთან არის დაკავშირებული, უნდა რეგულირდებოდეს ვალდებულებით სამართალში.

ყველაზე სწორად მიჩნეულ უნდა იქნეს ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის გადაწყვეტა, რომელიც სრულად შეესაბამება ზემოთ აღნიშნულ სტრუქტურას. ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსში ვალის გადაკისრება მთლიანად ვალდებულებით სამართალშია განთავსებული, ხოლო მოთხოვნის დათმობა გაყოფილია ორ ნაწილად:

ერთი ნაწილი განთავსებულია კოდექსის მე-3 წიგნის – „სანივთო სამართალი – ზოგადი ნაწილი“ მე-4 განყოფილების მე-2 თავში, რომელსაც ეწოდება „ქონების გადაცემა და შეზღუდულ უფლებებზე უარის თქმა“. ამ თავის 83-ე მუხლში მოცემულია ზოგადი ნორმა, რომელიც ადგენს გარკვეულ ფარგლებში მოთხოვნათა გადაცემის თავისუფლების პრინციპს:

„ქონება, შეზღუდული უფლებები და მოთხოვნები შეიძლება გადაცემულ იქნეს, თუ კანონი ან უფლების არსი არ ეწინააღმდეგება ამას“.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილით:

“მოთხოვნის გადაცემა შეიძლება გამორიცხულ იქნეს ასევე კრედიტორსა და მოვალეს შორის ხელშეკრულების პირობებით”.

ამ უკანასკნელი ნორმით კოდექსი ამთავრებს სანივთო სამართალში მოთხოვნის დათმობაზე საუბარს. დანარჩენი ნორმები გადატანილია კოდექსის მე-6 წიგნის – “ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი” მე-2 განყოფილების პირველ თავში – “მოთხოვნათა გადაცემის შედეგები”. სწორედ აქ საუბრობს კანონი ზემოთ აღნიშნულ ურთიერთობებზე, რომელთა ადგილი, როგორც აღინიშნა, ვალდებულებით სამართალშია და არა სანივთო სამართალში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსშიც არის მოთხოვნის თავისუფლად დათმობის პრინციპის მაღიარებელი ორი ზოგადი ნორმა. ისინი მოცემულია კოდექსის 198-ე და 199-ე მუხლების პირველ ნაწილებში. ზემოაღნიშნული არგუმენტების საფუძველზე, უფრო თანმიმდევრული და ელევანტური იქნებოდა მარტო ამ ნორმების სანივთო სამართალში გადატანა, ხოლო მოთხოვნის დათმობის მომწესრიგებელი დანარჩენი ნორმების ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში დატოვება.

## II თავი მოთხოვნის დათმობა

### **§1. მოთხოვნის დათმობის ცნება და მისი იურიდიული ბუნება. მოთხოვნის დათმობის სამართლებრივი შედეგები**

*ზოგადად.*

საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსი სამოქალაქო ბრუნვის ობიექტებად მიიჩნევს არა მარტო ნივთებს როგორც მატერიალური სამყაროს საგნებს, რომლებსაც აქვს ფიზიკური სხეული, არამედ არამატერიალურ ობიექტებსაც – უფლებებსა და მოთხოვნებს. ეს ორივე სახის ობიექტი ერთიანდება ზოგად ცნებაში – ქონება.

აღნიშნული დაყოფა ჯერ კიდევ რომის სამართალში იყო ცნობილი<sup>39</sup>. არამატერიალურ ქონებას რომის სამართალი მიაკუთვნებდა სანივთო, ვალდებულებით-სამართლებრივ, საოჯახო, სამემკვიდრეო უფლებებს, თუმცა რომის სამართლის წყაროებში არამატერიალური ქონება როგორც უფლებების ობიექტი იშვიათად ფიგურირებს; ტერმინში „რეს“ იგულისხმებოდა მხოლოდ მატერიალური ნივთი<sup>40</sup>.

ქართული სამართლის თანახმად, როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური ქონება შეიძლება იყოს უძრავი და მოძრავი. თუ მატერიალური ქონების მიმართ მოძრავი ან უძრავი ქონებისათვის მიკუთვნების საკითხი წყდება ნივთის ფიზიკური თვისებების მიხედვით, არამატერიალური ქონების მიმართ აღნიშნული საკითხი წყდება იმ სამართლებრივი რეჟიმით, რომელიც კანონით დადგენილია კონკრეტული უფლებისა თუ მოთხოვნის მიმართ. მაგალითად,

<sup>39</sup> რომის სამართლის წყაროებში მოცემული ლეგალური დეფინიცია ასე უდერს: *Incorporales sunt, quae tangi non possunt.*

<sup>40</sup> Система римского гражданского права – Ю. Барон, Книга I – Общая часть, С-Петербург, изд. Мартынова, 1909, გვ. 86

ისეთი სანივთო უფლება როგორცაა აღნაგობის უფლება უძრავ ქონებად მიიჩნევა და მისი გასხვისების (და, საერთოდ, განკარგვის) მიმართ მოქმედებს უძრავი ქონების გასხვისების (განკარგვის) წესები (აღნაგობის უფლება შეიძლება გახდეს ვალდებულების უზრუნველყოფის საგანი და ამ შემთხვევაში მისი დატვირთვა ხდება იპოთეკით და არა გირავნობით).

მოდრავ თუ უძრავ ნივთებზე კონვენციონალური (ხელშეკრულებით) საკუთრების უფლების გადაცემა ხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 186-ე მუხლებით დადგენილი ნორმების შესაბამისად. ასევე შეზღუდული სანივთო უფლებების გადაცემაც ზემოაღნიშნული მუხლების ნორმათა ანალოგიური წესებით ხორციელდება. ზოგიერთი უფლების გადაცემა საერთოდ დაუშვებელია. ასეთს მიეკუთვნება, მაგალითად, საავტორო უფლებები, საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებები.

განსახილველი თემის ფარგლებში განხილვის საგანს წარმოადგენს არა სანივთო უფლებების გადაცემასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები, არამედ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლებებისა და მოთხოვნების გადაცემა, რომლებიც, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ასევე წარმოადგენს სამოქალაქო ურთიერთობის დამოუკიდებელ ობიექტებს.

იმისათვის, რომ უფრო ზუსტად დავადგინოთ სამოქალაქო ურთიერთობის ამ ობიექტების სამართლებრივი ბუნება, საჭიროდ მიგვაჩნია, განვსაზღვროთ, უპირველეს ყოვლისა, ვალდებულების ცნება, ვინაიდან სწორედ ის წარმოადგენს უფლებებისა და მოთხოვნების არსებობის საფუძველს.

ვალდებულება არის სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ძალითაც ურთიერთობის ერთ-ერთ მონაწილეს უფლება აქვს, მოსთხოვოს ურთიერთობის მეორე მონაწილეს ვალდებულების საგნის შესრულება: ქონების გადაცემა, რაიმე მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება. ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში აქტიურ მხარეს, ე. ი. მხარეს, როდესაც აქვს მოთხოვნის უფლება, ეწოდება კრედიტორი, ხოლო პასიურ მხარეს, რომელსაც ეკისრება ვალდებულების შესრულება – მოვალე. კრედიტორის მოთხოვნას ყოველთვის შეესაბამება მოვალის შესრულების ვალდებულება.

კრედიტორის მოთხოვნის უფლება რელატიურია. ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე კრედიტორს მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ და მხოლოდ მოვალის მიმართ. ამით ეს უფლება განხვავდება აბსოლუტური უფლებისაგან, რომელიც მიმართულია პირის უშუალო ბატონობისაკენ განსაზღვრულ ნივთზე სხვა პირის მონაწილეობის გარეშე.

ამდენად, აღვნიშნავთ, რომ სწორედ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე რელატიური მოთხოვნის უფლებას ქართული სამართალი თვლის სამოქალაქო ბრუნვის ობიექტად მიუხედავად იმისა, რომ ეს ობიექტი უხილავია, არამატერიალურია და სრულად დამოკიდებულია სხვა პირის ნებაზე; იგი შეიძლება არც არასოდეს განხორციელდეს. ეს გარემოება სრულიადაც არ ბღალავს მის როგორც არსებული ქონების ბუნებას. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართული სამართალი აღიარებს რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნების იურიდიულ მეცნიერებაში ცნობილ კლასიკურ კონცეფციას: მოთხოვნის უფლება – ქონებრივი უფლებაა. სამოქალაქო კოდექსის ერთ რომ ვთქვათ, მოთხოვნის უფლების მიზანს წარმოადგენს მის „მფლობელს შეუქმნას მატერიალური სარგებელი ან მიენიჭოს უფლება, მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლი)“.

რადგანაც ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობიდან წარმოშობილი მოთხოვნის უფლება წარმოადგენს ქონებრივ უფლებას, შესაბამისად, მისი გადაცემაც (გასხვისება) თავისუფლად შეიძლება. გარკვეული, კანონით დადგენილი გამონაკლისების გარდა, მოთხოვნის გადაცემა შეუზღუდავია. ეს გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნორმიდან:

„მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება)“.

მართალია, მოთხოვნის უფლება წარმოადგენს ქონებრივ უფლებას, მისი გადაცემა მაინც გარკვეულწილად განსხვავდება სხვა ქონების გადაცემისაგან (უფრო ზუსტად, სანივთო უფლებების გადაცემისაგან) და დაკავშირებულია სპეციფიკური საკითხების გადაწყვეტასთან. რაში მდგომარეობს ეს სხვაობა?

მოთხოვნის გადაცემის შემთხვევაში აღგილი აქვს ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში აქტიური მხარის – კრედიტორის შეცვლას, რაც, ცხადია, არ ხდება სანივთო უფლებების გადაცემის დროს. კრედიტორის შეცვლა კი ყოველთვის გარკვეული სამართლებრივი საკითხების წარმოშობასთან არის დაკავშირებული, ვინაიდან ამ უკანასკნელს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა აკავშირებს მოვალესთან. მისი გასვლა ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობიდან იწვევს მის მიმართ ვალდებულების შეწყვეტას და ამასთან დაკავშირებულ მოვალის მიმართ სხვა სამართლებრივ შედეგებს. სწორედ ამიტომ სამოქალაქო სამართლის მიერ შემუშავებულ იქნა ცალკე ინსტიტუტი – მოთხოვნის დათმობა ან ცესია, რომელიც წარმოადგენს ამჯერად წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანს.

*მოთხოვნის დათმობის ცნება და იურიდიული ბუნება.*

მოთხოვნის დათმობის (ცესიის) დეფინიცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოცემული არ არის, თუმცა მისი განსაზღვრება შესაძლებელია კოდექსის 198-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე.

*მოთხოვნის დათმობა (ცესია) არის თავდაპირველ და ახალ კრედიტორებს შორის დადებული გარიგება, რომლითაც თავდაპირველი კრედიტორი მოვალის მიმართ თავის მოთხოვნას გადასცემს (უთმობს) ახალ კრედიტორს. თავდაპირველ კრედიტორს სხვანაირად „ცედენტი“ ეწოდება, ხოლო ახალ კრედიტორს – “ცესიონერი”. შემდგომში აღნიშნული ორმაგი ტიტულირება წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულ იქნება თანაბარი მნიშვნელობით.*

მოთხოვნის დათმობა ორმხრივი გარიგებაა – ხელშეკრულებაა; ამიტომ საკმარისი არ არის მარტო ცესიონერის მხრიდან მოთხოვნის დათმობის თაობაზე ნების გამოვლენა, არამედ აუცილებელია გარიგების მეორე მხარის მიერ მისი მიღება (აქცეპტი).

თავისი სამართლებრივი ბუნებით მოთხოვნის დათმობა წარმოადგენს განკარგვით გარიგებას, ვინაიდან ამ დროს ხდება არსებულ უფლებაზე უშუალო ზემოქმედება – მისი გადაცემა სხვა პირზე. ხელშეკრულების დადებით ცედენტი კარგავს მოთხოვნას და მას ერთდროულად იძენს ცესიონერი.

მოთხოვნის დათმობის შინაარსს წარმოადგენს მოთხოვნის გადაცემა. ამიტომ იგი არ არის მავალდებულებელი გარიგება. მოთხოვნის დათმობა აბსტრაქტული გარიგებაა. იგი ყოველთვის უნდა განვასხვავოთ მის საფუძველად არსებული კაუზალური გარიგებისაგან, რომელიც ცედენტსა და ცესიონერს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობაა (ნასყიდობა, ჩუქება, დავალება). განსხვავებით ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემისაგან, ქართულ სამართალში მოთხოვნის დათმობა აბსტრაქტულია და დამოკიდებული არ არის სამართლებრივ საფუძველზე (კაუზაზე). თუ რაიმე მიზეზით მოთხოვნის დათმობის საფუძველად არსებული კაუზა ბათილად იქნება ცნობილი, ეს არ ეხება მოთხოვნის დათმობის ნამდვილობას. მოთხოვნის დათმობა მაინც ნამდვილად ჩაითვლება და მოთხოვნა გადასულად ჩაითვლება ცესიონერზე. ცედენტს კი ეკუთვნის მხოლოდ მოთხოვნის უფლება ცესიონერის მიმართ უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტით ქართულმა სამართალმა აღიარა გერმანულ სამოქალაქო სამართალში ცნობილი აბსტრაქციის პრინციპი.

აბსტრაქციის პრინციპს საფუძველი ჩაეყარა რომის სამართალში, მაგრამ თანამედროვე სახით იგი ჩამოაყალიბა გერმანელმა მეცნიერმა კარლ სავინიმ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. სავინის მეცადინეობას შედეგად მოჰყვა ის, რომ ეს პრინციპი იმავე საუკუნის ბოლოს დაინერგა გერმანიის სამოქალაქო კოდექსში.

აბსტრაქციის პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ განკარგვითი გარიგება (აბსტრაქტული გარიგება) ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგების (კაუზალური გარიგების) ნაკლისაგან დამოუკიდებელია. აბსტრაქციის პრინციპი აცხადებს, რომ სამართლებრივ საფუძველს (*causa*) – იმას, თუ რატომ უნდა დაიდოს განკარგვითი გარიგება, შეიცავს არა განკარგვითი გარიგება, არამედ მავალდებულებელი გარიგება<sup>41</sup>. კაუზალური გარიგების ნამდვილობის მიუხედავად, აბსტრაქტული გარიგება შეიძლება ბათილი იყოს; კაუზალური გარიგების არარსებობა ან ბათილობა, როგორც წესი, არ ეხება აბსტრაქტული

---

<sup>41</sup> Manfred Wolf – Sachenrecht, 13. Auflage, München, 1996, გვ. 168



გარიგების ნამდვილობას, რომელიც კაუზალური გარიგების შესასრულებლად უნდა დაიდოს<sup>42</sup>.

აბსტრაქციის პრინციპის მოქმედება მოთხოვნებსა და უფლებებზე საკუთრების უფლების გადაცემის მიმართ მდგომარეობს იმაში, რომ თუ მხარეები შეთანხმდნენ ზემოაღნიშნული ქონების გადაცემაზე, საკუთრების უფლება შემძენზე გადავა მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მათ შორის დადებული ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულება (მაგალდებულებელი გარიგება) თავიდანვე ბათილი იყო ან შემდგომში ბათილად იქნა ცნობილი. შემძენი ხდება მესაკუთრე და უფლებამოსილია შემდგომ გასხვისებაზე. თუმცა ასეთი გასხვისება მოკლებულია ნამდვილ სამართლებრივ საფუძველს და ამიტომ მიღებული შესრულება შემძენმა უნდა დაუბრუნოს გამსხვისებელს უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად.

მიუხედავად სამართლებრივად ასეთი მკვეთრი დიფერენციაციისა, პრაქტიკაში სამოქალაქო ურთიერთობების მონაწილეები ნაკლებად იწუხებენ თავს ამ დოგმატური სირთულეებით და ხშირ შემთხვევებში მოთხოვნის დათმობის გარიგება “შერწყმულია” კაუზალურ გარიგებასთან ერთ აქტად. მაგალითად, დოკუმენტალურად დგება წმინდა ნასყიდობის ხელშეკრულება და მხოლოდ მისი საგანია მოთხოვნა მოვალის მიმართ განსაზღვრული ვალდებულების შესრულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნის დათმობა საერთოდ ნახსენები არ არის ხელშეკრულებაში, ამ გარიგების მიმართ მოქმედებს მოთხოვნის დათმობის მომწესრიგებელი ნორმები, ცხადია, ნასყიდობის ნორმებთან ერთად. ნასყიდობის კაუზალური გარიგება წარმოშობს მხოლოდ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას მხარეთა შორის, მისი დადებით გამყიდველს ეკისრება ვალდებულება, საკუთრების უფლებით გადასცეს მოთხოვნა ცესიონერს, ხოლო მყიდველს – გადაიხადოს ნასყიდობის ფასი. მოთხოვნის დათმობის განკარგვითი გარიგებით კი ხდება უშუალოდ ვალდებულების შინაარსის შესრულება – საკუთრების უფლების გადაცემა; ანუ მოთხოვნის დათმობა ეხება მხოლოდ საკუთრების უფლების გადაცემის სამართლებრივ შედეგს.

---

<sup>42</sup> Brox/Walker - Allgemeines Schuldrecht, 32. Auflage, Verlag C. H. Beck, München, 2007, გვ. 377

საკუთრების უფლების გადაცემის სამართლებრივ შედეგთან დაკავშირებით წამოიჭრება მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხი: როდის ითვლება მოთხოვნა ან უფლება ცესიონერზე გადაცემულად?

ქვემოთ წინამდებარე ნაშრომის მე-2 თავის მე-7 პარაგრაფში განხილულ იქნება მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის სისტემები და, ამდენად, მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის საკითხს უფრო დეტალურად შევეხებით. მაგრამ ახლა შედარებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია გავუსწროთ მოვლენებს და ორი სიტყვით აღვნიშნოთ მატერიალურ ქონებაზე – ნივთებზე საკუთრების უფლების გადასვლის წესი. განსხვავების დადგენა უფრო გააიოლებს მოთხოვნის დათმობის დროს საკუთრების უფლების გადასვლის წესის აღქმას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 186-ე მუხლებით დადგენილია საკუთრების უფლების გადაცემის წესი შესაბამისად უძრავი და მოძრავი ნივთების მიმართ. ორივე მუხლის ნორმაში სანივთო გარიგებასა (სანივთო ხელშეკრულებასა) და ვალდებულებით-სამართლებრივ ხელშეკრულებასთან ერთად ფიგურირებს ფორმალური ელემენტი, რომელიც საკუთრების უფლების გადასვლის აუცილებელი პირობაა: უძრავი ნივთების მიმართ – საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, ხოლო მოძრავი ნივთების მიმართ, ყველაზე ხშირად, – ნივთის შემძენის მფლობელობაში გადაცემა. ამ ორივე ფორმალობით კანონი უზრუნველყოფს ნივთებზე უფლებრივი ცვლილებების პუბლიკაციას, გარედან აღქმის შესაძლებლობას. როგორც ჩანს, ანალოგიური მოსაზრებით არ მოქმედებდა კანონმდებელი მოთხოვნებისა და უფლებების მიმართ. ლოგიკურად იგი მართალიც არის: მოთხოვნებისა და უფლებების გარედან აღქმა შეუძლებელია მათი არამატერიალური ბუნების გამო. საკუთრების უფლება კი, გადაწყდა, გადავიდეს მოთხოვნის დათმობის გარიგების დადებისთანავე, მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევისთანავე. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 208-ე მუხლიდან:

“თუ ერთსადამიანვე მოთხოვნის დათმობაზე მოთხოვნის მფლობელი რამდენიმე პირს შეუთანხმდება, მაშინ მოვალის წინაშე უფლებამოსილი იქნება ის პირი, რომელთანაც მოთხოვნის მფლობელმა სხვებზე ადრე დაამყარა ურთიერთობა”.

საკუთრების უფლების გადასვლას ხელს არ უშლის ის გარემოება, რომ, მაგალითად, ნასყიდობის (თუ მოთხოვნის დათმობა ხორციელდება ნასყიდობის ხელშეკრულების სფუქველზე) ფასი არ არის გადახდილი, არ შესრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები. თუმცა სამართლებრივად სრულიად დასაშვებია მხარეთა შორის შეთანხმება, რომლითაც მოთხოვნაზე ან უფლებაზე საკუთრების უფლება დამოკიდებული (პირობადებული) იყოს მყიდველის მიერ ნასყიდობის ფასის გადახდაზე. ამ შემთხვევაში საკუთრების უფლების გადასვლა მოხდება ნასყიდობის ფასის სრულად გადახდისთანავე. ასეთი შეთანხმების მიმართ ანალოგიის წესით შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლი პირობადებული საკუთრების უფლების შესახებ.

მაინც რა სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს საკუთრების უფლების გადასვლის მომენტის ზუსტად განსაზღვრას?

უპირველეს ყოვლისა, ის მნიშვნელობა აქვს, რომ ამ მომენტში ხდება ცედენტის ქონების (აქტივების) შემცირება, რაც პირდაპირ ეხება მისი კრედიტორების ინტერესებს, ვინაიდან შესაბამისად მცირდება მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებებიც. ქართულ (და გერმანულ) სამართალში მოთხოვნის დათმობის მომწესრიგებელი ნორმები ცედენტის კრედიტორების ინტერესების დამცავ რაიმე გადაწყვეტას არ იძლევა იმ შემთხვევისათვის, როდესაც, მართალია, მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება დაიდო, მაგრამ დაცული არ არის მოვალისათვის შეტყობინების ფორმალობა. სამაგიეროდ, ეს საკითხი თავისებურად გადაწყვეტილია ფრანგულ სამართალში (და მრავალ სხვა რომანული სამართლის ქვეყნების კანონმდებლობაში საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მიბაძვით). ორი სიტყვით განვიხილოთ ეს გადაწყვეტა:

მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის თანახმად დადებულად ჩაითვლება მხარეთა – ცედენტსა და ცესიონერს შორის შეთანხმების მომენტიდან. მაგრამ ამ შეთანხმებით მოთხოვნის გადასვლა შემძენზე რელატიურია და სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ ხელშეკრულების მონაწილე მხარეებისათვის. იმისათვის, რომ იგი შესრულდებულად ჩაითვალოს მესამე პირისათვისაც და ცესიონერი მესამე

პირების წინაშე ჩაითვალოს მოთხოვნის მესაკუთრედ, – აუცილებელია კოდექსის 1690-ე მუხლში მითითებული ერთ-ერთი ფორმალობის დაცვა. კერძოდ,

1. მოთხოვნის გადასვლის თაობაზე მოვალისათვის შეტყობინება, ან
2. ავტენტიკურ აქტზე მოვალის თანხმობა.

ფორმალობების შესრულების მომენტამდე მოთხოვნა მესამე პირების ინტერესებში (მაგ., ცედენტის კრედიტორები) ითვლება ცედენტის ქონებად და ამ უკანასკნელის კრედიტორებმა მასზე შეიძლება მოახდინონ იძულებითი აღსრულება.

მოვალის შეტყობინებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ერთიდაიგივე მოთხოვნა დათმობილ იქნა რამდენჯერმე რამდენიმე პირისათვის. ასეთ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმ ცესიონერს, რომელთან დადებული მოთხოვნის დათმობის შეთანხმების შესახებ პირველად ეცნობა მოვალეს<sup>43</sup>. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს 1690-ე მუხლიდანაც, სადაც მითითებულ მესამე პირებში იგულისხმებიან, აგრეთვე, სხვა ცესიონერებიც.

ამის თაობაზე რ. სავატიე წერს: “მანამდე, სანამ არ შესრულდება 1690-ე მუხლის ფორმალური მოთხოვნები, მათ (ცესიონერებს) შეუძლიათ შეიძინონ მოთხოვნა იმ პირისაგან, რომელმაც ეს მოთხოვნა გადასცა სხვა პირს; თუ მოვალეს ჯერ კიდევ არ შეატყობინეს წინა მოთხოვნის დათმობის შესახებ, მაშინ ასეთი გადაცემა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მის წინააღმდეგ”<sup>44</sup>. მაშასადამე, მოთხოვნის დათმობის დროს მისი სანივთო-სამართლებრივი შედეგი – მოთხოვნაზე საკუთრების უფლების გადასვლა – არსებობს მხოლოდ მოვალის შეტყობინების მომენტიდან. ანალოგიური პრინციპი არის დადგენილი, აგრეთვე, მოთხოვნის დაგირავების მიმართაც. 2075-ე მუხლის თანახმად, გირავნობის უფლებით კრედიტორის პრივილეგია სხვა კრედიტორების უპირატესად დაიკმაყოფილოს მოთხოვნა ნივთისაგან, – “მოძრავ არამატერიალურ ქონებაზე, როგორცაა მოთხოვნები წარმოიშვება მხოლოდ საჯარო აქტის მეშვეობით ან რეგისტრირებული კერძო ხელმოწერით და დაგირავებული მოთხოვნის შესახებ მოვალისათვის შეტყობინებით”.

<sup>43</sup> Ж. де ла Морандьер – Гражданское Право Франции, Москва, 1958, გვ. 600; К. Цвайгерт и Х. Кетц - დასახელებული ნაშრომი, გვ. 171

<sup>44</sup> Р. Саватье – Теория обязательств, юридический и экономический очерк, Москва, 1972, გვ. 375

მოთხოვნის დათმობის სუბიექტური შემადგენლობა, როგორც წესი, ყოველთვის განსაზღვრული უნდა იყოს. თუმცა, გერმანული იურიდიული მეცნიერებისა და სასამართლო პრაქტიკის მიერ დაშვებულად არის აღიარებული ე. წ. ბლანკეტური ცესია, რომლის დროსაც შემძენი უფლებამოსილია, მოთხოვნის დათმობის დოკუმენტში მოგვიანებით განსაზღვროს თავისი თავი ან სხვა ნებისმიერი პირი როგორც ცესიონერი<sup>45</sup>. ამავე დროს გერმანული სასამართლო პრაქტიკა დაუშვებლად მიიჩნევს მოთხოვნის დათმობას მესამე პირის სასარგებლოდ<sup>46</sup>.

მოთხოვნის დათმობის ობიექტს წარმოადგენს მოთხოვნა და უფლება. მაგრამ ყველა სახის მოთხოვნა და უფლება არ შეიძლება იყოს მოთხოვნის დათმობის ობიექტი, ვინაიდან მათი სხვა პირებისათვის გადაცემა ექვემდებარება გარკვეულ წინაპირობებს, რომლებიც წინამდებარე ნაშრომში განხილულ იქნება ქვემოთ. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ არა მარტო მოთხოვნის მთლიანად, არამედ ნაწილობრივაც შეიძლება დათმობა. ამასთან, მოთხოვნის ნაწილობრივი დათმობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად მოთხოვნა შედგება დაყოფადი შესრულებისაგან<sup>47</sup>. გერმანული სასამართლო პრაქტიკა ნაწილობრივ მოთხოვნებს დამოუკიდებელ მოთხოვნებად მიიჩნევს და, შესაბამისად, აღიარებს მათი გადაცემის შესაძლებლობას<sup>48</sup>.

### *მოთხოვნის დათმობის სამართლებრივი შედეგები.*

მოთხოვნის დათმობის გარიგების დადებით მოთხოვნა გადადის ახალ კრედიტორზე, რითაც ეს უკანასკნელი ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში იკავებს თავდაპირველი კრედიტორის ადგილს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლი). სხვაგვარად შეიძლება ითქვას, ასევე, რომ ამ დროს ხდება კრედიტორის მდგომარეობის გადაცემა სხვა პირზე.

---

<sup>45</sup> Palandt - Bürgerliches Gesetzbuch, bearbeitet von Bassenge, Diederichsen, Edenhofer, Heinrichs, Heldrich, Putzo, Thomas, 67. neubearbeitete Auflage, Verlag C. H. Beck, München, 2008, გვ. 581; J. von Staudigers Kommentar zum Bürgerliches Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Buch 2 - Recht der Schuldverhältnisse §§397-432, Sellier – de Gruyter. Berlin, 2002, გვ. 83

<sup>46</sup> Palandt, დასახელებული ნაშრომი, იქვე

<sup>47</sup> Hasenöhr, Victor - Das oesterreichische Obligationenrecht - 2. Aufl., Wien , 1899, გვ. 176

<sup>48</sup> ib. Palandt, დასახელებული ნაშრომი, იქვე

ცედენტს კუთვნილი მოთხოვნის გასხვისება შეუძლია მხოლოდ ერთჯერ. სამართლებრივი ძალის მქონე მოთხოვნის დათმობის შემდეგ იგი აღარ არის უფლებამოსილი გასხვისებული მოთხოვნა მეორედ გადასცეს სხვას, ვინაიდან მოთხოვნა მას აღარ ეკუთვნის წინა მოთხოვნის დათმობის გარიგების დადების მომენტიდან.

მოთხოვნის დათმობით არ ხდება კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის შეცვლა. არ იცვლება არც მოთხოვნა, რომელიც ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარეობს. მოთხოვნა ისეთივე მდგომარეობაში გადადის ახალ კრედიტორზე, როგორშიც იგი იყო თავდაპირველი კრედიტორის ხელში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლი).

თუ მოთხოვნა უზრუნველყოფილია აქცესორული უფლებებით (გირავნობა, თავდებობა), მოთხოვნის დათმობის შედეგად ეს უფლებებიც კანონის ძალით მიჰყვება მოთხოვნას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 201-ე მუხლი). კანონის ასეთი დანაწესი მოტივირებულია იმ მარტივი ლოგიკით, რომ, ჯერ ერთი, ეს უფლებები აქცესორულია და ვერ არსებობს ძირითადი უფლების (ამ შემთხვევაში – მოთხოვნის) გარეშე, და, მეორეც, თავდაპირველი კრედიტორისათვის ისინი ღირებულებას აღარ წარმოადგენს; მათი რეალიზაცია კრედიტორს აღარ შეუძლია, ვინაიდან მას მოთხოვნა აღარ ეკუთვნის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 201-ე მუხლის ნორმა სულაც არ არის იმპერატიული (უფრო სწორად, არ უნდა იქნეს მიჩნეული იმპერატიულ ნორმად) და იგი დასაშვებად მიიჩნევს განსხვავებულ შეთანხმებას. მაგალითად, თუ მხარეთა შორის შეთანხმებულ იქნა გირავნობის უფლების გადაუსვლელიაობა, ეს უკანასკნელი უქმდება<sup>49</sup>.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 201-ე მუხლის ანალოგიური პარაგრაფი გერმანიის სამოქალაქო კოდექსში – §401 აქცესორულ უფლებებს ამატებს სხვადასხვა საფუძვლებიდან გამომდინარე მოთხოვნასთან დაკავშირებულ უპირატესი დაკმაყოფილების უფლებებსაც (პრივილეგიებს):

---

<sup>49</sup> Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვ. 383

„დათმობილ მოთხოვნასთან დაკავშირებული უპირატესი დაკმაყოფილების უფლება იძულებითი აღსრულების შემთხვევაში ან გაკოტრების საქმის წარმოების დროს შეიძლება განახორციელოს ახალმა კრედიტორმა“.

*თავდაპირველი კრედიტორის კანონისმიერი ვალდებულებები.*

მოთხოვნის დათმობის გარიგება იწვევს არა მარტო ზემოთ განხილულ განკარგვითი ხასიათის სამართლებრივ შედეგებს, არამედ – მხარეთა შორის კანონით დადგენილ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობასაც.

ჩვეულებრივ, თავდაპირველ და ახალ კრედიტორებს შორის ურთიერთვალდებულებები დგინდება იმ კაუზალური გარიგებით, რომელიც საფუძვლად ედება მოთხოვნის დათმობას (ნასყიდობა, ჩუქება, ამხანაგობა და სხვა). მაგალითად, ნასყიდობის შემთხვევაში გამყიდველი ვალდებულია დაასაბუთოს უფლების ნამდვილობა და იკისროს გადაცემის ხარჯები; თუ გაყიდულია უფლება, რომელიც იძლევა ნივთის ფლობის შესაძლებლობას, მაშინ გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 498-ე მუხლი). თუ მჩუქებელი ბოროტი განზრახვით დამალავს გაჩუქებული ქონების ნაკლს, იგი ვალდებულია დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 527-ე მუხლი). ამდენად, აღსანიშნავია, სწორედ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამ შემთხვევებშიც მიჰყვება გერმანული სამართლის ტრადიციას, რომლითაც მკვეთრად არის გამოიწვეული ერთმანეთისაგან მოთხოვნის დათმობა და მის საფუძვლად არსებული კაუზალური გარიგება. საწინააღმდეგო გადაწყვეტასთან გვაქვს საქმე ფრანგულ სამართალში:

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში ცესიის დროს ცედენტის ისეთი ვალდებულებები (გარანტიები) როგორცაა მოთხოვნის ნამდვილად არსებობა და მოვალის გადახდისუნარიანობა, შესულია თვით ცესიის მარეგულირებელ თავში. კოდექსის თანახმად, კანონის ძალით ცედენტს ყოველთვის აკისრია იმის გარანტია, რომ მოთხოვნა არსებობდა მისი გადაცემის დროს, ეს უკანასკნელი რომც ყოფილიყო განხორციელებული ამ გარანტიის გარეშე (საფრანგეთის

სამოქალაქო კოდექსის 1693-ე მუხლი). რაც შეეხება პასუხისმგებლობას მოვალის გადახდისუნარიანობისათვის, ცედენტი ამისათვის, როგორც წესი, პასუხისმგებელი არ არის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან პირდაპირ იკისრა ამაზე პასუხისმგებლობა. ამასთან, იგი პასუხისმგებელია მხოლოდ იმ თანხის ფარგლებში, რომელიც მან მოთხოვნისათვის ცესიონერისაგან მიიღო (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1694-ე მუხლი).

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1695-ე მუხლის თანახმად, მოვალის გადახდისუნარიანობაზე ცედენტის პასუხისმგებლობა ვრცელდება მხოლოდ მოცემულ დროში და არ ვრცელდება მომავალზე, თუ მოთხოვნის გადამცემმა პირმა ხელშეკრულებაში პირდაპირ არ იკისრა ასეთი პასუხისმგებლობა.

კოდექსი ითვალისწინებს მოვალის თავისი ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც დათმობილ იქნა სადავო უფლება:

“ერთი პირიდან მეორეზე გადასული სადავო მოთხოვნით პასუხისმგებელ პირს შეუძლია გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან ცესიონერის წინაშე, თუ იგი გადაუხდის მას მოთხოვნის დათმობის რეალურ თანხას ხარჯებისა და კანონით დადგენილი გასაფლავების გათვალისწინებით, აგრეთვე, პროცენტებით, რომელთა გამთავსება იწყება იმ დღიდან, როდესაც ცესიონერმა გადაიხადა მისადმი განხორციელებული მოთხოვნის დათმობისათვის”.

ამ მუხლში მოცემული წესი არ მოქმედებს:

- 1) “იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნა გადავიდა გადაცემული უფლების თანამემკვიდრეზე ან თანამესაკუთრეზე;
- 2) თუ მოთხოვნა კრედიტორზე გადავიდა იმ ვალის გადახდის სახით, რომლის მიღების უფლებაც მას ჰქონდა;
- 3) თუ მოთხოვნა გადავიდა იმ უძრავი ქონების მფლობელზე, როდესაც უძრავი ქონება სადავო უფლების ობიექტს წარმოადგენს” (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1701-ე მუხლი).

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისაგან მოთხოვნის დათმობასა და მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებს, იგი მოთხოვნის დათმობის შესახებ ნორმებში მაინც ადგენს ისეთ



ვალდებულებებს, რომლებიც კანონის ძალით ეკისრება ცედენტს ყოველი მოთხოვნის დათმობის შემთხვევაში:

1. ცედენტი ვალდებულია ცესიონერს გადასცეს მის მფლობელობაში არსებულ მოთხოვნასთან დაკავშირებული ყველა საბუთი, რომელიც აუცილებელია მისი რეალიზაციისათვის;
2. ცედენტი, აგრეთვე, ვალდებულია, ცესიონერის მოთხოვნის შემთხვევაში, ამ უკანასკნელს გადასცეს სათანადოდ დამოწმებული საბუთი დათმობის შესახებ, რისი ხარჯებიც ეკისრება ცესიონერს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლი).

ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსი განაგრძობს ცედენტის ვალდებულებათა წრეს და მას, გარდა ზემოაღნიშნული ვალდებულებებისა, ამატებს:

- ა) თუ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დაგირავებულია ქონება, მოთხოვნის სრულად დათმობისას ცედენტი ვალდებულია ცესიონერს მფლობელობაში გადასცეს დაგირავებული ქონება;
- ბ) თუ უზრუნველყოფის სახით დადგენილია იპოთეკა, ცედენტი ვალდებულია ხელი შეუწყოს ცესიონერის საჯარო რეესტრში იპოთეკარად რეგისტრაციას;
- გ) თუ დათმობა იწვევს ცედენტის ვალდებულებებისა და აქცესორული უფლებების გადასვლას, მაშინ იგი პასუხს აგებს ამ ვალდებულებათა შესრულებისათვის (ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის მე-6 წიგნის 143-ე მუხლი).

*მოთხოვნის დათმობისა და სუროგაციის სამართლებრივი ინსტიტუტების ერთმანეთისაგან გამიჯვნა.*

მოთხოვნის დათმობას ბევრი საერთო აქვს სამოქალაქო სამართლის ისეთ დამოუკიდებელ სამართლებრივ ინსტიტუტთან როგორცაა სუროგაცია. ისევე როგორც მოთხოვნის დათმობის დროს, ვალდებულებით-სამართლებრივი სუროგაციისას<sup>50</sup> ადგილი აქვს ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში

---

<sup>50</sup> გერმანულ სამართალში სუროგაცია ორგვარია: სანივთო-სამართლებრივი და ვალდებულებით-სამართლებრივი

მესამე პირის მიერ კრედიტორის ადგილის დაკავებას და მოთხოვნის გადასვლას ერთი პირიდან მეორეზე. ეს ხორციელდება მესამე პირის მიერ მოვალეზე დაკისრებული ვალდებულების კრედიტორის სასარგებლოდ შესრულებით. ვალდებულება შეიძლება შესრულდეს არა მარტო პირადად მოვალის მიერ, არამედ სხვა პირის მიერაც. ამ შემთხვევაში კანონი იცავს შემსრულებლის ინტერესებს და ანიჭებს მას მოვალის მიმართ კრედიტორის უფლებებს. ვალდებულების შესრულებით, მართალია, ეს უკანასკნელი წყდება, მაგრამ კანონი აქ მიმართავს ერთგვარ ფიქციას და იგივე ვალდებულებას “გააცოცხლებს” შემსრულებელ მესამე პირსა და მოვალეს შორის.

ვალდებულებით-სამართლებრივ სუროგაციას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს 372-ე მუხლის ნორმით. ამ მუხლში აღნიშნულია:

„თუ კრედიტორი მიმართავს იძულებით აღსრულებას მოვალის კუთვნილ ნივთზე, მაშინ ყოველი პირი, რომელსაც ექმნება საფრთხე, რომ იძულებითი აღსრულებით შეიძლება დაკარგოს უფლება ამ ნივთზე, უფლებამოსილია დააკმაყოფილოს კრედიტორი. როცა მესამე პირი დააკმაყოფილებს კრედიტორს, მაშინ მოთხოვნის უფლება გადადის ამ პირზე“.

გერმანული სამართალი ანალოგიურ წესს იცნობს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §268-ში, თუმცა როგორც თავად კოდექსი, ისე გერმანული იურიდიული ლიტერატურა აღნიშნულ გარიგებას „სუროგაცია“-ს არ უწოდებს, არამედ იყენებს გამოთქმას „კანონისმიერი მოთხოვნის გადაცემა“ („gesetzlicher Forderungsübergang“)<sup>51</sup>. თუმცა სამართლებრივი შედეგები ერთიდაიგივეა: მოთხოვნა გადადის ვალდებულების შემსრულებელ პირზე. კანონისმიერი მოთხოვნის დათმობის ან იგივე კრედიტორის კანონისმიერ შეცვლის დროს წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ შესაბამისად გამოიყენება მოთხოვნის დათმობის მომწესრიგებელი ნორმები<sup>52</sup>.

<sup>51</sup> ვალდებულებით-სამართლებრივი სუროგაციის მაგალითად გერმანელი მეცნიერები მიიჩნევენ §281. ამ პარაგრაფის პირველ ნაწილში აღნიშნულია:

“1. თუ მოვალე იმ გარემოებების შედეგად, რომლებმაც შეუძლებელი გახადა ვალდებულების შესრულება, ვალდებულების საგნისათვის მიიღო საზღაური ან წარმოემშვა ზარალის ანაზღაურების უფლება, - მაშინ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს მიღებული სარგებლის მისთვის გადაცემა ან ზარალის ანაზღაურებაზე უფლების მისთვის დათმობა”.

<sup>52</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §412

სუროგაციას საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში დათმობილი აქვს მთელი პარაგრაფი (4 მუხლი) გადახდის (ვალდებულების შესრულების) განყოფილებაში.

სუროგაცია ფრანგულ სამართალში ორი სახისაა: სახელშეკრულებო და კანონით დადგენილი (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1249-ე მუხლი).

სახელშეკრულებო სუროგაციას ერთ შემთხვევაში ახორციელებს კრედიტორი, მეორე შემთხვევაში – მოვალე, კერძოდ, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1250-ე მუხლის თანახმად:

“{სუროგაცია} არის სახელშეკრულებო შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ კრედიტორი, რომელიც იღებს გადახდას მესამე პირისაგან, ამ უკანასკნელს გადასცემს თავის სარჩელებს, პრივილეგიებს ან იპოთეკას მოვალის წინააღმდეგ; უფლების ასეთი შექმნა პირდაპირ უნდა იქნეს განცხადებული და უნდა შედგეს იმ დროს, როდესაც განხორციელდა გადახდა;
2. თუ მოვალე სესხულობს ფულად თანხას თავისი ვალის გადახდისა და მსესხებლისთვის კრედიტორის უფლებების გადაცემის მიზნით. იმისათვის, რომ მსესხებლის მიერ კრედიტორის უფლების შექმნა ნამდვილი იყოს, საჭიროა, რომ სასესხო აქტი და ხელწერილი დამოწმებულ იყოს სანოტარო წესით; სასესხო აქტში უნდა მიეთითოს, რომ ფული ნასესხები იყო გადახდის განხორციელებისათვის, ხოლო ხელწერილში უნდა აღინიშნოს, რომ გადახდა განხორციელდა იმ სახსრებით, რომლებიც მიცემულ იქნა ახალი კრედიტორის მიერ ამ მიზნით. კრედიტორის უფლების შექმნა ხორციელდება კრედიტორის ნების საწინააღმდეგოდ”.

სუროგაცია ხორციელდება ავტომატურად, ე. ი. კანონის ძალით:

1. იმ პირის სასარგებლოდ, ვინც, თვითონაც არის რა კრედიტორი, უხდის მეორე კრედიტორს, რომელიც პრივილეგიის ან იპოთეკის ძალით სარგებლობს მის წინაშე უპირატესობით;
2. იმ უძრავი ქონების შემქმნის მიმართ, ვინც უძრავი ქონების შექმნისათვის გამოყენებულ თანხას იყენებს იმ კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად, რომელთა სასარგებლოდ უძრავ ქონებაზე დადგენილია იპოთეკა;

3. იმ პირის სასარგებლოდ, ვინც იმ დროს, როდესაც ვაღდებულება სხვებთან ერთად ან სხვათა მაგივრად ვალის გადახდაზე, – დაინტერესებული იყო ვალის დაფარვაში;
4. იმ მემკვიდრის მიმართ, რომელმაც მემკვიდრეობა მიიღო შეფასების განხორციელების პირობით და რომელმაც თავისი სახსრებით გადაიხადა მემკვიდრეობის ვალები (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1251-ე მუხლი).

იმ შემთხვევაში, როდესაც მესამე პირი ახორციელებს მხოლოდ ნაწილობრივ გადახდას, დარჩენილი მოთხოვნის გადაუხდელი ნაწილი რჩება კრედიტორს ისე, რომ მას შეუძლია თავისი მოთხოვნის დარჩენილი ნაწილის მიმართ განახორციელოს თავისი უფლებები იმ პირთა უპირატესად, ვისგანაც მან მიიღო მხოლოდ ნაწილობრივი გადახდა (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1252-ე მუხლი).

მსგავსების მიუხედავად მოთხოვნის დათმობასა და სუროგაციას შორის განსხვავების დადგენა ძნელი არ არის მათი სრულიად განსხვავებული სამართლებრივი ბუნების გამო.

მოთხოვნის დათმობა – განკარგვითი გარიგებაა, რომლის ობიექტია კრედიტორის კუთვნილი მოთხოვნა (უფლება). იგი ხორციელდება ცედენტსა და ცესიონერს შორის დადებული კაუზალური გარიგების საფუძველზე. მოთხოვნის დათმობა, ამდენად, წარმოდგენს ცედენტის მიერ თავისი ვაღდებულების შესრულებას ცესიონერის წინაშე. სუროგაციას კი ადგილი აქვს სხვისი ვაღდებულების შესრულების დროს. კრედიტორზე გადასული მოთხოვნის ოდენობა პირდაპირპროპორციულია შესრულების (გადახდის) ოდენობისა. პირიქით, მოთხოვნის დათმობის საფასური შეიძლება (და, უფრო ხშირად, ასეც არის) ნაკლები იყოს მოთხოვნის ოდენობაზე, მაგრამ ეს არ ამცირებს მოთხოვნის მოცულობას; იგი მაინც მთლიანად გადადის ცესიონერზე. სუროგაცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 372-ე მუხლის ნორმით ხორციელდება კანონის ძალით<sup>53</sup>, მოთხოვნის დათმობა კი ყოველთვის მხარეთა შორის დადებული გარიგებაა. დასასრულ, რაც ყველაზე მთავარია, სუროგაციის დროს უკვე მოხდა გადახდა (ვაღდებულების შესრულება) მესამე პირის მიერ და

---

<sup>53</sup> გარიგების საფუძველზე სუროგაციას იცნობს ფრანგული სამართალი

კანონი მხოლოდ იცავს ამ უკანასკნელის ინტერესებს, როდესაც ადგენს მის მიერ განხორციელებული კრედიტორის მოთხოვნის უფლების მინიჭებას მოვალის მიმართ.

## **§2. მოთხოვნის დათმობის წინაპირობები**

მოთხოვნის დათმობის ნამდვილობისათვის აუცილებელია რამდენიმე წინაპირობის არსებობა. ერთ-ერთი მათგანი – მოთხოვნის დათმობის გარიგება – უკვე იქნა განხილული ზემოთ. ამიტომ წინამდებარე თავში განიხილება დანარჩენი 3 წინაპირობა. ესენია:

1. მოთხოვნის განსაზღვრულობა;
2. მოთხოვნის მიკუთვნება კრედიტორისადმი;
3. მოთხოვნის გადაცემის შესაძლებლობა.

### *მოთხოვნის განსაზღვრულობა.*

მოთხოვნის დათმობის გარიგების ძალით ხორციელდება მოთხოვნის ახალ კრედიტორზე გადასვლა. მოთხოვნის სხვა პირისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის პრინციპი ანალოგიურია მატერიალურ ქონებაზე (ნივთებზე) საკუთრების უფლების გადაცემის იმ პრინციპისა, რომლის თანახმადაც საკუთრების უფლება (ისევე როგორც სხვა სანივთო უფლება) შეიძლება არსებობდეს მხოლოდ განსაზღვრულ, კონკრეტულ ქონებაზე. მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებაში, როგორც წესი, ზუსტად უნდა იქნეს განსაზღვრული, თუ რომელი მოთხოვნის გადაცემა ხდება და რა ფარგლებში. განსხვავებით მატერიალური ქონებისაგან, მოთხოვნის როგორც გარიგების საგნის ფიზიკური აღქმა და ხელით შეხება შეუძლებელია. ამიტომ ამ დროს გამოუსადეგარია ინდივიდუალიზაციის ისეთი საშუალებების გამოყენება როგორცაა ქონების შემქმნის მფლობელობაში გადაცემა, რომელიც, როგორც ცნობილია, გვევლინება მოძრავი ნივთების ინდივიდუალიზაციის საშუალებად და მათზე საკუთრების უფლების გადაცემის ფაქტობრივ ელემენტად.

მოთხოვნის განსაზღვრულობის ხარისხს არ ბღაღავს ის გარემოება, რომ შესაძლებელია მოვალემ არც არასოდეს არ აღიაროს ნაკისრი ვალდებულება და არც არასოდეს არ შეასრულოს იგი, მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების მხარეებმა ვერასოდეს ვერ იხილონ დათმობილი მოთხოვნის რეალიზაცია. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია კრედიტორსა და მოვალეს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი, რომელიც გამომდინარეობს მათ შორის დადებული ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების წარმოშობის სხვა საფუძველიდან.

ერთიდაიგივე ხელშეკრულებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს არა ერთი, არამედ რამდენიმე მოთხოვნა როგორც ერთი, ასევე რამდენიმე მოვალის მიმართ. მოთხოვნის დათმობის ნამდვილობის პირობაა, დადგინდეს, რომელი კონკრეტული მოვალის მიმართ რა მოცულობის მოთხოვნის დათმობა ხდება. პრაქტიკაში იშვიათი არ უნდა იყოს შემთხვევები, როდესაც მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების მხარეები ზუსტად არ განსაზღვრავენ არა თავად დათმობილ მოთხოვნას, არამედ მის მოცულობას. ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვს განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც მხარეები მიუთითებენ მოვალის მიმართ მოთხოვნის საფუძველს, საიდანაც რამდენიმე დამოუკიდებელი მოთხოვნა გამომდინარეობს. ის საკითხი, თუ ამ შემთხვევაში რა მოცულობით მოხდა მოთხოვნის დათმობა, დავის არსებობისას სასამართლოს მიერ უნდა გადაწყდეს გარიგების (ნების გამოვლენის) განმარტების შედეგად. განმარტების დროს კი სასამართლომ მხარეთა ნება უნდა დაადგინოს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი).

მოთხოვნის განსაზღვრულობის ზოგადი წესიდან სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში დაშვებულია გამონაკლისიც, როდესაც შესაძლებელია მოთხოვნა არ იყოს იდენტიფიცირებული ხელშეკრულებაში<sup>54</sup>. თუმცა ამ დროს დასათმობი მოთხოვნა, სულ ცოტა, განსაზღვრებადი უნდა იყოს ანუ შესაძლებელი უნდა იყოს მისი იდენტიფიცირება მხარეთა მიერ მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების დადების მომენტში. მაგ., ნამდვილია გამყიდველის მიერ მყიდველის მიმართ ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნის დათმობა იმ

<sup>54</sup> Palandt, დასახელებული ნაშრომი, გვ. 582

შემთხვევაშიც, როდესაც ეს ფასი ჯერ კიდევ საბოლოოდ მყიდველთან შეთანხმებული არ ყოფილა. მოთხოვნა განსაზღვრული არ არის, ცნობილი არ არის, თუ რა მოცულობის მოთხოვნის დათმობაზეა საუბარი, მაგრამ იგი სრულიად განსაზღვრებადია – არსებობს კონკრეტული ნასყიდობის ხელშეკრულება მხარეთა შორის. პრაქტიკაში მოთხოვნის განსაზღვრის შესაძლებლობის საკითხის გადაწყვეტა საკმაოდ რთულია. იგი წარმოადგენს შეფასებით კატეგორიას და უნდა გადაწყდეს ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე.

გერმანული სასამართლო პრაქტიკა დასაშვებად მიიჩნევს სამეწარმეო სუბიექტის კუთვნილი წარმოებიდან გამომდინარე კლიენტების მიმართ ყველა მოთხოვნის ან განსაზღვრული სახის გარიგებებიდან ან განსაზღვრულ დროს წარმოშობილი ერთდროულად ყველა მოთხოვნის დათმობას<sup>55</sup>. ყველა ეს პირობა აკმაყოფილებს განსაზღვრებადობის მოთხოვნას, ვინაიდან იძლევა გარკვეულ ორიენტირს იდენტიფიცირებისათვის. როდესაც ასეთი პირობებით მოთხოვნის დათმობა ხდება მხარეთა შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად (საუზრუნველყოფო მიზნით), – სახეზე გვაქვს სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია როგორც „გლობალური ცესია“ („Globalzession“)<sup>56</sup>.

გერმანული სასამართლო პრაქტიკა იცნობს და დასაშვებად მიიჩნევს ე. წ. „ჩარჩო ცესიასაც“ („Mantelzession“). ჩარჩო ცესია წარმოადგენს შეთანხმებას, რომლითაც ცვლენტი კისრულობს ვალდებულებას, დაუთმოს ცესიონერს მოთხოვნები დადგენილი ან ცვლადი მოცულობით და გადასცეს მას განსაზღვრული დროის პერიოდებში დასათმობი მოთხოვნების სიები. როგორც კი სიების გადაცემით მოთხოვნის დათმობა ნამდვილი გახდება, კმაყოფილდება განსაზღვრებადობის მოთხოვნაც<sup>57</sup>.

განსაზღვრებადი მოთხოვნის დათმობის დროს ხდება უკვე არსებული მოთხოვნის დათმობა, რომელიც მხოლოდ იდენტიფიცირებას საჭიროებს. მისგან

<sup>55</sup> Palandt - დასახელებული ნაშრომი, იქვე

<sup>56</sup> J. von Staudigers Kommentar zum Bürgerliches Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, დასახელებული ნაშრომი, გვ. 151

<sup>57</sup> Palandt, იქვე

განსხვავებით მომავალი მოთხოვნების დათმობის დროს გარიგების საგანი არ არსებობს და იგი წარმოიშება მომავალში. გერმანული სამოქალაქო სამართლის მეცნიერება დასაშვებად მიიჩნევს მომავალი მოთხოვნების დათმობას, თუ მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების დადებისას ისინი, სულ ცოტა, განსაზღვრებადია. მომავალი მოთხოვნის დათმობისას არ არსებობს ის სამართლებრივი ურთიერთობა, საიდანაც მოთხოვნა უნდა წარმოიშვას; ზოგჯერაც საერთოდ უცნობია მოვალის პიროვნება, რომლის მოქმედება (ან მოქმედებისაგან თავის შეკავება) წარმოადგენს მოთხოვნის საგანს, თუმცა ყოველი ზემოაღნიშნული არ ბღალავს მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების ნამდვილობას. როდის ჩაითვლება მომავალ მოთხოვნაზე საკუთრების უფლება გადასულად შემქმნზე?

ვინაიდან მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების დადების დროისათვის ჯერ კიდევ არ არსებობს ქონება, მასზე საკუთრების უფლების გადაცემაც შეუძლებელია. შეუძლებელია გადასცე ის, რაც არ არსებობს და, ამდენად, არ გეკუთვნის. მოთხოვნაზე საკუთრების უფლება ავტომატურად, ე. ი. დამატებითი შეთანხმების გარეშე გადადის შემქმნზე მისი წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობამდე მოთხოვნის დათმობა პირობითია, მაგრამ პირობითი არ არის მოთხოვნის დათმობის საფუძვლად არსებული კაუზალური გარიგება (ხელშეკრულება). ამ უკანასკნელის საფუძველზე მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, გარდა მოთხოვნაზე საკუთრების უფლების გადაცემისა, შეიძლება ხელშეკრულების დადების მომენტიდან. თუ მომავალში დასათმობი მოთხოვნის საფუძვლად არსებული სამართლებრივი ურთიერთობა არ წარმოიშება, მოთხოვნის დათმობა უსაგნო ხდება, რის გამოც იგი ბათილად ჩაითვლება.

ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ ურთიერთობებში ძალიან ხშირად ადგილი აქვს მომავალი მოთხოვნების დათმობას ისეთ შემთხვევებში, როდესაც მეწარმე პირობადებულ საკუთრებაში იღებს საქონელს მისი ფასის გადახდის განვადებით და გამყიდველს უთანხმდება, გაყიდული საქონელი შემდგომში გაასხვისოს საბითუმო ან საცალო მოვაჭრეებზე. შემდგომი გასხვისება, როგორც წესი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირობადებული საკუთრების უფლების მყიდველი შეძლებს საკუთრების უფლების გადაცემას, ე. ი. იქნება



უფლებამოსილი გასხვისებაზე. ამის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილი გახანგრძლივებული პირობადებული საკუთრების უფლების ინსტიტუტი („der verlängerte Eigentumsvorbehalt“)<sup>58</sup>.

გახანგრძლივებული პირობადებული საკუთრების უფლების შემთხვევაში პირობადებული საკუთრების უფლებით გამყიდველი უფლებამოსილებას ანიჭებს პირობადებული საკუთრების უფლებით მყიდველს, ამ უკანასკნელმა მისთვის პირობადებული საკუთრების უფლებით გადაცემული საქონელი შემდგომში გაასხვისოს მის მიერ ნასყიდობის ფასის გადახდის გარეშე. გამყიდველმა საკუთრების უფლება შეიძლება მყიდველის მიერ მისთვის მინიჭებული გასხვისების უფლებამოსილების რეალიზაციის შედეგად დაკარგოს<sup>59</sup> ისე, რომ არ შესრულდეს გამყიდველის მოთხოვნა ნასყიდობის ფასის გადახდაზე. ამიტომ პირობადებული საკუთრების უფლებით მყიდველთან იგი თანხმდება უზრუნველყოფაზე, რომელიც მდგომარეობს მყიდველის მიერ შემდგომი გასხვისებით შემქნის (კლიენტის) მიმართ არსებული ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნის მისთვის დათმობაში. მომავალი მოთხოვნების წინასწარი დათმობა, ამდენად, შესაძლებელია, თუ დაკმაყოფილებულია განსაზღვრებადობის მოთხოვნა<sup>60</sup>, ე. ი. იქნება დადგენილი, თუ რომელ მოთხოვნებს მოიცავს წინასწარი დათმობა. მხარეთა – პირობადებული საკუთრების უფლებით გამყიდველსა და მყიდველს – შორის დადებული მოთხოვნის დათმობის ფორმის მიმართ არ არის დადგენილი რაიმე სპეციალური მოთხოვნა და იგი შეიძლება ზეპირადაც იქნეს შეთანხმებული. მის მიმართ გამოიყენება მოთხოვნის დათმობის მომწესრიგებელი ზოგადი ნორმები.

პრაქტიკაში გახანგრძლივებული პირობადებული საკუთრების უფლება შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს გლობარულ ცესიასთან, რადგანაც ის მოთხოვნები, რომლებიც გახანგრძლივებული პირობადებული საკუთრების უფლების დროს დათმობილია გამყიდველისათვის, – გლობარული ცესიის დროსაც წინასწარ ეთმობა. წინააღმდეგობის გადაწყვეტისათვის გერმანულ

<sup>58</sup> Manfred Wolf, დასახელებული ნაშრომი, გვ. 286; Erman – Bürgerliches Gesetzbuch, herausgegeben von Prof. Dr. Harm Peter Westermann, 11. neubearbeitete Auflage, Aschendorff Rechtsverlag, 2004, გვ. 1425

<sup>59</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §185 1-ლი ნაწილის საფუძველზე

<sup>60</sup> Manfred Wolf, დასახელებული ნაშრომი, გვ. 288

იურიდიულ ლიტერატურაში დადგენილია პრიორიტეტის პრინციპი<sup>61</sup>. ამ პრინციპის თანახმად დროში უფრო ადრე დადებულ მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესობა; იგი მის შემდგომში დადებულ გარიგებას სამართლებრივი ძალის არმქონედ ხდის.

აშშ-ის სამართალშიც მომავალში შექმნილი უფლებებისა და მოთხოვნების დათმობის შესაძლებლობა აღიარებულია ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსით (Uniform Commercial Code). კოდექსის მე-9 განყოფილების ერთ-ერთ ნორმაში აღნიშნულია:

„საუზრუნველყოფო შეთანხმება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ნებისმიერი ან ყველა ვალდებულება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შემდგომში შექმნილი საუზრუნველყოფო ქონებით“.

„ამდენად“, – წერს ა. ფარნსვორტი. „კოდექსის მიხედვით მომავალი ფულადი გადასახდელების სამართლებრივი ძალის მქონე დათმობა შეიძლება დაიდოს საუზრუნველყოფო შეთანხმებაში “შემდგომში შექმნილი ქონების” დათქმის პირობით. იმ უფლების დათმობა, რომელსაც არ მოიცავს მე-9 განყოფილება, რა თქმა უნდა, რეგულირდება საერთო სამართლით წესებით<sup>62</sup>.

*მოთხოვნის მიკუთვნება კრედიტორისადმი.*

მოთხოვნის განსაზღვრულობასთან ერთად, მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით მოთხოვნის გადაცემის ერთ-ერთი წინაპირობაა ის, რომ იგი ეკუთვნის კრედიტორს.

ჯერ კიდევ რომის სამართალში არსებობდა ცნობილი ფორმულა: **Nemo plus iuris ad alium transferre potest, quam ipse haberet** – არავის არ შეუძლია გადასცეს იმაზე მეტი უფლება, რაც თვითონ აქვს.

მოგვიანებით ახალ კოდიფიკაციებში სამოქალაქო ბრუნვის სასარგებლოდ ამ წესიდან მოძრავი ნივთების მიმართ დაშვებულ იქნა გამონაკლისი, რომლის თანახმადაც ნივთის მფლობელი ივარაუდებოდა მის მესაკუთრედ. ასეთი რომც არ ყოფილიყო სინამდვილეში, მის მიერ კეთილსინდისიერი შემქმენისათვის – ანუ

<sup>61</sup> Schwerepunkte, BGB-Sachenrecht von Dr. Harm Peter Westermann, 9 neubearb. und erw. Aufl. – Heidelberg: Müller, Jur. Verl., 1994, გვ. 58; Erman – Bürgerliches Gesetzbuch, დასახელებული ნაშრომი, გვ. 1427

<sup>62</sup> CONTRACTS - E. Allan Farnsworth, Alfred McCormack, Eastern University, გვ. 764

იმ პირისათვის, რომელმაც არ იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მისი მესაკუთრე – ნივთის გასხვისება ნამდვილად ითვლებოდა, თუ ხელშეკრულების დადებისას იგი ნივთს შემძენს მფლობელობაში გადასცემდა<sup>63</sup>. ანალოგიურად საკითხის გადაწყვეტა მოხდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლში: გარკვეული გამონაკლისების გარდა, შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როდესაც გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. მაგრამ როგორც ფრანგულ და გერმანულ კანონმდებლობებში მოცემული ნორმები, ისე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლი კეთილსინდისიერი შეძენის შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ ნივთების – მატერიალური საგნების მიმართ, ვინაიდან ხორციელდება მათი ფაქტობრივი ფლობა. ისმის კითხვა, ნამდვილად ჩაითვლება და შემძენზე გადადის თუ არა უფლება ან მოთხოვნა, როდესაც იგი დათმობილ იქნა არაუფლებამოსილი პირის მიერ იმ შემთხვევაში, როდესაც შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია?

არც ერთი ქვეყნის, მათ შორის, არც საქართველოს კანონმდებლობაში რაიმე სპეციალური დანაწესი ამის შესახებ არ არსებობს. ამიტომ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს კეთილსინდისიერი შეძენის მომწესრიგებელი ნორმების ანალიზის საფუძველზე.

როგორც თვით კანონის ტექსტიდან ჩანს, კეთილსინდისიერი შეძენის შესაძლებლობას კანონი ითვალისწინებს მხოლოდ მოძრავი ნივთების მიმართ და ამ წესს იგი არ ავრცელებს უფლებებისა და მოთხოვნების შეძენაზე. იურიდიულ ლიტერატურაშიც ერთხმად აღიარებულია, რომ კეთილსინდისიერი შეძენის ნორმა არ ეხება არამატერიალურ ქონებას. კანონმდებლობისა და ლიტერატურის ასეთი პოზიციის საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ განსხვავებით უფლებისა და მოთხოვნის ფლობისაგან, მოძრავი ნივთის ფლობა შესამჩნევია მესამე პირებისათვის, რაც ქმნის სწორედ მის უკან მდგარი საკუთრების უფლების (თუ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის ტერმინოლოგიას დავესესხებით – სამართლებრივი საფუძვლის) არსებობის ნდობას. მართალია, სამართლებრივი თვალსაზრისით უფლებებისა და მოთხოვნების ფლობაც შესაძლებელია, მაგრამ

<sup>63</sup> იხ. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 2279-ე მუხლი 1141-ე მუხლთან ერთად; გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §§932, 934

რეალურად იგი სხვისათვის შესამჩნევი არ არის, და, შესაბამისად, არც არავითარი ნდობისათვის ანგარიშის გაწევა აღარ არის საჭირო.

მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება, რომელიც დადო არაუფლებამოსილმა ცედენტმა, ბათილია, თუ ის პირი, ვისაც დათმობილი უფლება ან მოთხოვნა სინამდვილეში ეკუთვნის, შემდგომში არ მოიწონებს ამ გარიგებას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ქართულ სასამართლო პრაქტიკაში არსებობს პრეცედენტი, როდესაც სასამართლომ ბათილად ცნო მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება, რომელიც დადო არაუფლებამოსილმა ცედენტმა. კერძოდ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 1999 წლის 11 ნოემბრის განჩინებით უცვლელად დატოვა თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სს “არაგვი ბიზნეს ბანკი”-ს სარჩელი თბილისის რეგიონალური საბაჟოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ. სს “არაგვი ბიზნეს ბანკი” სარჩელში იხოვდა მოპასუხეებისაგან 1.266.137 აშშ დოლარის ექვივალენტის ლარებში გადახდას, რომელიც მას ეკუთვნოდა 1999 წლის 10 მარტს შპს “ავიასაწვავსერვისთან” გაფორმებული მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე. სარჩელი არ დაკმაყოფილდა. არამართლობიერად იქნა აღიარებული შპს “ავიასაწვავსერვისსა” და სს “არაგვი ბიზნეს ბანკს” შორის გაფორმებული მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება, რადგანაც იმისთვის, რომ შპს “ავიასაწვავსერვისს”-ს დაეთმო მოთხოვნის უფლება, იგი “თავად უნდა ყოფილიყო კრედიტორი – მოთხოვნის მფლობელი და უნდა ჰქონოდა მოთხოვნის უფლება”, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, მას არ ჰქონდა; შესაბამისად, იგი “ვერც ვერაფერს დაუთმოდა ბანკს”<sup>64</sup>.

უფლებებისა და მოთხოვნების კეთილსინდისიერად შექმნაზე უარის თქმის მიუხედავად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოთხოვნის დათმობის აბსტრაქტულ გარიგებად აღიარებით კანონმდებელი მაინც მნიშვნელოვნად იცავს შემძენის ინსტერესებს და ემსახურება საქონელბრუნვის უზრუნველყოფას. მაგალითად, თუ პირი სხვას მიყიდის კუთვნილ მოთხოვნას ფულადი თანხის გადახდევინებაზე, ხოლო ეს უკანასკნელი – მყიდველი ასევე ამ მოთხოვნას

<sup>64</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, №1 2000, ნაწილი 2

გადასცემს (ნებისმიერი გარიგების საფუძველზე) მესამე პირს, – თავდაპირველ მხარეებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების შემდგომში ბათილად აღიარების შემთხვევაშიც კი მესამე პირი რჩება უფლებისა თუ მოთხოვნის მესაკუთრედ, რადგანაც, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის მიუხედავად, ნამდვილია მხარეებს შორის შემდგარი მოთხოვნის დათმობის გარიგება; მყიდველზე გადადის საკუთრების უფლება ნასყიდობის საგანზე და იგი როგორც მესაკუთრე უფლებამოსილია ნასყიდობის საგნის შემდგომ განკარგვაზე. ამასთან, სავალდებულო აღარ არის თვით მესამე პირის კეთილსინდისიერება.

*მოთხოვნის გადაცემის შესაძლებლობა.*

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის 1-ლ ნაწილში ნათქვამია:

“მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა ან დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს. მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ”.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად:

“მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს (მოთხოვნის დათმობა)”.

სამოქალაქო კოდექსის 198-ე და 199-ე მუხლებით დადგენილია მოთხოვნის დათმობის თავისუფლების ზოგადი პრინციპი. ყოველი მოთხოვნა, როგორც წესი, ექვემდებარება სხვა პირისათვის გადაცემას, ამასთან, მოვალის თანხმობის გარეშე. თუმცა ზემოაღნიშნული მუხლები შეიცავს ამ პრინციპის შემზღვეველ პირობებს. ეს პირობები შეგვიძლია დავყოთ ოთხ ნაწილად:

1. კანონით აკრძალული მოთხოვნის დათმობა;
2. მოთხოვნის დათმობის შეუძლებლობა, როდესაც მოთხოვნა არ ექვემდებარება დაგირავებას;

3. მოთხოვნის დათმობის დაუშვებლობა, როდესაც იგი ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს;
4. კრედიტორსა და მოვალეს შორის შეთანხმება მოთხოვნის დათმობის გამორიცხვის შესახებ.

I.

ისევე როგორც ნებისმიერი სხვა გარიგება, მოთხოვნის დათმობაც ბათილია და მხარეთა მიერ დასახულ სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს, თუ იგი აკრძალულია კანონით. აკრძალულ დათმობებში იგულისხმება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევები, რომლებიც შეიძლება მოცემულ იყოს არა მარტო სამოქალაქო კოდექსში, არამედ სხვა კანონებსა თუ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში.

კერძო სამართლის სფეროში აკრძალული დათმობების დიდი ნაწილი სამოქალაქო კოდექსზე მოდის. მაგალითისათვის მოვიყვანოთ ზოგიერთ მათგანს:

ა) სანივთო სამართლიდან:

1. უპირველეს ყოვლისა, მოთხოვნის დათმობის თავისუფლებას ზღუდავს სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 316-ე მუხლებით დადგენილი ნორმები. კერძოდ, ამ ნორმებში აღნიშნულია:

“1. მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.

2. უფლების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება საკუთრებით ისეთი სარგებლობა, რომლითაც მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი ისე, რომ არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა და მისი მოქმედების აუცილებლობა გამართლებულია.

თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას”.

კრედიტორის მიერ კუთვნილი მოთხოვნის დათმობა არ უნდა იყოს უფლების ბოროტად გამოყენება, რომლითაც მოვალის მდგომარეობა დაუშვებლად მძიმდება. დაუშვებლად მძიმდება თუ არა მოვალის მდგომარეობა მოთხოვნის დათმობის შედეგად, შეფასებითია და იგი უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ კონკრეტული საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით.

2. სანივთო უფლებებიდან დაუშვებელია პირადი სერვიტუტის უფლების სხვა პირებისათვის გადაცემა (სამოქალაქო კოდექსის 253-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ბ) ვალდებულებითი სამართლიდან:

1. სამოქალაქო კოდექსის 516-ე მუხლის თანახმად, უპირატესი შესყიდვის უფლება არც სხვა პირს გადაეცემა და არც მემკვიდრეობით გადადის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. როგორც ამ ნორმის ტექსტიდან ჩანს, იგი დისპოზიციურია და მისი დანაწესი შეიძლება შეიცვალოს მხარეთა ნების გამოვლინებით.
2. სამოქალაქო კოდექსის 936-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელია ამხანაგობის მონაწილეთა იმ მოთხოვნების დათმობა, რომლებიც გამომდინარეობს ამხანაგობის ხელშეკრულებიდან.

რაც შეეხება უცხოურ სამართალს, ამ მხრივ მდგომარეობა შემდეგნაირია: გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §613-ის თანახმად, სამსახურის შესრულების (შრომითი ვალდებულების) მოთხოვნის დათმობა დაუშვებელია, თუ მხარეები საწინააღმდეგოზე არ შეთანხმებულან.

საექვრობის შემთხვევაში დავალების შესრულების მოთხოვნის უფლება არ შეიძლება გადაცემულ იქნეს (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §664 მე-2 ნაწილი).

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის ნასყიდობის შესახებ ტიტულის მე-8 თავის – “მოთხოვნისა და სხვა არამატერიალური უფლებების დათმობის შესახებ” მუხლები არ შეიცავს რაიმე მითითებას იმაზე, თუ რა მოთხოვნები არ შეიძლება იქნეს გადაცემული. თუმცა ცალკეული აკრძალვითი ნორმები მოიძებნება სხვა მუხლებში სხვადასხვა სამართლებრივი ინსტიტუტების შესახებ

მუხლებში. მაგ., კოდექსის 631-ე და 634-ე მუხლების თანახმად, სარგებლობისა და ცხოვრების უფლებები არ შეიძლება არც დათმობილ იქნეს და არც ქირავნობით გადაცემული. კოდექსის 1763-ე მუხლით კი ის, ვინც ამუშავებს მიწას გამქირავებელთან ნაყოფის გაყოფის პირობით, არ შეუძლია დადოს ქვექირავნობის ხელშეკრულება, არც გადასცეს თავისი უფლებები სხვა პირებს, თუ ეს შესაძლებლობა პირდაპირ არ იყო მისთვის მინიჭებული. ამავე დროს კოდექსი ზოგიერთ ადგილას, პირიქით, სპეციალური ნორმით უშვებს ცვდენტის მიერ თავისი უფლებების დათმობას მესამე პირისათვის. მაგ., სამოქალაქო კოდექსის 1717-ე მუხლში აღნიშნულია:

“დამქირავებელს უფლება აქვს ქვექირავნობით გადასცეს ნივთი და თვით ხელშეკრულება<sup>65</sup> კი გადასცეს სხვა პირს, თუ ამის განხორციელება მას არ ეკრძალება.

აკრძალვა შეიძლება ეხებოდეს მთელ ნივთს ან მის ნაწილს.

ეს პირობა ყოველთვის მკაცრად უნდა იქნეს დაცული”.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ცესიის (და, საერთოდ, სამართალმემკვიდრეობის) დაუშვებლობას შემძენის პიროვნების გამო. კერძოდ, 1597-ე მუხლში ნათქვამია:

“მოსამართლეები, შემცველელი მოსამართლეები, პროკურატურის მაგისტრატები, მათი შემცველელები, მდივნები, სასამართლო პრისტავები, საეკლესიო მსახურები, საჯარო დამცველები და ნოტარიუსები არ შეიძლება გახდნენ ცესიონერები ისეთ სასამართლო პროცესებში სადავო უფლებებსა და სარჩელებთან დაკავშირებით, რომლებიც შედის იმ სასამართლოს იურისდიქციაში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე ისინი ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს, – ბათილობისა და ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების სანქციით”.

აშშ-ის სამართალი მოთხოვნის თავისუფლად დათმობის შესაძლებლობის აღიარებასთან ერთად ადგენს ამ თავისუფლების შემზღვეველ პირობებს. ნებისმიერი მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება სამართლებრივი ძალის არმქონედ ცხადდება, თუ იგი:

---

<sup>65</sup> იგულისხმება ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები ერთდროულად



1. იწვევს ვალდებულების მნიშვნელოვან ცვლილებას;
2. იწვევს მოვალეზე ხელშეკრულებით დაკისრებული ტვირთისა თუ რისკის მნიშვნელოვან ზრდას;
3. მნიშვნელოვნად ამცირებს მოვალის შანსებს, მიიღოს საპასუხო დაკმაყოფილება<sup>66</sup>.

“მოთხოვნის დათმობის შესაძლებლობის ეს შეზღუდვა” – წერს ალან ფარნსვორტი. “ეფუძნება არა დათმობის როგორც ასეთის მიმართ ანტიპათიას, არამედ ხელშეკრულების დადების დროს მოვალის გამართლებული მოლოდინის პატივისცემას. რადგან შეზღუდვა იცავს მოვალეს, მას შეუძლია არც ისარგებლოს ხელშეკრულებით. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დათმობა მასზე უარყოფითად მოქმედებს, იგი სამართლებრივი ძალის მქონე იქნება, თუ მოვალე თავდაპირველ ხელშეკრულებაში შეთანხმდა, რომ კრედიტორის უფლებები დათმობილ იქნეს ან თუ იგი მოგვიანებით დათმობაზე განაცხადებს თანხმობას.

სახელშეკრულებო უფლების ყოველი დათმობა, მათ შორის, უფლებისა, რომელიც მიმართულია ფულად თანხაზე, საქონელსა თუ მიწის ნაკვეთზე, გარკვეულ ფარგლებში ცვლის მოვალის ვალდებულებას. მან ახლა უნდა თავისი შესრულება განახორციელოს სხვა პირის – ცესიონერის მიმართ; ეს პირი შეიძლება ნაკლებად ტოლერანტული იყოს, ვიდრე ცედენტი. მაგრამ სასამართლოები არ მიიჩნევენ ამ უმნიშვნელო ტვირთს საკმარისად იმისათვის, რათა მან გადაწონოს თავისუფლად დათმობის შესაძლებლობის არგუმენტი. მართლაც, ამ შემთხვევაში სასამართლოებმა არავითარი ყურადღება არ მიაქციეს მოვალის პრეტენზიას იმაზე, რომ იგი არ დაიჭერდა საქმიან კავშირს ცესიონერთან. თუმცა, თუ მოვალის ვალდებულება დამოკიდებულია ხელშეკრულების მეორე მხარის თვითნებობაზე, ცედენტის ცესიონერთ შეცვლამ შეიძლება გამოიწვიოს მოვალის ვალდებულების მნიშვნელოვანი ცვლილება. სასამართლოებმა ამგვარად დაადგინეს, როდესაც მოვალის ვალდებულება მდგომარეობდა მომსახურების გაწევაში ხელშეკრულების მეორე მხარის პირადი მეთვალყურეობის ქვეშ, თუმცა სასამართლოები ჩვეულებრივ

<sup>66</sup> აშშ-ის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის მუხლი 2-210 (2)

წვევდნენ საწინააღმდეგოდ, თუ მოვალის ვალდებულება მდგომარეობს მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე კონკურენციისაგან თავის შეკავებაში<sup>67</sup>.

## II.

კანონის დანაწესი, რომლითაც აკრძალულია ისეთი მოთხოვნების დათმობა, რომლებიც არ ექვემდებარება დაგირავებას, – ემსახურება საჯარო ინტერესების დაცვას, კერძოდ, მისი მიზანია, გამოირიცხოს კრედიტორის მიერ ისეთი მოთხოვნების დაკარგვა, რომლებიც ქმნის მის საარსებო მინიმუმს<sup>68</sup>. ეს დანაწესი იმპერატიულია და კრედიტორის მიერ მასზე უარი არ დაიშვება.

## III.

ვალდებულება, ის სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის საფუძველზეც კრედიტორს აქვს მოთხოვნის უფლება მოვალის მიმართ, არის მოთხოვნის დათმობის დასაშვებობის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა. სამართალი ყოველთვის დაუშვებლად მიიჩნევს ისეთი მოთხოვნების დათმობას, რომელთა სხვა პირებისათვის გადაცემა ეწინააღმდეგება მოვალესა და კრედიტორს შორის არსებულ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას. უფრო ხშირად კანონი არ შეიცავს პირდაპირ აკრძალვას კონკრეტული მოთხოვნის დათმობისა, მაგრამ სამართლებრივი ურთიერთობის განსაკუთრებული ხასიათის გამო დათმობას გამორიცხავს. ასეთი კატეგორიის მოთხოვნებს მიეკუთვნება, უპირველეს ყოვლისა, საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნები. მაგ., ბათილია მეუღლეთა ურთიერთრჩენის ვალდებულებიდან, მშობლებისა და შვილების, აგრეთვე, ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო ვალდებულებიდან, შვილად აყვანისა და მზრუნველობიდან გამომდინარე მოთხოვნების დათმობა. ეს დათმობები ეწინააღმდეგება აღნიშნულ ვალდებულებათა არსს და კანონით მათთვის მინიჭებულ მიზნებსა და დაცულ ინტერესს.

ვალდებულების არსის საწინააღმდეგოდ უნდა ჩაითვალოს ასევე ისეთი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის

<sup>67</sup> CONTRACTS, დასახელებული ნაშრომი, გვ. 761-762

<sup>68</sup> Palandt, დასახელებული ნაშრომი, გვ. 587

დათმობა, რომლის ნამდვილობისათვის აუცილებელია კრედიტორის ან ურთიერთობის ორივე მხარის მონაწილეობა, ე. ი. რომლებიც მკაცრი პირადული ხასიათისაა. მაგ., პენსიის, სხვადასხვა დახმარებების, შემწეობების მიღების მოთხოვნები, რომლებიც მის მფლობელს განსაკუთრებული სტატუსის გამო ეკუთვნის (დევნილთა შემწეობები, დახმარებები სხვადასხვა სოციალურად დაუცველი პირებისათვის და ა. შ.).

ზემოაღნიშნული საფუძველით თავისი აქცესორული სამართლებრივი ბუნების გამო დაუშვებელია აქცესორული უფლების დამოუკიდებლად, ძირითადი უფლების გარეშე დათმობა; აქცესორული უფლებები ისეა დაკავშირებული ძირითად უფლებასთან, რომ მის გარეშე ვერ არსებობს. დაუშვებელია, მაგალითად, თავდებობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის დამოუკიდებლად სხვისათვის გადაცემა<sup>69</sup>.

ვალდებულების არსის წინააღმდეგობის საკითხი არ წყდება ყოველთვის მხოლოდ სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების იურიდიული ანალიზით, არამედ იგი სასამართლოსეული შეხედულების საგანიცაა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული თუ არა ესა თუ ის მოთხოვნის დათმობა. ასე, მაგ., ამერიკულ სასამართლო პრაქტიკაში ბათილად არის მიჩნეული სახელმწიფო მოხელეების მიერ მიუღებელი ხელფასების მოთხოვნის უფლებების სხვა პირებისათვის გადაცემა. ასეთი გადაწყვეტილების საფუძველი კი გახდა შეხედულება, რომ სახელმწიფო მოხელეებისათვის ხელფასების მოთხოვნის უფლებების დათმობის ნების დართვა უარყოფითად იმოქმედებდა მათ მიერ გასაწევ სამსახურზე<sup>70</sup>.

მოთხოვნის დათმობის თავისუფლების შეზღუდვის ქართული სამართლის ნორმის ანალოგიურ წესს ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსიც, ოღონდ გამოხატავს მას განსხვავებული ფორმულირებით, კერძოდ, §399 დაუშვებლად მიიჩნევს ისეთ მოთხოვნის დათმობას, “თუ ვალდებულება ახალი კრედიტორის მიმართ ვერ შესრულდება მისი შინაარსის შეცვლის გარეშე”.

<sup>69</sup> Palandt, დასახელებული ნაშრომი, გვ. 588

<sup>70</sup> CONTRACTS, დასახელებული ნაშრომი, გვ. 760

დასასრულ, აუცილებლად მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლის დანაწესი არ ეხება ისეთი მოთხოვნის დათმობის გარიგებებს, რომლებიც თავისთავად კანონში მითითებული საფუძვლის გამო ბათილია. უნდა გაემიჯნოთ 199-ე მუხლის ნორმისა და გარიგებათა ბათილობის ზოგადი საფუძვლების დამწესებელ ნორმათა მოქმედების სფეროები (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-58-ე მუხლები). 199-ე მუხლი ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც მოთხოვნის დათმობა კანონიერია, არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, ზნეობრივ ნორმებს, არ არის მოჩვენებითი და ა. შ.. თუ მოთხოვნის დათმობის გარიგება ასეთად იქნება, მიჩნეული, იგი ბათილად ჩაითვლება არა 199-ე მუხლის ძალით, არამედ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-58-ე მუხლების ნორმათა ძალით.

#### IV.

მოთხოვნის სხვა პირზე გადაცემა შეიძლება გამოირიცხოს კრედიტორსა და მოვალეს შორის შეთანხმებით. ეს დანაწესი კანონისმიერი აღიარებაა სამართლის სუბიექტთა კერძო ავტონომიისა, თავიანთი ნებით განსაზღვრონ ერთმანეთის მიმართ უფლება-ვალდებულებები. კანონი ადგენს მხოლოდ ამ ნების ლეგიტიმაციას, მას განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს. ამავე დროს აღნიშნული ნორმა დადგენილია მოვალის ინტერესების დაცვის მიზნით. შეთანხმების საწინააღმდეგოდ დადებული მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება ბათილია. მაგრამ არ არის გამორიცხული ზემოაღნიშნული შეთანხმების საწინააღმდეგო მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება ნამდვილი გახდეს, მხოლოდ იმ პირობით, რომ მოვალე მას შემდგომში მოიწონებს<sup>71</sup>.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ზღუდავს მოთხოვნის დათმობის გამორიცხვის მხარეთა კერძო ავტონომიას. იგი იმპერატიულად ადგენს, რომ მოთხოვნის დათმობის გამომრიცხავი შეთანხმება ნამდვილია მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს მოვალის პატივსადები ინტერესი. ამ

---

<sup>71</sup> Lehrbuch des Bürgerlichen Rechts von Dr. Ludwig Enneccerus, Dr. Theodor Kipp und Dr. Martin Wolff, დასახელებული ნაშრომი, გვ. 232

უკანასკნელის არსებობა-არარსებობის საკითხი წყდება სასამართლოს მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებებიდან გამომდინარე.

მოთხოვნის დათმობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმება, ჩვეულებრივ, კრედიტორსა და მოვალეს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის მომენტში დგება და იგი შედის მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებაში ცალკე დათქმის სახით. თუმცა დასაშვებია აღნიშნული შეთანხმება მოგვიანებით ნებისმიერ დროს შედგეს.

მოთხოვნის დათმობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმება, როგორც წესი, წერილობით იდება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მხარეთა ნების არსებობის მტკიცების ქმედითი საშუალება, მაგრამ დასაშვებია ასევე ასეთი შეთანხმების ზეპირად დადება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მისი არსებობა შეიძლება დამტკიცდეს სამოქალაქო საპროცესო სამართალში არსებული ნებისმიერი სხვა მტკიცებულებით. ამასთან, ამ დროს წამოიჭრება ახალი კრედიტორის – ცესიონერის ინტერესების დაცვის საკითხი, როდესაც მან კრედიტორსა და მოვალეს შორის აღნიშნული შეთანხმების შესახებ არაფერი იცოდა და არც შეეძლო ცოდნოდა. ქართული სამართალი ამ საკითხზე რაიმე გადაწყვეტილებას არ იძლევა. ამიტომ უნდა მივმართოთ ზოგიერთი ევროპული ქვეყნის კანონმდებლობას: იმ ცესიონერის ინტერესებს, რომელმაც არაფერი იცოდა კრედიტორსა და მოვალეს შორის დადებული მოთხოვნის დათმობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმების თაობაზე, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი იცავს იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალის მიერ კრედიტორისათვის წარდგენილია სავალდო დოკუმენტი. ამით გერმანული სამართალი გარკვეულწილად აკომპენსირებს იმ გარემოებას, რომ შეუძლებელია მოთხოვნის კეთილსინდისიერი შექენა გასხვისებაზე არაუფლებამოსილი პირისაგან. §405, კერძოდ, ადგენს:

“თუ მოვალემ გასცა სავალდო დოკუმენტი, მაშინ ამ დოკუმენტის გადაცემით მოთხოვნის დათმობის შემთხვევაში მოვალეს არ შეუძლია შესაგებელი წაუყენოს ახალ კრედიტორს იმ საფუძველზე, რომ ვალდებულება დადგენილი ან აღიარებული იყო მხოლოდ მოსაჩვენებლად ანდა ის, რომ დათმობა გამორიცხული იყო თავდაპირველ კრედიტორთან შეთანხმებით იმ პირობით, რომ

ახალმა კრედიტორმა დათმობის მომენტისათვის არ იცოდა ზემოაღნიშნული გარემოებების შესახებ ან მას არ უნდა სცოდნოდა მათ შესახებ”.

მაშასადამე, ამ პარაგრაფით დადგენილი ნორმის მოქმედების აუცილებელი წინაპირობებია, ერთი მხრივ, მოვალის მიერ გაცემული სავალო დოკუმენტით მოთხოვნის დათმობა და, მეორე მხრივ, კეთილსინდისიერება ახალი კრედიტორის მხრიდან.

შვეიცარიის ვალდებულებითი კანონი საუბრობს იმ სამართლებრივ შედეგებზე, როდესაც მესამე პირმა მოთხოვნა შეიძინა წერილობითი ფორმით დადებული ვალის აღიარების ხელშეკრულებისადმი ნდობით და რომელიც დათმობის გამომრიცხავ დათქმას არ შეიცავს; ამ შემთხვევაში მოვალეს არ შეუძლია მას დაუპირისპიროს შესაგებელი იმ საფუძველზე, რომ კრედიტორთან შეთანხმებით დათმობა გამორიცხული იყო<sup>72</sup>.

უფრო ფართოდ უდგება საკითხს და, შესაბამისად, უფრო ქმედითად იცავს ცესიონერის ინტერესებს იტალიური სამართალი. იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1260-ე მუხლის მე-2 ნაწილი წინაპირობად არ აყენებს სავალო ან სხვაგვარი დოკუმენტის კრედიტორისათვის გადაცემას ან სხვა ფორმალობას. საკმარისია ცესიონერის მხრიდან კეთილსინდისიერება, არცოდნა იმ ფაქტისა, რომ მოთხოვნის დათმობა გამორიცხული იყო. შედეგად, მოთხოვნის დათმობის შესახებ შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა აღნიშნული ცესიონერის მიმართ.

მოთხოვნის დათმობის გამორიცხვა შეიძლება უსიტყვოდაც იქნეს შეთანხმებული ან იგი მხარეთა შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარეობდეს. მაგ., ასეთი დათქმა ყოველთვის იგულისხმება კონტოკორენტის ხელშეკრულებაში<sup>73</sup>. შესაძლებელია წინასწარ მოთხოვნის დათმობის გამორიცხვა მომავალში წარმოშობილი მოთხოვნების მიმართაც (მაგ., ამხანაგობის ხელშეკრულების დადებამდე მონაწილეებს შორის იმ მოთხოვნების მიმართაც, რომელთა გადაცემა არ არის აკრძალული სამოქალაქო კოდექსის 936-ე მუხლით).

<sup>72</sup> შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის 164-ე მუხლის მე-2 ნაწილი

<sup>73</sup> Palandt, დასახელებული ნაშრომი, გვ. 586

აღსანიშნავია, რომ მოთხოვნის დათმობის გამორიცხვის დათქმა არ ეხება მის სხვაგვარ (გარდა გასხვისებისა) განკარგვას. მაგ., დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული აღნიშნული დათქმის მიუხედავად მოთხოვნის დაგირავება იმ პირობით, რომ საგანზე, რომელიც წარმოადგენს ვალდებულების ობიექტს, საერთოდ შეიძლება იძულებითი აღსრულება<sup>74</sup>.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ სამართლის განვითარების თანამედროვე ტენდენციები მიდის იმ გზით, რომ გაადვილდეს მოთხოვნის დათმობა იმ შემთხვევებშიც, როდესაც ხელშეკრულების ტექსტიდან გაურკვეველია, გამორიცხული არის თუ არა უფლების გადაცემა. ასე, მაგ., კალიფორნიის სამოქალაქო კოდექსის ცვლილებები ქირაგნობის უფლების დათმობის მიმართ ორაზროვან ტექსტს განმარტავს უფლების გადაცემის დასაშვებობის სასარგებლოდ (§1995.220).

ამასთან კოდექსი დასაშვებად მიიჩნევს, რომ მხარეთა ნებით ქირაგნობის უფლების დათმობა დამოკიდებული იყოს მესაკუთრის თანხმობაზეც, ხოლო ამ თანხმობის მიცემა ან მასზე უარის თქმა – შეიზღუდოს ნებისმიერი ნორმით ან პირობით. მესაკუთრის თანხმობაზე უარი არ შეიძლება ითქვას უსაფუძვლოდ. აქვე §1995.220 ადგენს პრეზუმფციას:

“თუ ქირაგნობის ხელშეკრულებაში დამქირავებლის უფლების გადაცემის შეზღუდვა ითხოვს მესაკუთრის თანხმობას, მაგრამ არ ითვალისწინებს თანხმობის მიცემის ან მასზე უარის თქმის წესს, გადაცემის შეზღუდვა უნდა განიმარტოს ისე, თითქოს მასში შეტანილია ნაგულისხმევი ნორმა იმის თაობაზე, რომ მესაკუთრის თანხმობის მიცემაზე არ შეიძლება უარი ითქვას უსაფუძვლოდ. კონკრეტულ შემთხვევაში მესაკუთრის მიერ თანხმობაზე უარი ნათქვამი იყო უსაფუძვლოდ თუ არა, ფაქტობრივი საკითხია, რომლის მტკიცების ტვირთი ეკისრება დამქირავებელს”.

ზემოთ განხილულ მოთხოვნის დათმობის ნამდვილობის წინაპირობებს *ნიდერლანდების 1992 წლის სამოქალაქო კოდექსი უმატებს კიდევ ერთს – მოთხოვნის დათმობის შესახებ მოვალის შეტყობინებას*. ეს სიახლეა ევროპული ქვეყნების კანონმდებლობებში. როგორც საქართველოს, ისე ევროპული ქვეყნების არც ერთ სამართალი მოთხოვნის დათმობის ნამდვილობას არ უკავშირებს

<sup>74</sup> Palandt, დასახელებული ნაშრომი, იქვე

მოვალისათვის შეტყობინებას; მართალია, შეუტყობინებლობის შემთხვევაში გათვალისწინებულია ახალი კრედიტორისათვის არახელსაყრელი შედეგები (მაგ., მოვალის მიერ ძველი კრედიტორისათვის შესრულების უფლება), მაგრამ თვით მოთხოვნის დათმობის გარიგება ნამდვილია მისი დადების მომენტიდან ყოველგვარი შეტყობინების გარეშე.

### **§3. მოთხოვნის დათმობის ფორმა**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ადგენს რაიმე სპეციალურ ფორმას მოთხოვნის დათმობის გარიგებისათვის. სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე მხარეებს, ზოგადი წესით, თავისუფლად შეუძლიათ განსაზღვრონ მოთხოვნის დათმობის ფორმა. ამ დროს მოქმედებს გარიგების ფორმის შესახებ ზოგადი ნორმები – სამოქალაქო კოდექსის 69-71 მუხლები.

ამდენად, მოთხოვნის დათმობა შეიძლება დაიდოს როგორც წერილობით (მათ შორის, სანოტარო წესით), ისე ზეპირად, მხარეთა უბრალო ზეპირი ნების გამოვლინებით. ისევე, როგორც თავისი ნამდვილობისათვის, დათმობა არ საჭიროებს მის საფუძველად არსებული კაუზალური ხელშეკრულების არსებობას ან ნამდვილობას, მოთხოვნის დათმობის გარიგების ფორმაც არ არის დამოკიდებული კაუზალური ხელშეკრულების ფორმაზე; კანონი არ ითხოვს მოთხოვნის დათმობისათვის სპეციალური ფორმის დაცვას მაშინაც, როდესაც მოთხოვნა გამომდინარეობს ფორმასავალდებულო გარიგებიდან. მაგ., უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს სანოტარო წესით, მაგრამ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება სანოტარო წესს აღარ საჭიროებს. მოთხოვნის დათმობის გარიგებისათვის სპეციალური ფორმის დაცვა მაშინაც არ არის სავალდებულო, როდესაც მოთხოვნის დათმობის საფუძველად არსებული კაუზალური გარიგება ფორმასავალდებულოა.



მოთხოვნის დათმობის გარიგების ფორმის არჩევის თავისუფლება ზოგადი წესია, საიდანაც კანონით შეიძლება დადგინდეს გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც გარიგების ფორმის ან სხვა ფორმალობების დაცვა სავალდებულო ხდება. ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევებს განეკუთვნება იპოთეკის უფლებით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დათმობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 295-ე მუხლის მე-3 წინადადების თანახმად:

„მოთხოვნის გადაცემა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ნამდვილად, როცა წერილობითი ფორმით დამოწმებული საბუთი იპოთეკის დადგენის შესახებ ან იპოთეკის მოწმობა (ასეთი არსებობის შემთხვევაში) გადაეცემა ახალ კრედიტორს (ამ კოდექსის 289<sup>4</sup> მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით). მოთხოვნის გადაცემა რეგისტრირდება საჯარო რეესტრში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაცემულია იპოთეკის მოწმობა“.

საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კანონმდებლობებისაგან განსხვავებით, შვეიცარიის ვალდებულებითი კანონი მოთხოვნის დათმობის ნამდვილობისათვის ითხოვს მის წერილობით დადებას (შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის 165-ე მუხლის პირველი ნაწილი). თუმცა კრედიტორის მიერ კუთვნილი მოთხოვნის სხვა პირზე დათმობის ვალდებულება (დათმობის შეპირება) შეიძლება დაიდოს წერილობითი ფორმის გარეშეც. ეს განსხვავება ნათელი მაგალითია იმ დიფერენციაციისა, რომელსაც გერმანული სამართლის მსგავსად შვეიცარიული სამართალიც ავლებს მოთხოვნის დათმობას როგორც განკარგვით გარიგებასა და ვალდებულებით-სამართლებრივ ხელშეკრულებას შორის. სანივთო-სამართლებრივი შედეგი – მოთხოვნის ახალ კრედიტორზე გადასვლა დგება მხოლოდ განკარგვითი გარიგების მეშვეობით, ხოლო ეს უკანასკნელი ნამდვილია მისი წერილობით დადების შემთხვევაში. შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის 166-ე მუხლის თანახმად, კანონის ან სასამართლოს გადაწყვეტილების ძალით მოთხოვნის გადაცემის მიმართ წერილობითი ფორმის დაცვა სავალდებულო არ არის.

მოთხოვნის დათმობის ფორმის საკითხში საქართველოს, გერმანიისა და შვეიცარიის კანონმდებლობებისაგან დიამეტრალურად განსხვავებული გადაწყვეტა გვხვდება რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობაში. კერძოდ, რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის ნორმამ მოთხოვნის

დათმობის ფორმა დამოკიდებული გახდა კანონით დადგენილ იმ გარიგების ფორმაზე, საიდანაც გამომდინარეობს დასათმობი მოთხოვნა; თუ რომელიმე გარიგების დადებისათვის კანონით სავალდებულოა მარტივი წერილობითი ან სანოტარო ფორმით, ან თუ გარიგება ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას, მაშინ მოთხოვნის დათმობაც უნდა დაიდოს (დამოწმდეს, რეგისტრაციაში გატარდეს) იგივე წესით. რუსი კანონმდებლის ასეთი გადაწყვეტა გარკვეულწილად უკან გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს მოთხოვნის ფორმის თავისუფლების გაბატონებული წესის ფონზე; იგი გაუმართლებლად ზედმეტად ტვირთავს სამოქალაქო ურთიერთობების სუბიექტებს, როდესაც აუცილებლად მოითხოვს დათმობის გარიგების ნამდვილობისათვის იმ ფორმალობის დაცვას, რა ფორმალობაც არის დადგენილი ძირითადი გარიგებისათვის. თუნდაც თუ მიუზღუნდებით ზემოთ აღნიშნულ მაგალითს უძრავი ქონების ნასყიდობის ფასის მოთხოვნის დათმობის შესახებ, ძნელი წარმოსადგენი არ იქნება, თუ რა გართულებამდე მივალთ ამ შეთანხმების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის სავალდებულობის დაწესებით. ასეთი დანაწესი სრულიად გასცდება კანონმდებლის მიერ უძრავი ქონების რეგისტრაციისათვის მინიჭებულ დანიშნულებასა და მიზანს, თავიდან აიცილოს გაუგებრობები უძრავი ქონების კუთვნილებისა და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.

მოთხოვნის დათმობის სპეციალურ ფორმას ადგენს კალიფორნიის სამოქალაქო კოდექსი იმ დოკუმენტში გამოსახული მოთხოვნის დათმობისათვის, რომელიც არ წარმოადგენს ფასიან ქაღალდს. სამოქალაქო კოდექსის 1459-ე მუხლი ადგენს:

“წერილობითი ხელშეკრულება ფულადი თანხის გადახდისათვის ან მოძრავი ქონების თაობაზე, რომელიც არ წარმოადგენს ფასიან ქაღალდს, შეიძლება გადაცემულ იქნეს ინდოსამენტის მეშვეობით ისევე, როგორც ხდება ფასიანი ქაღალდის გადაცემა. ასეთი ინდოსამენტი გადასცემს დოკუმენტით გათვალისწინებულ ცედენტის ყველა უფლებას ცესიონერს იმ ყველა შესაგებლის შენარჩუნებით, რომელიც არსებობდა გამცემის სასარგებლოდ ინდოსირების დროისათვის”.

ამ მუხლში პირდაპირ არის განსაზღვრული, თუ რა შინაარსის ხელშეკრულება შეიძლება იქნეს გადაცემული. აქ საუბარია სესხის ხელშეკრულებაზე, რომლის საგანს წარმოადგენს ან ფული ან სხვა მოძრავი ქონება. გადაცემა ხორციელდება ინდოსამენტის მეშვეობით, კერძოდ, ხელშეკრულებაზე გადამცემი წარწერით, როგორც ამას ადგილი აქვს ფასიანი ქაღალდების ინდოსირების შემთხვევაში.

რადგანაც სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გამსესხებელს აქვს მხოლოდ უფლება, მოითხოვოს ფულადი თანხის ან სხვა გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ქონების გადაცემა, ხოლო მსესხებელს კი ეკისრება მხოლოდ ვალდებულება ამის შესრულებისა, – §1459-ში სახეზე გვაქვს მხოლოდ უფლების გადაცემა (თუმცა კანონი ახსენებს “ხელშეკრულების” გადაცემას) და არა ვალდებულებისა; შესაბამისად, მოვალის (მსესხებლის) თანხმობა სავალდებულო არ არის; ხელშეკრულების გადაცემა შეიძლება მოხდეს მისი სურვილის საწინააღმდეგოდაც.

*ფასიან ქაღალდებში გამოსახული მოთხოვნის დათმობის თავისებურებანი.*

სამართლებრივი რეგულირების ცალკე სფეროს განეკუთვნება ფასიან ქაღალდში გამოსახული მოთხოვნისა და უფლების გადაცემა. წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში ავტორის მიზანი არ არის ფასიანი ქაღალდების სამართლებრივი ბუნების გაშუქება. შევეხებით მხოლოდ სამოქალაქო ბრუნვის ამ ინსტრუმენტის მეშვეობით მოთხოვნისა და უფლების გადაცემის სამართლებრივ ასპექტებს.

მანამდე, სანამ განვიხილავთ ფასიან ქაღალდში გამოსახული მოთხოვნისა და უფლების გადაცემის თავისებურებებს, აუცილებლად მიგვაჩნია ზოგადად აღვნიშნოთ ფასიანი ქაღალდის ცნება.

ქართულ კანონმდებლობაში არ არსებობს ფასიანი ქაღალდების ზოგადი დეფინიცია. განმარტებას არ იძლევა “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ” 1998 წლის 24 დეკემბრის საქართველოს კანონი, თუმცა მის მე-2 მუხლში არის ჩამონათვალ იმ დოკუმენტებისა, რომლებიც ამ კანონით მიიჩნევა ფასიან ქაღალდებად:

“32. ფასიანი ქაღალდი (ფასიანი ქაღალდები) – მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტები და უფლებები, რომელთა საჯარო შეთავაზებაც შესაძლებელია წილობრივი თუ სასესხო ფასიანი ქაღალდების სახით, ან რომლებიც არიან ასეთებზე ხელმოწერისა თუ შექმნის უფლების მატარებლები, საინვესტიციო ხელშეკრულებები და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული სხვა ინსტრუმენტები და უფლებები. ამ კანონით შემდეგი ინსტრუმენტები არ განიხილება და არ რეგულირდება როგორც ფასიანი ქაღალდები:

- ა) ბანკების ვალდებულებები, დაკავშირებული დეპოზიტებთან ან სხვა ფიქსირებულ ვადიან ფინანსირებასთან, რომლებსაც წარმოქმნის კლიენტთა პირდაპირი, შუამავლის გარეშე მომსახურება და რომლებისთვისაც არ არის დამახასიათებელი საჯარო მიმოქცევა;
- ბ) ნებისმიერი სადაზღვევო პოლისი ან ენუიტური კონტრაქტი, გამოშვებული დაზღვევის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი იურიდიული პირის მიერ;
- გ) ჩეკები (რეგულირდება საქართველოს კანონით “ჩეკების შესახებ”);
- დ) კომისიის წესებით განსაზღვრული გამონაკლისი ხელშეკრულებები ან ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა რეგულირებაც შესაბამისად ხორციელდება სხვა კანონებით”.

ეს აღწერილობა შორსაა ფასიანი ქაღალდების ცნებისაგან, რომელშიც განმარტებულ უნდა იქნეს მისი არსი და იურიდიული ბუნება. ამ მხრივ აღსანიშნავია რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლში მოცემული დეფინიცია:

“ფასიან ქაღალდს წარმოადგენს დოკუმენტები, რომელიც დადგენილი ფორმისა და სავალდებულო რეკვიზიტების დაცვით ადასტურებს ქონებრივ უფლებებს, რომელთა რეალიზაცია ან გადაცემა შეიძლება მხოლოდ ფასიანი ქაღალდის წარდგენის შემთხვევაში”.

ევროპული კანონმდებლობების მსგავსად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ფასიან ქაღალდებს ეოფს სამ სახედ:

1. საწარმდგენლო;
2. საორდერო; და
3. პირად ფასიან ქაღალდებად.

ფასიან ქალაქში გამოსახული უფლებისა თუ მოთხოვნის გადაცემის წესი დამოკიდებულია სწორედ იმაზე, თუ რომელი სახის ფასიანი ქალაქის მეშვეობით ხდება მათი გადაცემა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 913-ე მუხლის თანახმად, საწარმდგენლო ფასიან ქალაქებში მოცემული უფლების (მოთხოვნის) გადაცემა ხდება მოძრავი ნივთის გადაცემისათვის დადგენილი წესების მიხედვით. კანონი მითითებას ახდენს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმადაც მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის საჭიროა ამ ნივთის შექმნის მფლობელობაში გადაცემა. საკუთრების უფლება საწარმდგენლო ფასიან ქალაქში გამოსახულ უფლებაზე (მოთხოვნაზე) მიჰყვება თვით ქალაქს და გადასულად ჩაითვლება მხოლოდ ამ უკანასკნელის შექმნისათვის გადაცემის მომენტიდან. რაიმე სხვა დამატებითი ფორმალობის დაცვა საჭირო არ არის. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც თვით კოდექსის 913-ე მუხლის ნორმიდან ჩანს, საწარმდგენლო ფასიან ქალაქებში მოცემული უფლების (მოთხოვნის) გადაცემა არ ხდება მოთხოვნის დათმობის გარიგების მეშვეობით და მის მიმართ ამ გარიგების მარეგულირებელი ნორმები არ მოქმედებს. სახეზეა წმინდა სანივთოსამართლისეული საკუთრების უფლების გადაცემის წესი.

საორედერო ფასიან ქალაქში (თამასუქი, ჩეკი) გამოსახული უფლების გადაცემა ხორციელდება ინდოსამენტითა და ფასიანი ქალაქის შექმნის მფლობელობაში გადაცემით (სამოქალაქო კოდექსის 923-ე მუხლის მე-2 ნაწილი). კანონში საუბარია ინდოსამენტზე, რომელიც ცალმხრივი წერილობითი განცხადებაა; ამდენად, აქაც ადგილი არა აქვს მოთხოვნის დათმობას. თუმცა გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებულია საორედერო ფასიან ქალაქში გამოსახული უფლების გადაცემის შესაძლებლობა არა მარტო ინდოსამენტის მეშვეობით, არამედ – მოთხოვნის დათმობის გარიგებითაც<sup>75</sup>. სწორედ ასეა გადაწყვეტილი იტალიის სამოქალაქო კოდექსის 2015-ე მუხლში:

“საორედერო ფასიანი ქალაქის შექმნას სხვა საშუალებით, გარდა ინდოსირებისა, აქვს იგივე სამართლებრივი შედეგი, რასაც მოთხოვნის დათმობას”.

<sup>75</sup> Palandt, დასახელებული ნაშრომი, გვ. 581

პირად ფასიან ქალაქში გამოსახული უფლების გადაცემა ხორციელდება ამ უფლებისათვის დადგენილი წესით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 928-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მაშასადამე, ამ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოთხოვნის დათმობას, თუ საქმე ეხება ისეთ პირად ფასიან ქალაქს, რომელშიც გამოსახული უფლების (მოთხოვნის) გადაცემაც მოთხოვნის დათმობით ხორციელდება. ასეთი გადაცემის მიმართ მოქმედებს მოთხოვნის დათმობის მარეგულირებელი ნორმები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 207-ე მუხლის საფუძველზე.

#### **§4. ფიდუციარული მოთხოვნის დათმობა. საინკასო ცესია**

*ზოგადად.*

განსახილველი თემის ფარგლებში ფიდუციარული მოთხოვნის დათმობისა და საინკასო ცესიის მიმოხილვა საჭიროდ მიგვაჩნია არა მარტო ამ ინსტიტუტების ღირშესანიშნავი სამართლებრივი ბუნების გამო, არამედ მათი უდიდესი პრაქტიკული როლის გამოც, რასაც ისინი თამაშობს თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურ ურთიერთობებში.

ფიდუციარული საკუთრების უფლებით გადაცემის, ფიდუციარული მოთხოვნის დათმობისა და საინკასო ცესიის ინსტიტუტებს, სამწუხაროდ, თანამედროვე ქართული სამოქალაქო სამართალი არ იცნობს. არ იცნობს იგი არა თუ საკანონმდებლო დონეზე, არამედ მათზე ღუმს თანამედროვე იურიდიული ლიტერატურაც. ერთადერთი მინიშნება ფიდუციარული საკუთრების უფლებით გადაცემის თაობაზე არის ლ. ჭანტურიას მონოგრაფიაში “საკუთრება როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება”.

ფიდუციარული მოთხოვნის დათმობისა და საინკასო ცესიის ინსტიტუტებს განვიხილავთ ძირითადად გერმანული სამოქალაქო სამართლის მაგალითზე, რადგანაც ამ ინსტიტუტებმა ყველაზე დამუშავებული და დასრულებული სახე მიიღეს გერმანულ სამართლის მეცნიერებაში.

მანამდე, სანამ უშუალოდ შევუდგებოდეთ ფიდუციალური მოთხოვნის დათმობისა და საინკასო ცესიის სამართლებრივ ანალიზს, გვსურს, ზოგადად მიმოვიხილოთ ფიდუციალური გარიგებების ცნება.

ფიდუციალური საკუთრების უფლებით გადაცემა, ფიდუციალური მოთხოვნის დათმობა და საინკასო ცესია ფიდუციალური გარიგებებია. გერმანული სამართლის მეცნიერება მათ გარიგებათა ცალკე სახედ მიიჩნევს. ფიდუციალური ურთიერთობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ნდობის გამწვევი ქონებრივ უფლებას გადასცემს ნდობის მიმღებს, რომელიც მესამე პირებთან ურთიერთობებში სრულად აღჭურვილია უფლების რეალიზაციის უფლებამოსილებით, მაგრამ ნდობის გამწვევთან ურთიერთობაში ვალდებულებით-სამართლებრივად შებოჭილია, იმოქმედოს ნდობის გამწვევთან დადებულ ხელშეკრულებაში შეთანხმებული სახით<sup>76</sup>.

*ფიდუციალური მოთხოვნის დათმობა. ფიდუციალური საკუთრების უფლებით გადაცემა.*

სამართლის მეცნიერება ფიდუციალურ ურთიერთობებს ყოფს ძირითადად ორ სახედ იმისდა მიხედვით, თუ რომელი მხარის – ნდობის გამწვევისა თუ ნდობის მიმღების ინტერესებში ხორციელდება ფიდუციალური ურთიერთობის წარმოშობა.

პირველ შემთხვევაში სახეზეა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე საუზრუნველყოფო ფიდუციალური ურთიერთობა, მეორე შემთხვევაში – სხვისი ინტერესებიდან გამომდინარე (მმართველობითი) ფიდუციალური ურთიერთობა<sup>77</sup>. საუზრუნველყოფო ფიდუციალურ ურთიერთობას წარმოადგენს სწორედ ნივთის ფიდუციალური საკუთრების უფლებით გადაცემა (Sicherungsübereignung) და მისი ნაირსახეობა – ფიდუციალური მოთხოვნის დათმობა (Sicherungsabtretung), როდესაც ფიდუციალური ურთიერთობის ობიექტია არა ნივთი, მატერიალური საგანი (მასზე საკუთრების უფლება), არამედ – მოთხოვნა, უფლება. სხვისი ინტერესებიდან გამომდინარე საუზრუნველყოფო ფიდუციალურ ურთიერთობას წარმოადგენს საინკასო ცესია.

<sup>76</sup> Palandt, დასახელებული ნაშრომი, გვ. 583

<sup>77</sup> Palandt, დასახელებული ნაშრომი, იქვე

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფიდუციალურ გარიგებათა პრაქტიკული მნიშვნელობა თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებში უდიდესია. მათი მეშვეობით ხდება სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ისეთი ინტერესების დაკმაყოფილება, რომელთა დაკმაყოფილება ვერ ხერხდება სამოქალაქო კანონმდებლობით განმტკიცებული სამართლებრივი საშუალებებით. გერმანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში ფიდუციალური საკუთრების უფლებით გადაცემას და ფიდუციალური მოთხოვნის დათმობას უპირატესობას ანიჭებენ მოთხოვნათა უზრუნველყოფის ტრადიციულ, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ინსტიტუტებს – გირავნობას, იპოთეკას. ისმის კითხვა, რატომ არის უფრო მიზანშეწონილი ეკონომიკურ საქმიანობაში (მაგ., სასესხო ურთიერთობა) ფიდუციალური საკუთრების უფლებით გადაცემის (ფიდუციალური მოთხოვნის დათმობის) გამოყენება კრედიტორის მიერ თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად? პასუხის გაცემა არ იქნება ძნელი, თუ განვიხილავთ ამ გარიგებათა სამართლებრივ ბუნებას.

ფიდუციალური საკუთრების უფლებით გადაცემის (ფიდუციალური მოთხოვნის დათმობის) სამართლებრივი ბუნება შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

მოვალე გადასცემს საკუთრების უფლებას ნივთზე (უფლებასა თუ მოთხოვნაზე) თავის კრედიტორს იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელმა საკუთრების უფლებით იქონიოს ნივთი (უფლება თუ მოთხოვნა) მხარეებს შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად. სამართლებრივად მხარეები, ჩვეულებრივ, დებენ სანივთო შეთანხმებას საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ (“Einigung”) ან მოთხოვნის დათმობას (“Abtretung”) უფლებისა და მოთხოვნის შემთხვევაში, რომლებსაც ერთადერთი სამართლებრივი საფუძველი (causa) აქვს – ესაა მხარეთა შორის შეთანხმებული უზრუნველყოფის მიზანი<sup>78</sup>. ამდენად, საჭიროება აღარ არის, მხარეებმა მიუთითონ კანონით დაშვებული სხვა სამართლებრივი საფუძველი (ნასყიდობა, ჩუქება და სხვა). საუზრუნველყოფო დათქმაში მხარეები განსაზღვრავენ, რომელი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად ხდება ფიდუციალური ურთიერთობის დადგენა და თანხმდებიან იმაზე, რომ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში

<sup>78</sup> Schwerpunkte, დასახელებული ნაშრომი, გვ. 50



გარიგების ობიექტი – ნივთი თუ უფლება გამოყენებულ იქნება კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ გადაწყვიტონ ნივთის (უფლების, მოთხოვნის) შემდგომი ბედი: კერძოდ, მათ შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ გადაცემული ნივთი (უფლება, მოთხოვნა) უნდა გაიყიდოს (ამასთან, აუცილებელი არ არის აუქციონის ჩატარება) და ამოღებული თანხებიდან მოხდეს კრედიტორის დაკმაყოფილება ან, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ნივთი (უფლება, მოთხოვნა) დარჩება კრედიტორს საკუთრების უფლებით.

ამ სამართლებრივ კონსტრუქციას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს დღევანდელ საქართველოში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, როდესაც უკიდურესად არადამაკმაყოფილებლად არის ორგანიზებული საჯარო აუქციონების ჩატარება და, შესაბამისად, ჭირს გირავნობის საგნის რეალიზაციით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ფიდუციარული საკუთრების უფლებით გადაცემის დროს უზრუნველყოფის მიმღები სრულუფლებიანი მესაკუთრე ხდება. აქ ადგილი არა აქვს პირობადებული საკუთრების უფლებით გადაცემას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლი), რადგანაც მხარეთა ნება მდგომარეობს არა იმაში, რომ საკუთრების უფლების გადასვლა დამოკიდებული გახადონ რაიმე პირობაზე, არამედ აღჭურვილ უზრუნველყოფის მიმღები სრული მესაკუთრული უფლებამოსილებით, რათა მან შეძლოს თავისი ინტერესების ქმედითი დაკმაყოფილება ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. თუმცა შესაძლებელია ფიდუციარული საკუთრების უფლებით გადაცემა როგორც უზრუნველყოფის საშუალება გამოყენებულ იქნეს სამომავლო ან პირობითი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში მოთხოვნა ჯერ კიდევ არ არსებობს, საკუთრების უფლება გადასულად ჩაითვლება უზრუნველყოფის მიმღებზე, რადგანაც ფიდუციარული საკუთრების უფლებით გადაცემით დადგენილი უზრუნველყოფა თავისი სამართლებრივი ბუნებით აქცესორული არ არის.

ფიდუციარული მოთხოვნის დათმობის დროს ცესიონერი იძენს კრედიტორის სრულ სამართლებრივ მდგომარეობას. მას შეუძლია დათმობილი მოთხოვნის მოვალის მიმართ განახორციელოს კრედიტორის ყველა უფლება. მას

უფლება აქვს ჩაითვალოს თავისი მოთხოვნის ანგარიშში მოვალისაგან მიღებული სარგებელი. ამასთან, გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებული მოსაზრების თანახმად, მოვალეს არა აქვს შესაგებლის უფლება მოთხოვნის დათმობის საფუძველად არსებული ფიდუციალური დათქმიდან გამომდინარე<sup>79</sup>.

ფიდუციალური მოთხოვნის დათმობას (ფიდუციალური საკუთრების უფლებით გადაცემას) ერთი მიზანი აქვს: კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფა. შესაბამისად, ეს მიზანი აღარ არსებობს, როდესაც საუზრუნველყოფო მოთხოვნა დაკმაყოფილებულია ან მოთხოვნა არ არსებობს მისი გაქარწყლების, გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძველების გამო. ამიტომ სამართლიანობა მოითხოვს, მოთხოვნა (უფლება, ნივთი) დაუბრუნდეს უზრუნველყოფის გამცემს. გერმანული სამართლის მეცნიერების მიხედვით ეს არ ხდება ავტომატურად, კანონის ძალით, უშუალოდ იურიდიული ფაქტის წარმოშობისთანავე (მოთხოვნის დაკმაყოფილება, მისი გაქარწყლება), არამედ საჭიროა მხარეთა ახალი შეთანხმება მოთხოვნის (უფლების, ნივთის) უკან გადაცემაზე<sup>80</sup>. უზრუნველყოფის მიმღები ვალდებულია დადოს ასეთი შეთანხმება საუზრუნველყოფო დათქმის საფუძველზე. თუმცა, შესაძლებელია ისეთი შეთანხმება, რომლითაც ფიდუციალური მოთხოვნის დათმობა ვალდებულების შესრულების რეზოლუტიური (გაუქმების) პირობით იქნეს დადებული. ამ დროს ვალდებულების შესრულებასთან ერთად მოთხოვნა ავტომატურად უბრუნდება უზრუნველყოფის გამცემს<sup>81</sup>.

როგორია სამართლებრივი შედეგები იმ გარიგებისა, რომელსაც უზრუნველყოფის მიმღები დებს გადაცემულ ნივთზე (დათმობილ მოთხოვნაზე, უფლებაზე) საუზრუნველყოფო დათქმის პირობების საწინააღდეგოდ?

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ საუზრუნველყოფო დათქმის პირობების საწინააღდეგოდ დადებული გარიგება სამართლებრივი ძალის მქონეა, შემძენზე გადადის საკუთრების უფლება, რადგანაც უზრუნველყოფის მიმღები ნივთის (მოთხოვნის, უფლების) მესაკუთრეა

<sup>79</sup> Palandt, დასახელებული ნაშრომი, გვ. 583

<sup>80</sup> Schwerpunkte, დასახელებული ნაშრომი, გვ. 51

<sup>81</sup> Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვ. 237

და, შესაბამისად, უფლებამოსილი მის განკარგვაზე. თუმცა, მისი ქმედება ჩაითვლება ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ნაკისრი ვალდებულების დარღვევად და მას დაეკისრება უზრუნველყოფის გამცემისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამ უკანასკნელსაც შეუძლია თავისი შეხედულებით ისარგებლოს ვალდებულების დარღვევისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალებებით.

ფიდუციალური მოთხოვნის დათმობა, ისევე როგორც ფიდუციალური საკუთრების უფლებით გადაცემა, ფართოდ გამოიყენებოდა ნიდერლანდებში ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე. ფიდუციალური მოთხოვნის დათმობის პოპულარობა გამოწვეული იყო იმითაც, რომ იგი, მოთხოვნის დაგირავებისაგან განსხვავებით, ნამდვილი იყო მოვალის შეტყობინების გარეშე<sup>82</sup> იმ დროს, როდესაც ამ ფორმალობის გარეშე მოთხოვნის დაგირავება სამართლებრივი ძალის არმქონე იყო.

ნიდერლანდების ახალი სამოქალაქო კოდექსის მე-3 წიგნის 239-ე მუხლის თანახმად, ფიდუციალური საუზრუნველყოფო გარიგებები სამართლებრივი ძალის არმქონე გახდა. ამ ერთგვარი შეზღუდვის საკომპენსაციოდ, კოდექსის “გირავნობის შესახებ” თავში გათვალისწინებულ იქნა ნორმა, რომლის თანახმად განსაზღვრული პირების მიმართ მოთხოვნებზე გირავნობის უფლება “შეიძლება დადგინდეს სანოტარო წესით დამოწმებული აქტის ან რეგისტრირებული აქტის მეშვეობით (სანოტარო წესით დამოწმების გარეშე) ამ პირებისათვის (მოვალეებისათვის) შეყობინების გარეშე იმ პირობით, რომ ეს უფლება უკვე არსებობს გირავნობის უფლების დადგენის მომენტისათვის ან მისი შექმნა მოხდება უშუალოდ არსებული სამართალურთიერთობის საფუძველზე<sup>83</sup>”.

*საინკასო ცეხია.*

<sup>82</sup> Introduction to Dutch law, third revised edition, Kluwer law International, the Hague-London-Boston, გვ. 107

<sup>83</sup> ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის მე-3 წიგნის 239-ე მუხლის პირველი პარაგრაფი, ვუთითებ: Гражданский кодекс Нидерландов. Книги 2,3,5,6 и 7. – Перевод: М. Ферштман. Отв.ред. Ф.Й.М. Фельдбрюгге. Лейденский университет, юридический факультет. Институт восточно-европейского права и руссиеведения. Лейден, 2000

ისევე როგორც ფიდუციარული მოთხოვნის დათმობის შემთხვევაში, საინკასო ცესიის დროსაც ცესიონერი იძენს კრედიტორის სრულ სამართლებრივ მდგომარეობას და მას ენიჭება კრედიტორის სრული უფლებამოსილება. მაგრამ მისგან განსხვავებით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საინკასო ცესიის შემთხვევაში მოთხოვნის დათმობა ხდება არა ცესიონერის, არამედ, პირიქით, ცედენტის ინტერესებში, კერძოდ კი, იმისათვის, რომ ცესიონერმა მოახდინოს მოთხოვნის რეალიზაცია ცედენტის სასარგებლოდ. საინკასო ცესიონერს შეუძლია მოთხოვნის რეალიზაცია სასამართლოს მეშვეობით საკუთარი ინტერესის მტკიცების გარეშე<sup>84</sup>. მაგ., მხატვარი უთმობს მოთხოვნებს თავისი კლიენტების მიმართ მხატვართა კავშირს. მოთხოვნის რეალიზაციაში დახმარების გაწვევისათვის საზღაური და სხვა პირობები ცედენტსა და ცესიონერს შორის განისაზღვრება ცესიის საფუძველად არსებული კაუზალური გარიგების საფუძველზე.

საინკასო ცესიას გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ საინკასო დავალებისაგან (*Inkassomandat*). საინკასო დავალების დროს არ ხდება მოთხოვნის კრედიტორზე გადასვლა, არამედ – მხოლოდ მოთხოვნის რეალიზაციაზე უფლებამოსილების მინიჭება. “კრედიტორი არ თმობს მოთხოვნას, არამედ უფლებამოსილებას ანიჭებს სხვას, თავისი სახელით (არა როგორც კრედიტორის წარმომადგენელი) მოახდინოს მოთხოვნის რეალიზაცია. კრედიტორი თავის მოთხოვნას ასევე ინარჩუნებს და უფლებამოსილება შეუძლია ცალმხრივადაც გამოითხოვოს.” – ვერს ჰანს ბროქსი<sup>85</sup>.

იმ იურიდიულ ბუნებასთან, რაც ფიდუციარული საკუთრების უფლებით გადაცემას აქვს გერმანულ სამართალში, ახლოს დგას ინგლისურ-ამერიკულ სამართალში ცნობილი ე. წ. მოძრავი ქონების იპოთეკა – **mortgage of movables** ან **chattel mortgage**. მოძრავი ქონების იპოთეკის დროსაც მოვალე (უზრუნველყოფის გამცემი) გადასცემს საკუთრების უფლებას მოძრავ ნივთზე კრედიტორს (უზრუნველყოფის მიმღები) ამ უკანასკნელის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. მოვალე რჩება ნივთების მფლობელად და შეუძლია უზრუნველყოფის დადგენის შემდეგაც გააგრძელოს ამ ნივთებით

<sup>84</sup> Palandt, დასახელებული ნაშრომი, გვ. 584

<sup>85</sup> Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვ. 382

სარგებლობა. ვალდებულების შესრულების შემთხვევაში კრედიტორი ვალდებულია უკან გადასცეს ნივთზე საკუთრების უფლება მოვალეს.

იტალიური სამართალი ფიდუციალური საკუთრების უფლებით გადაცემას, როგორც ასეთს, არ აღიარებს, თუმცა, მასში დასაშვებად არის მიჩნეული უზრუნველყოფის მიმღებისათვის ქონების მიყიდვა უზრუნველყოფის გამცემის სასარგებლოდ უკან გამოსყიდვის დათქმით<sup>86</sup>.

ფრანგული სამართალი საერთოდ დაუშვებლად მიიჩნევს ფიდუციალური საკუთრების უფლებით გადაცემას იმ საფუძველით, რომ ამ დროს დაცული არ არის ნივთების (უფლებების) პუბლიკაციის უზრუნველყოფის წესი (როგორც წესი, ფიდუციალური საკუთრების უფლებით გადაცემის დროს არ ხდება მოძრავი ნივთის უზრუნველყოფის მიმღების მფლობელობაში გადაცემა). რაც შეეხება უზრუნველყოფის მიმღებისათვის ქონების მიყიდვისას უკან გამოსყიდვის დათქმას, იგი, ფრანგული სამართლის თანახმად, ბათილია როგორც თვალთმაქცური გარიგება<sup>87</sup>.

## **§5. ხელშეკრულების დათმობა**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს ცალკე მოთხოვნის დათმობას და ასევე ცალკე ვალის გადაკისრებას. სანივთო სამართლის ზოგად ნაწილში იგი არ შეიცავს რაიმე ნორმას ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის (ხელშეკრულების) მთლიანად – როგორც მოთხოვნების, ისე ვალდებულებების – მესამე პირზე გადაცემის თაობაზე, რომლის შედეგად მესამე პირი იკავებს ხელშეკრულებაში თავდაპირველი კონტრაქტის ადგილს. თუმცა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამართლებრივი მდგომარეობის სხვა პირზე გადატანის ცალკეული კანონისმიერი შემთხვევები გათვალისწინებულია ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილში კონკრეტული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ.

<sup>86</sup> Manfred Wolf, დასახელებული ნაშრომი, გვ. 320

<sup>87</sup> Manfred Wolf, დასახელებული ნაშრომი, იქვე

უპირველეს ყოვლისა, აღნიშნულ შემთხვევას ადგილი აქვს საქირავნო ურთიერთობაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 572-ე მუხლის თანახმად, გამქირავებლის მიერ გაქირავებული ნივთის გასხვისება არ არის საფუძველი ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისა, არამედ “შემძენი იკავებს გამქირავებლის ადგილს და მასზე გადადის ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები”. ანალოგიური წესი დადგენილია საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებაში დამქირავებლის ოჯახის წევრების მიმართ, როდესაც ისინი დამქირავებელთან ერთად წარმართავენ ერთიან საოჯახო მეურნეობას (სამოქალაქო კოდექსის 571-ე მუხლი). ამ ნორმებში, ამდენად, საუბარია სრული სახელშეკრულებო მდგომარეობის გადაცემაზე და არა ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ცალკეული მოთხოვნების დათმობასა თუ ვალის გადაკისრებაზე.

სახელშეკრულებო მდგომარეობის სრული გადაცემა ხდება, აგრეთვე, დაზღვეული ქონების გასხვისების შემთხვევაში. ამ დროს შემძენზე გადადის დამზღვევის კუთვნილი უფლებები და მის მიერ დაზღვევის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (სამოქალაქო კოდექსის 833-ე მუხლი).

გერმანიის სამართალი ზემოაღნიშნულ შემთხვევებს უმატებს შემდეგს:

§1251-ის თანახმად, თუ ხდება დაგირავებული ნივთის გასხვისება, ახალი მოგირავნე კისრულობს ასევე გირავნობასთან დაკავშირებულ თავდაპირველი მოგირავნის ვალდებულებას დამგირავებლის მიმართ.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსში 1972 წელს შეტანილი დამატება – §613a სახელშეკრულებო მდგომარეობის გადაცემას ითვალისწინებს საწარმოს ან მისი ნაწილის გარიგების საფუძველზე გასხვისების შემთხვევაში შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ, რომლებიც არსებობს გადაცემის მომენტში.

გერმანულ მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკაში ხელშეკრულების დათმობა მიხნეულია ერთიან გარიგებად და არა მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების კომბინაციად<sup>88</sup>. ვინაიდან ხელშეკრულების დათმობის დროს ხდება როგორც ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან

<sup>88</sup> Palandt, დასახელებული ნაშრომი, გვ. 585

გამომდინარე უფლებების დათმობა, ისე ვალის გადაკისრება, შესაბამისად, ადგილი აქვს მოვალის შეცვლას, რაც საჭიროებს კრედიტორის თანხმობას. შესაბამისად, ხელშეკრულების დათმობის დროს აუცილებელია გადამცემის კონტაგენტის თანხმობა.

ხელშეკრულების დათმობის გარიგება შეიძლება დაიდოს როგორც სამმხრივი ხელშეკრულება<sup>89</sup>, რომელშიც ცედენტთან და ცესიონერთან ერთად მხარედ შევა დასათმობი ხელშეკრულების მეორე მხარე. ეს უკანასკნელი თავის თანხმობას ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ თავისი სახელშეკრულებო მდგომარეობის გადაცემაზე განაცხადებს სამმხრივ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით.

ხელშეკრულების დათმობის დროს მესამე პირი შემოდის უკვე მზა ურთიერთობაში და ენაცვლება ერთ-ერთ მხარეს. ამიტომ ამ ჩანაცვლების განხორციელებისათვის საჭიროა იმ ფორმის დაცვა, რაც დადგენილია დათმობილი ხელშეკრულებისათვის. ამით ხელშეკრულების დათმობა უხვევს მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების ფორმის თავისუფლების აღიარებულ პრინციპს.

ისევე როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსისათვის, დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობის სამოქალაქო კანონმდებლობისათვის ხელშეკრულების დათმობის ცალკე გარიგება უცნობია; ტრადიციულად ისინი ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ხელშეკრულების მხარის მიერ უფლებებისა და ვალდებულებების ერთდროულ გადაცემას სხვა პირზე აწესრიგებენ ცალ-ცალკე ინსტიტუტების მეშვეობით – მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების ნორმებით. მათგან გამონაკლისს წარმოადგენს უახლესი კანონმდებლობები – იტალიისა და ნიდერნალდების სამოქალაქო კოდექსები. ამ კოდექსების ავტორებმა ჩათვალეს, რომ ხელშეკრულების დათმობის დროს ადგილი აქვს სპეციფიკურ საკითხებს, რომლებიც სპეციალურ გადაწყვეტას საჭიროებს. შევეცდებით ამ ინსტიტუტის არსი გავაანალიზოთ ძირითადად ამ ნორმატიულ აქტებზე დაყრდნობით<sup>90</sup>.

---

<sup>89</sup> Palandt, დასახელებული ნაშრომი, იქვე

<sup>90</sup> იტალიისა და ნიდერნალდების სამოქალაქო კოდექსების გარდა, ხელშეკრულების დათმობა გათვალისწინებულია ჩილეს ახალ სამოქალაქო კოდექსში (მუხლები 1435-1439)

იტალიის სამოქალაქო კოდექსში ხელშეკრულების დათმობა გათვალისწინებულ იქნა ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის მე-2 ტიტულის – “ხელშეკრულებები ზოგადად” მე-7 თავში. მას დაეთმო 5 მუხლი. ხელშეკრულების დათმობის ცნება მოცემულია 1406-ე მუხლში:

“ყოველ მხარეს შეუძლია თავისი თავი მესამე პირით შეცვალოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობებში, რომლებიც წარმოიშვება ორმხრივი ხელშეკრულებიდან, თუ ჯერ არ მომხდარა ორმხრივი შესრულება და იმ პირობით, რომ მეორე მხარე ამაზე თანახმაა”.

რადგანაც ორმხრივ ხელშეკრულებაში მხარეს აქვს როგორც უფლებები, ისე ეკისრება ვალდებულებები, სხვა პირის მიერ ხელშეკრულებიდან გამსვლელი მხარის ადგილის დასაკავებლად საჭიროა მეორე მხარის თანხმობა. ხელშეკრულების დათმობის გარიგების შედეგად ხელშეკრულებიდან გამსვლელი მხარე კარგავს თავის უფლებებს და თავისუფლდება ვალდებულებისაგან. მაგრამ თუ ხელშეკრულების მეორე მხარემ განაცხადა, რომ იგი არ ათავისუფლებს გამსვლელ მხარეს, მას შეუძლია ამ უკანასკნელს წარუდგინოს სარჩელი ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ცესიონერი არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს (იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1408-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ცესიონერის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე ხელშეკრულების მეორე მხარემ უნდა შეატყობინოს გამსვლელ მხარეს შეუსრულებლობის მომენტიდან 15 დღის განმავლობაში.

რა მომენტიდან ითვლება ხელშეკრულების მხარის შეცვლა განხორციელებულად? 1407-ე მუხლი ითვალისწინებს ორ ასეთ შემთხვევას:

- ა) თუ ერთმა მხარემ წინასწარ განაცხადა თანხმობა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობებში მეორე მხარის მესამე პირით შეცვლაზე, შეცვლა მისთვის განხორციელებულად ჩაითვლება იმ დროიდან, როდესაც მას შეატყობინეს შეცვლის შესახებ ან როდესაც მან განახორციელა აქცეპტი.
- ბ) თუ დოკუმენტში შეტანილია დათქმა “საორდერო” ან მისი თანაბარმნიშვნელოვანი სიტყვა, მისი ინდოსირება იწვევს ინდოსატის მიერ ხელშეკრულებაში ინდოსანტის ადგილის დაკავებას.



ხელშეკრულების მხარის შეცვლით არსებული ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსი არ იცვლება. ამიტომ თავდაპირველ მხარეს კანონი ანიჭებს უფლებას, წაუყენოს ცესიონერს ყველა ის შესაგებელი, რომლებიც გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან. მას არ შეუძლია ცესიონერს წაუყენოს ის შესაგებელი, რომელიც ეფუძნება ცედენტთან არსებულ სხვა ურთიერთობებს; თუმცა მან შეიძლება ეს უფლება შეინარჩუნოს შეცვლაზე თანხმობის განცხადებისას<sup>91</sup>.

რაც შეეხება ცედენტსა და ცესიონერს შორის ურთიერთობებს, ცედენტი პასუხისმგებელია ხელშეკრულების ნამდვილობისათვის<sup>92</sup>.

როგორც წესი, ცედენტი არ არის პასუხისმგებელი ხელშეკრულების შესრულებისათვის, მაგრამ შეთანხმებით მან შეიძლება იკისროს ასეთი გარანტია. ასეთ შემთხვევაში იგი პასუხისმგებელია როგორც თავდები.

ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსში დადგენილია, რომ ხელშეკრულების დათმობის მიმართ მოქმედებს ვალის გადაკისრების ინსტიტუტის ზოგიერთი დებულება, კერძოდ:

1. დებულებები, რომლებიც ადგენს კრედიტორის წინასწარი თანხმობის სამართლებრივ შედეგებს;
2. დებულებები, რომლებიც ადგენს აქცესორული უფლებების ბედს ვალის გადაკისრებისას.

**§6. მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების განკარგვითი  
შედეგები ცალკეულ ვალდებულებით-სამართლებრივ  
ურთიერთობაში**

წინამდებარე ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს კერძო სამართლის იმ ინსტიტუტების სრულყოფილი მიმოხილვა, სადაც ვალდებულების შესრულების სახით გვევლინება მოთხოვნის დათმობა და/ან ვალის გადაკისრება.

<sup>91</sup> იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1409-ე მუხლი, ვუთითებ the Italian Civil Code, Oceana Publications, Inc., 1969

<sup>92</sup> იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1410-ე მუხლი, ვუთითებ the Italian Civil Code, 1969, იქვე

შემოვიფარგლებით მხოლოდ ზოგიერთ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების სამართლებრივი შედეგების ანალიზით.

მოთხოვნის დათმობისა და/ან ვალის გადაკისრების განკარგვითი სამართლებრივი შედეგი შეიძლება სხვადასხვა ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდეს – ნასყიდობა, ჩუქება, გაცვლა, ამხანაგობა (ერთობლივი საქმიანობა) და სხვა. განხილვის საგანს ამჟამად წარმოადგენს მხოლოდ შემდეგი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობები:

1. საწარმოს ნასყიდობა;
2. მემკვიდრეობის ნასყიდობა;
3. ფაქტორინგი.

#### *საწარმოს ნასყიდობა.*

საწარმოს ნასყიდობის დროს ადგილი აქვს მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების ერთდროულ განხორციელებას.

სხვა თანამედროვე სამოქალაქო კოდექსებისაგან განსხვავებით (მაგ., რუსეთის ფედერაციის, კვებეკის სამოქალაქო კოდექსები), ნასყიდობის ამ სახეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი თავისი თანამედროვე სახის მიუხედავად არ იცნობს. იმთავითვე გაუგებარია ქართველი კანონმდებლის მიერ ამ სამართლებრივი საკითხის სრული იგნორირება, რადგანაც ამ გარიგების საკანონმდებლო დონეზე რეგულირებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თანამედრო ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში. საკანონმდებლო ვაკუუმს ვერ ავსებს “მეწარმეთა შესახებ” კანონის მე-8 მუხლით დადგენილი ნორმები ინდივიდუალური საწარმოს, სოლიდარული პასუხისმგებლობისა და კომანდიტური საზოგადოებებში საწარმოთა შექმნის შესახებ. ამ მუხლში საუბარია არა საწარმოს გადაცემის გარიგებაზე, არამედ დადგენილია საწარმოს გადაცემის შემთხვევაში მისი ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობა. ამდენად, ქართულ სამართალში გადაუწყვეტელია ის სამართლებრივი საკითხები, რომლებიც წამოიჭრება საწარმოს ნასყიდობის დროს ერთდროულად მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრებასთან დაკავშირებით.

იმისათვის, რომ ნათლად დავინახოთ მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების სამართლებრივი შედეგები საწარმოს ნასყიდობის ხელშეკრულებაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა განვსაზღვროთ საწარმოს ცნება.

ქართულ იურიდიულ ტერმინოლოგიაში სიტყვა “საწარმო” უფრო კომერციული იურიდიული პირების კრებით სახელწოდებად გამოიყენება, ვიდრე ამ ცნების ნამდვილი და სწორი მნიშვნელობით. განსაკუთრებით ამ მხრივ აღსანიშნავია “მეწარმეთა შესახებ” კანონის ტერმინოლოგია. სწორედ მის ტექსტში კანონი ერთ ადგილას საუბრობს საწარმოს შექმნაზე და, მაშასადამე, საწარმოში მოიაზრებს ურთიერთობის ობიექტს, სხვა ადგილებში (და ძირითადად მთელ ტექსტში) – საწარმო არის კომერციული საზოგადოებები და ინდივიდუალური მეწარმე – სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი.

კანონის ტერმინოლოგიის ასეთი გაურკვეველობის მიუხედავად ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში საწარმო სწორად არის მიჩნეული პირთა და ქონების ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ერთიანობად<sup>93</sup>. “საწარმოს მიეკუთვნება” – წერს ლ. ჭანტურია. “ასევე საწარმოსა და მუშა-მოსამსახურეთა საქმიანობაც, გარდა ამისა, მას განეკუთვნება არამატერიალური ფასეულობანი, ფაქტობრივი ურთიერთობები, საწარმოო საიდუმლოებანი. საწარმოს ცნება მოიცავს ასევე მატერიალურ ფასეულობებსა (მაგალითად, მიწის ნაკვეთები, ძირითადი საშუალებები, ქარხნები, ფაბრიკები, ავტომანქანები, საქონელი, ფული და ა. შ.) და უფლებებს (კერძოდ, მოთხოვნები, პატენტები, სასაქონლო ნიშნები და ა. შ.), აგრეთვე, ვალდებულებებს”<sup>94</sup>.

მსგავს განმარტებას იძლევა გერმანული სამართლის მეცნიერება.

რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლის პირველ ნაწილში საწარმო განსაზღვრულია როგორც ქონებრივი კომპლექსი, რომელიც გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად.

ამავე მუხლში მოცემულია ჩამონათვალი იმ ქონებრივი თუ არაქონებრივი ობიექტებისა, რომელიც შედის საწარმოს შემადგენლობაში: ყველა სახის ქონება, რომელიც განეკუთვნება საწარმოს საქმიანობისათვის, მათ შორის,

<sup>93</sup> ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე – “მეწარმეთა შესახებ” კანონის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბილისი, “სამართალი”, 1998, გვ. 10

<sup>94</sup> ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე – დასახელებული ნაშრომი გვ. 11

მიწის ნაკვეთები, შენობები, ნაგებობები, დანადგარები, ინვენტარი, ნედლეული, პროდუქცია, მოთხოვნები, ვალები, ასევე საწარმოს, მისი პროდუქციის, სამუშაოსა და მომსახურების ინდივიდუალიზირების საშუალებები (საფირმო სახელწოდება, სავაჭრო ნიშნები, მომსახურების ნიშნები) და სხვა განსაკუთრებული უფლებები.

საწარმოს ცნებიდან ჩანს, რომ იგი შედგება როგორც აქტივებისაგან (ნივთები, უფლებები, მოთხოვნები), ისე პასივებისაგანაც, რომლებიც წარმოიშვება საწარმოს საქმიანობის შედეგად. ვინაიდან ქართული სამართალი არ იცნობს საწარმოს როგორც ერთიანი ობიექტის ნასყიდობის ხელშეკრულებას, აუცილებელი ხდება ამ გარიგების როგორც ცალკეულ ნაწილებად დაყოფილის გაგება; საწარმოს გადაცემა, კერძოდ, ხორციელდება მასში შემავალი ობიექტების გადაცემით: ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემით, მოთხოვნების დათმობით, ვალის გადაკისრებით და ა. შ. აქტივების გადაცემის ნაწილში რაიმე წინააღმდეგობა არ არსებობს. ქონების განკარგვის თავისუფლება აღიარებულია კანონმდებლობით. მათ შორის, მოთხოვნის დათმობაც ხორციელდება სხვა პირის (მოვალის) მონაწილეობის გარეშე. რაც შეეხება საწარმოს პასივებს, მათი განკარგვა გულისხმობს ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში მოვალის შეცვლას – ვალის გადაკისრებას, რისი ნამდვილობის წინაპირობაა კრედიტორის თანხმობა. ამას ემატება ობიექტური სირთულეებიც. ბევრ შემთხვევაში საწარმოს ნასყიდობის შემდეგ გამყიდველი უუნარო ხდება, შეასრულოს თავისი ვალდებულებები პარტნიორების წინაშე, რადგან მან დაკარგა ამისათვის აუცილებელი საწარმო-ტექნიკური ბაზა<sup>95</sup>. საწარმოს, ჩვეულებრივ, არა ერთი და ორი, არამედ შეიძლება რამდენიმე ათეული და ასეული კრედიტორი ჰყავდეს. საწარმოს ნასყიდობის ნამდვილობის დამოკიდებულება ასეთი დიდი რაოდენობის პირთა თანხმობაზე არარეალურს გახდიდა საერთოდ მის განხორციელებას. ამიტომ, ზოგიერთმა თანამედროვე კანონმდებლობამ შეიმუშავა ამ პრობლემის გადაწყვეტის გზები.

---

<sup>95</sup> Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации, части второй (постатейный), 2-е изд., испр. и доп., пор ред. О. Н. Садикова, Юридическая фирма «Контракт», Издательская группа «Инфра.М-Норма», Москва, 1998, გვ. 135-136

რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 562-ე მუხლში დადგენილია საწარმოს ნასყიდობის შემდეგი პროცედურა:

“1. იმ ვალდებულებათა კრედიტორები, რომლებიც შეტანილ იქნა საწარმოს შემადგენლობაში, მყიდველისათვის საწარმოს გადაცემამდე გაყიდვის შესახებ წერილობით უნდა გააფთხილოს საწარმოს ნასყიდობის ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ.

2. კრედიტორი, რომელმაც გამყიდველს ან მყიდველს წერილობით არ განუცხადა ვალის გადაკისრებაზე თანხმობის შესახებ, უფლებამოსილია საწარმოს გაყიდვის შესახებ შეტყობინების მიღებიდან სამი თვის განმავლობაში მოითხოვოს ან ვალდებულების შეწყვეტა ან ვალდებულების ვადამდე შესრულება და ამით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება გამყიდველის მიერ, ანდა მოითხოვოს საწარმოს ნასყიდობის ხელშეკრულების მოლიანად ან შესაბამის ნაწილში ბათილობა.

3. კრედიტორს, რომელიც არ იქნა გაფრთხილებული საწარმოს ნასყიდობის შესახებ იმ წესით, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტით, შეუძლია წარადგინოს სარჩელი წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული მოთხოვნების დაკამაყოფილების შესახებ ერთი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მან გაიგო ან უნდა გაეგო გამყიდველის მიერ მყიდველისათვის საწარმოს გადაცემის შესახებ.

4. მყიდველისათვის საწარმოს გადაცემის შემდეგ გამყიდველი და მყიდველი სოლიდარულად აგებენ პასუხს გადაცემული საწარმოს შემადგენლობაში შემავალ ვალებზე, რომლებიც გადაკისრებულ იქნა მყიდველზე კრედიტორის თანხმობის გარეშე.”

საინტერესო რეგულირებას ვხვდებით, აგრეთვე, კვებეკის სამოქალაქო კოდექსის ნორმებში (1767-1778 მუხლები). მათგან მოვიყვანთ მხოლოდ არსებით დებულებებს:

1. “ფასის გადახდამდე მყიდველი ვალდებულია გამყიდველისაგან მიიღოს დაფიცებული განცხადება, რომელიც შეიცავს გამყიდველის ყველა კრედიტორის სახელსა და მისამართს, ყოველი მათგანის მოთხოვნათა ოდენობის, დარჩენილი გადასახდელი თანხისა და თითოეული მათგანის სასარგებლოდ დადგენილი უზრუნველყოფის მითითებით. ფასის

გადახდამდე მყიდველმა უნდა მიმართოს ნასყიდობის შესახებ განცხადებაში მითითებულ პრივილეგიებულ და იპოთეკით უზრუნველყოფილ კრედიტორებს იმ მოთხოვნით, რომ მათ მოთხოვნიდან ოცი დღის განმავლობაში წერილობით განუცხადონ მას თავიანთი მოთხოვნებისა და, იპოთეკის არსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოფის ოდენობის შესახებ უზრუნველყოფის რიგითობის, ოდენობისა და დატვირთული ქონების ღირებულების გათვალისწინებით.

2. როდესაც ფასის გადახდა ხდება ნაღდი ფულით და იგი საკმარისია მყიდველის მიერ განცხადებაში მითითებული ყველა კრედიტორის დასაკმაყოფილებლად, მყიდველს აღარ ეკისრება ვალდებულება, შეატყობინოს ნასყიდობის შესახებ გამყიდველის პრივილეგიებულ და იპოთეკით უზრუნველყოფილ კრედიტორებს ან დაიცვას სხვა ფორმლობები, რომლებიც დადგენილია ნასყიდობის ფასის განაწილების მიმართ. თუმცა იგი ვალდებულია ნასყიდობის ფასის გადახდის გარდა დააკმაყოფილოს გამყიდველის ყველა კრედიტორი გარდა იმ კრედიტორებისა, რომლებმაც წერილობით განაცხადეს უარი თავიანთ უფლებაზე.
3. ნასყიდობის ხელშეკრულებაში მყიდველი და გამყიდველი უთითებენ პირს, ვისაც მყიდველმა უნდა გადასცეს ნასყიდობის ფასი კრედიტორებისათვის გასანაწილებლად. ეს პირი ვალდებულია მოამზადოს განაწილების გეგმა და მისი ასლი გადასცეს გამყიდველის მიერ განცხადებაში მითითებულ კრედიტორებს. თუ მისი გასაჩივრება არ მოხდება გაგზავნიდან ოცი დღის განმავლობაში, მითითებული პირი უხდის კრედიტორებს მათი მოთხოვნების პროპორციულად. თუ განაწილების გეგმა გასაჩივრდება, მითითებული პირი ნასყიდობის ფასიდან სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე აკავებს იმ თანხებს, რომლებიც საჭიროა მოთხოვნის გასაჩივრებული ნაწილის დასაფარავად გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოდავე მხარე არის ის კრედიტორი, ვისი სახელი გამყიდველმა არ განაცხადა, ხოლო გამყიდველი ეთანხმება მოთხოვნას; ამ შემთხვევაში კრედიტორი მონაწილეობს განაწილებაში.

4. როდესაც მყიდველმა დაიცვა დადგენილი ფორმალობები, გამყიდველის კრედიტორებს აღარ აქვთ მოთხოვნის უფლება ან სამართლებრივი დაცვის საშუალება მის მიმართ ან გაყიდული ქონების წინააღმდეგ, თუმცა ისინი ინარჩუნებენ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს გამყიდველის მიმართ“.

შვეიცარიის ვალდებულებითი კანონი ითვალისწინებს ერთდროულად როგორც საწარმოს, ისე ქონების სხვა პირისათვის გადაცემის დროს მათთან დაკავშირებულ ვალებზე შემძენის პასუხისმგებლობას. ამასთან შემძენის პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ვალის მიღება შეტყობინებულ იქნა კრედიტორებისათვის ან გამოქვეყნებულ იქნა გაზეთში. ძველი მოვალე მაინც სოლიდარულად აგებს პასუხს ახალ მოვალესთან ერთად ორი წლის განმავლობაში იმ ვადამოსული მოთხოვნებისათვის, რომლებიც შეტყობინებულ ან გამოქვეყნებულ იქნა.

სხვა შემთხვევებში ამ ვალის გადაკისრების ხელშეკრულებას აქვს ისეთივე მოქმედება, როგორც აქვს ცალკეული ვალდებულებების გადაკისრებას (ვალდებულებითი კანონის 181-ე მუხლი).

ასევე შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის თანახმად, თუ საწარმო სხვა საწარმოსთან ერთიანდება აქტივებისა და პასივების ორმხრივი მიღების შედეგად, მაშინ ორივე საწარმოს კრედიტორების ვალდებულებებისათვის პასუხისმგებელი იქნება გაერთიანებული საწარმო. იგივე მოქმედებს სოლიდარული ან კომანდიტური საზოგადოების შექმნისას იმ წარმოების პასივების მიმართ, რომელიც მანამდე სხვადასხვა მფლობელთა მიერ იმართებოდა.

ავსტრიის ზოგადი სამოქალაქო კოდექსიც გამოდის იქიდან, რომ ქონების გადაცემისას მას მიჰყვება ვალდებულებები და შემძენი ხდება კრედიტორის წინაშე პასუხისმგებელი გამსხვისებელთან (პირად მოვალესთან) ერთად. იგივე ეხება საწარმოსაც როგორც ქონებრივ კომპლექსს, რომელიც შედგება აქტივებისა და პასივებისაგან. შემძენი ქონების ან საწარმოს შეძენისას პასუხისმგებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მან იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა ქონების ან საწარმოს მიკუთვნებულ ვალებზე გასხვისების დროს (§1409). ამასთან, იგი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ მან ამ ვალებიდან უკვე იმდენი გადაიხადა, რამდენიც უტოლდება მიღებული

ქონების ან საწარმოს აქტივის ღირებულებას. მაშასადამე, შექმენის პასუხისმგებლობა შეზღუდულია იმ აქტივით, რაც მან მიიღო გამსხვისებლისაგან.

ზემოაღნიშნული წესიდან კანონი მოგვიანებით შესული დამატებებით ითვალისწინებს გამონაკლისს და ვალებისათვის პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს იმ პირს, ვინც ქონებას ან საწარმოს შეიძენს იძულებითი აღსრულების, გაკოტრების საქმის წარმოების, სამომრიგებლო წარმოების გზით<sup>96</sup>.

#### *მემკვიდრეობის ნასყიდობა.*

საწარმოს ნასყიდობის ინსტიტუტის მსგავსად, მემკვიდრეობის ნასყიდობას ქართული სამართალი არ აწესრიგებს. სამწუხაროდ, არც ქართული იურიდიული მეცნიერებისათვისაა ცნობილი მემკვიდრეობის როგორც ერთიანი ქონებრივი კომპლექსის სხვა პირზე გადაცემა. შეიძლება არსებობდეს აზრი, რომ ქართველმა კანონმდებელმა ზედმეტად მიიჩნია ამ ხელშეკრულების ცალკე ნორმებით რეგულირება, ვინაიდან საკმარისად მიიჩნია ნასყიდობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები. მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დეტალურადაა რეგულირებული ნასყიდობის ხელშეკრულება, მაგრამ მისი ნორმები ოპერირებს მხოლოდ ნივთებსა და უფლებებზე (მოთხოვნებზე); ნასყიდობის თავში არ მოიპოვება ნორმები, რომლებიც წყვეტს მემკვიდრეობის როგორც ქონებრივი კომპლექსის გადაცემის შემთხვევაში წარმოშობილ სამართლებრივ საკითხებს. ეს საკითხები მსგავსია საწარმოს ნასყიდობის დროს წამოჭრილი პრობლემებისა, რომლებიც განხილულ იქნა ზემოთ. კერძოდ, ისინი გამომდინარეობს მემკვიდრეობის – სამკვიდრო მასის შემადგენლობაში შემავალი ვალების გადაცემიდან. ისევე როგორც საწარმო, სამკვიდრო მასა შედგება როგორც აქტივებისაგან, ისე პასივებისაგან. ამიტომ მისი გადაცემის შემთხვევაში ხდება სამკვიდრო მასას მიკუთვნებული ვალების გადაკისრება. შესაბამისად, წამოიჭრება სამკვიდრო მასის კრედიტორთა ინტერესების დაცვის საკითხი. სწორედ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისათვის არის აუცილებელი მემკვიდრეობის ხელშეკრულების სპეციალური რეგულირება.

<sup>96</sup> ავსტრიის ზოგადი სამოქალაქო კოდექსის §1409a



მემკვიდრეობის ნასყიდობის ინსტიტუტი განხილულ იქნება, ერთი მხრივ, საფრანგეთის და, მეორე მხრივ, გერმანიის სამართლის მაგალითებზე. ამასთან, თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ამ ქვეყნების სამართალი მემკვიდრეობის ნასყიდობიდან გამომდინარე ცალკეულ ურთიერთობებს განსხვავებულად არეგულირებს.

საფრანგეთის სამოქალაქო სამართალი მემკვიდრეობის ნასყიდობის გარიგებას უფლების ნასყიდობად მიიჩნევს და განათავსებს ნასყიდობის ტიტულის მე-8 თავში – “მოთხოვნისა და სხვა არამატერიალური უფლებების გადაცემის შესახებ”. მას დათმობილი აქვს სულ სამი მუხლი: 1696-1698 მუხლები.

მემკვიდრეობის (სამკიდრო მასის) გასხვისებას, ისევე როგორც მოთხოვნის გადაცემას, სამოქალაქო კოდექსი ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივ საფუძველზე (კაუზაზე) ითვალისწინებს, თუმცა არ უარყოფს სხვა გარიგებით მისი გადაცემის შესაძლებლობასაც.

სამართლებრივი ბუნებით მემკვიდრეობის ნასყიდობის გარიგება – ნასყიდობის განსაკუთრებული სახეა და იგი რეგულირდება ნასყიდობის მომწესრიგებელი ზოგადი ნორმებით გარდა იმ სპეციალური წესებისა, რაც მოცემულია კოდექსის 1696-1698 მუხლებში. მემკვიდრეობის ნასყიდობის გარიგების დადებისათვის არ არის გათვალისწინებული რაიმე სპეციალური ფორმა. ამიტომ იგი ნამდვილია მხარეთა შორის ზეპირი შეთანხმებითაც, თუმცა, თუ გამყიდველს აქვს მემკვიდრეობასთან დაკავშირებული რაიმე საბუთი, იგი ვალდებულია გადასცეს ეს საბუთი მყიდველს.

ნასყიდობის მომწესრიგებელი ზოგადი წესებიდან პირველი გამონაკლისი მოცემულია 1696-ე მუხლში. თუ ამ ნორმებით გამყიდველს ეკისრება ორი ძირითადი ვალდებულება: ნივთის გადაცემის ვალდებულება და პასუხისმგებლობა (*garantie*) გადასაცემი ნივთის ნაკლისათვის, – მემკვიდრეობის ნასყიდობისას გამყიდველს ეკისრება მხოლოდ ერთი ვალდებულება: ნამდვილად იყოს მემკვიდრე; მას არ ეკისრება პასუხისმგებლობა სამკვიდრო მასაში შემავალი ნივთების ნაკლისათვის. ცხადია, როდესაც მემკვიდრეობის გახსნის შემდეგ სამკვიდრო მასა გამყიდველის მფლობელობაში აღმოჩნდება, იგი ვალდებული იქნება, გადასცეს მასაში შემავალი ნივთების ერთობლიობა მყიდველს.

მემკვიდრეობის ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველი არ იკავებს გამყიდველის ადგილს და არ ხდება მემკვიდრე. სამოქალაქო კოდექსის 1697-ე და 1698-ე მუხლებში წესრიგდება გამყიდველსა და მყიდველს შორის წარმოშობილი უფლება-ვალდებულებების ძირითადი საკითხები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მემკვიდრეობის ნასყიდობასთან დაკავშირებით:

#### “მუხლი 1697

თუ მან (გამყიდველმა) უკვე ისარგებლა რომელიმე მიწის ნაკვეთის ნაყოფით ან მიიღო საზღაური რომელიმე მოთხოვნაზე, რომელიც შედის ამ მემკვიდრეობაში, მაშინ იგი ვალდებულია შემძენს აუნაზღაუროს მათი ღირებულება, თუ მან პირდაპირ არ დაიტოვა ისინი ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს.

#### მუხლი 1698

შემძენმა, თავის მხრივ, გამყიდველს უნდა აუნაზღაუროს ის, რაც ამ უკანასკნელმა გადაიხადა მემკვიდრეობის ვალების და გადასახადების დასაფარავად, და შეასრულოს ის ვალდებულება, რომელშიც გამყიდველი კრედიტორი იყო, თუ მხარეები საწინააღმდეგოზე არ შეთანხმებულან.”

როგორც 1698-ე მუხლის ნორმიდან ჩანს, მემკვიდრეობის ნასყიდობის ხელშეკრულებით შემძენზე მემკვიდრეობის ვალები არ გადადის; მოვალედ რჩება მემკვიდრე-გამყიდველი<sup>97</sup>, თუ ხელშეკრულებაში მხარეები საწინააღმდეგოზე არ შეთანხმებულან. შემძენს ეკისრება მხოლოდ ვალდებულება, აუნაზღაუროს მას ვალებზე გაწეული ხარჯები და იგი სამკვიდრო მასას იღებს “სუფთად”, მხოლოდ აქტივებს<sup>98</sup>.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსში მემკვიდრეობის ნასყიდობა განთავსებულია მემკვიდრეობის სამართლის ბოლო განყოფილებაში და მას დათმობილი აქვს 15 პარაგრაფი.

გერმანულ იურიდიულ მეცნიერებაში უდავოდაა აღიარებული, რომ თავისი სამართლებრივი ბუნებით მემკვიდრეობის ნასყიდობა ჩვეულებრივი ნასყიდობის

<sup>97</sup> Ж. де ла Морандьер, დასახელებული ნაშრომი, გვ. 609

<sup>98</sup> გარკვეულწილად განსხვავებულად აწესრიგებს ამ საკითხს რომანული სამართლის ოჯახში შემავალი ქვეყნის – იტალიის კანონმდებლობა. იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1546-ე მუხლის თანახმად: “მყიდველი სოლიდარულად აგებს პასუხს გამყიდველთან ერთად მემკვიდრეობის ვალებზე, თუ მხარეები საწინააღმდეგოზე არ შეთანხმებულან”.

ხელშეკრულებაა მიუხედავად იმისა, რომ მისი მომწესრიგებელი ნორმები განთავსებულია კოდექსის მემკვიდრეობის სამართლის წიგნში; მის მიმართ მოქმედებს, აგრეთვე, ნასყიდობის მარეგულირებელი ნორმები, თუ მემკვიდრეობის სამართალში მოცემული სპეციალური ნორმებით განსხვავებული არ არის დადგენილი<sup>99</sup>.

როგორც ვაღიარებულა-სამართლებრივი გარიგება, მემკვიდრეობის ნასყიდობის ხელშეკრულება არ ცვლის გამყიდველის როგორც მემკვიდრის სტატუსს, არამედ წარმოადგენს მისი მხრიდან სამკვიდრო მასას მიკუთვნებული საგნების შემქენისათვის გადაცემის კისრებას<sup>100</sup>.

ფრანგული სამართლისაგან განსხვავებით, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მემკვიდრეობის მყიდველის პასუხისმგებლობას მამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე ისე, რომ არც გამყიდველი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მყიდველის პასუხისმგებლობა არ შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს მყიდველსა და გამყიდველს შორის შეთანხმებით<sup>101</sup>. მაგრამ მყიდველის პასუხისმგებლობა თავად შეზღუდულია კანონით. კერძოდ, §2383-ის თანახმად, “მყიდველის პასუხისმგებლობის მიმართ მოქმედებს მემკვიდრის პასუხისმგებლობის შეზღუდვის წესები. მყიდველი შეუზღუდავად აგებს პასუხს, თუ გაყიდვის მომენტისათვის შეუზღუდავად პასუხისმგებელია გამყიდველი”.

მემკვიდრეობის ნასყიდობის მარეგულირებელი ნორმები შესაბამისად გამოიყენება გამყიდველის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი მემკვიდრეობის ნასყიდობის და ასევე სხვა ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც მიმართულია მემკვიდრეობის გასხვისებისაკენ (§2385).

### *ფაქტორინგი.*

ფაქტორინგის ხელშეკრულებით ბანკი ან სხვა საკრედიტო დაწესებულება სასყიდლით იძენს სხვა პირთა კუთვნილ ფულად მოთხოვნებს. ფაქტორინგის

<sup>99</sup> Palandt, დასახელებული ნაშრომი, გვ. 2430

<sup>100</sup> Palandt, დასახელებული ნაშრომი, იქვე

<sup>101</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §2382

ლეგალური დეფინიცია მოცემულია “კომერციული ბანკების შესახებ” საქართველოს კანონში:

“ფაქტორინგი” – სავაჭრო-საკომისიო ოპერაციის სახეობა, რომელიც შეხამებულია კლიენტის საბრუნავი კაპიტალის დაკრედიტებასთან, მოიცავს კლიენტის დებიტორული დავალიანების ინკასირებას, დაკრედიტებას და საკრედიტო და სავალუტო რისკის გარანტიებს”.

ამ დეფინიციის გარდა, ფაქტორინგული ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა საქართველოს კანონმდებლობაში არ მოიპოვება. არც ახალი სამოქალაქო კოდექსის ავტორებმა არ ჩათვალეს მიზანშეწონილად ამ ხელშეკრულების ცალკე თავად გათვალისწინება ვალდებულებით სამართალში, მაშინ, როდესაც ეს განხორციელდა ზოგიერთი ქვეყნის თანამედროვე სამოქალაქო კანონმდებლობებში (იტალიის, დსთ-ის ქვეყნების სამოქალაქო კოდექსები) ან გათვალისწინებულია სავაჭრო კოდექსებში იმ ქვეყნებში, სადაც არ მომხდარა სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის ნორმების გაერთიანება ერთ ნორმატიულ აქტად.

ფაქტორინგის ხელშეკრულების ცალკე გათვალისწინება ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილში არ უნდა იქნეს მიჩნეული ზედმეტად იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით იმ მოსაზრებით, რომ სანივთო სამართალში უკვე არსებობს მოთხოვნის დათმობის მომწესრიგებელი ზოგადი ნორმები. მოთხოვნის დათმობასა და ფაქტორინგს შორის განსხვავება სწორედ რომ სამართლებრივი თვალსაზრისით უდიდესია, თუმცა, ეს ორი ინსტიტუტი შეიძლება გარეგნულად ერთმანეთს ჰგავდეს. განსხვავების დასადგენად ისიც კმარა, რომ ერთი წარმოადგენს განკარგვით გარიგებას და მისი მეშვეობით ხდება საკუთრების უფლების გადაცემა მოთხოვნებსა და უფლებებზე, როდესაც მეორე – ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობაა და იგი მხოლოდ საფუძვლად (კაუზად) გვევლინება ფულადი მოთხოვნის დათმობას. ფაქტორინგის ხელშეკრულებაში მხარე, რომელიც იძენს მოთხოვნებს (ფაქტორი), შეიძლება იყოს მხოლოდ ბანკი ან სხვა საკრედიტო დაწესებულება. ფაქტორინგის ხელშეკრულების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ფულადი მოთხოვნები. ფაქტორსა და კლიენტს შორის ურთიერთობაში წამოიჭრება სპეციფიკური საკითხები, რომლებიც საჭიროებს საკანონმდებლო დონეზე სპეციალურ

გადაწყვეტას (მაგ., რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 828-ე მუხლი ადგენს, რომ ფაქტორისათვის ფულადი მოთხოვნის დათმობა ნამდვილია იმ შემთხვევაშიც, თუ კლიენტსა და მის მოვალეს შორის არსებობს მოთხოვნის დათმობის გამორიცხვის ან შეზღუდვის თაობაზე შეთანხმება).

გერმანული სამართლის მეცნიერება და გერმანიის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა განასხვავებს ორი სახის ფაქტორინგს:

1. “ნამდვილი” ფაქტორინგი, რომლის დროსაც მოთხოვნის რეალიზაციის რისკი ეკისრება ფაქტორს. იურიდიულად ამ სახის ფაქტორინგს სასამართლოები მიიჩნევენ მოთხოვნის ნასყიდობად<sup>102</sup>.
2. “არანამდვილი” ფაქტორინგი, რომლის დროსაც მოთხოვნის რეალიზაციის რისკი ეკისრება არა ფაქტორს, არამედ – კლიენტს<sup>103</sup>.

## **§7. საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე**

*ზოგადად.*

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მოთხოვნის დათმობის დროს ხორციელდება საკუთრების უფლების გადაცემა მოთხოვნებსა და უფლებებზე. ეს საკითხი მეტად ახლოს დგას სამოქალაქო სამართლის ისეთ ინსტიტუტთან როგორცაა საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე. ამიტომ, განსახილველი თემის უფრო სრულყოფილი გაანალიზებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია ამ ინსტიტუტის მოკლე შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა.

როგორ გადადის საკუთრების უფლება მოძრავ ნივთებზე ქართული სამოქალაქო სამართლის მიხედვით? რომელი ქვეყნის საკუთრების უფლების გადაცემის სისტემა აირჩია ქართველმა კანონმდებელმა?

მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის სისტემებს ყოფენ იმ განსხვავებების მიხედვით, რომლებიც ახასიათებს, ერთი მხრივ, ტრადიციისა და

<sup>102</sup> Palandt, დასახელებული ნაშრომი, გვ. 585

<sup>103</sup> Herberger/Martinek/Rüßmann/Weth – juris PraxisKommentar – BGB, Band 2.1 – Schuldrecht (Teil 1: §§ 241 bis 432) herausgegeben von Dr. markus Junker, 3. Auflage, juris GmbH, Saarbrücken, 2006, გვ. 1414

კონსენსუალურ და, მეორე მხრივ, აბსტრაქტულ და კაუზალურ სისტემებს. რას ნიშნავს თითოეული მათგანი და რით განსხვავდება ეს სისტემები ერთმანეთისაგან?

კონსენსუალური სისტემის მიხედვით მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის საკმარისია მხარეთა შორის იმ ხელშეკრულების დადება, რომლითაც ხდება ამ უფლების გადატანა. საკუთრების უფლება შემქმნელზე გადასულად ჩაითვლება ხელშეკრულების დადების მომენტიდან.

კონსენსუალური სისტემისაგან განსხვავებით, ტრადიციის სისტემის მიხედვით საკუთრების უფლების გადაცემისათვის, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების გარდა, როგორც წესი, აუცილებელია ნივთის შემქმნის მფლობელობაში გადაცემა. საკუთრების უფლება შემქმნელზე გადასულად ჩაითვლება არა ხელშეკრულების დადების, არამედ შემქმნისათვის ნივთის მფლობელობაში გადაცემის მომენტიდან.

საკუთრების უფლების გადაცემის სისტემების კლასიფიკაციის მეორე მეთოდი გადაცემათა სისტემებს ჰყოფს კაუზალურ და აბსტრაქტულ სისტემებად იმისდა მიხედვით, თუ რაოდენ დამოკიდებულია საკუთრების უფლების გადაცემის სამართლებრივი შედეგი მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ნამდვილობისაგან; გადადის თუ არა საკუთრების უფლება თვით ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულების ძალით, თუ საკუთრების უფლების გადაცემა გამიჯნულია მის საფუძველად დადებული ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან?

კაუზალური სისტემის მიხედვით, ხელშეკრულებას თავისთავად გადააქვს საკუთრების უფლება ყოველგვარი სხვა სამართლებრივი აქტისა თუ დადგენილი ფორმალობის გარეშე. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში საუბარია ისეთ ხელშეკრულებებზე, რომლებსაც თავისი იურიდიული ბუნების გამო შეუძლიათ საკუთრების უფლების გადატანა. ესენია, მაგ.: ნასყიდობა, ჩუქება, გაცვლა, სესხი და სხვა. ამასთან, ამ ხელშეკრულებათა თავიდანვე ბათილობა ან შემდგომში მათი ბათილად ცნობა ყველა შემთხვევაში შედეგად იწვევს იმას, რომ საკუთრების უფლება თავიდანვე ვერ გადადის შემქმნელზე. ითვლება, რომ შემქმნი არასოდეს არ ყოფილა მესაკუთრე, რადგანაც თვით ხელშეკრულების

ბათილობის სამართლებრივი შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ საყოველთაო აღიარებით იგი მიიჩნევა როგორც თავიდანვე არარსებული.

საწინააღმდეგო რეგულირებასთან გვაქვს საქმე საკუთრების უფლების გადაცემის აბსტრაქტული სისტემის შემთხვევაში. ამ სისტემის მიხედვით საკუთრების უფლების გადაცემა ხორციელდება სპეციალური სამართლებრივი აქტის (გარიგების) მეშვეობით, რომელიც სრულად ემიჯნება ვალდებულებით-სამართლებრივ ხელშეკრულებას. ეს უკანასკნელი ემსახურება საკუთრების უფლების გადაცემის აქტს როგორც მისი სამართლებრივი საფუძველი – **causa traditionis**, მაგრამ სამართლებრივად საკუთრების უფლების გადაცემის აქტი დამოუკიდებელია მისგან. ვალდებულებით-სამართლებრივი საფუძველის ბათილობა საკუთრების უფლების გადაცემის აქტს არ ეხება და არ აბათილებს მას; შესაბამისად, საკუთრების უფლება შემძენზე მაინც გადადის. თუმცა, ასეთი შენაძენი სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო უნდა დაუბრუნდეს გამსხვისებელს უსაფუძვლო გამდიდრების წესების ძალით. განსხვავებით კაუზალური სისტემის მიხედვით ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულების გაბათილების შედეგებისა, აბსტრაქტული სისტემის დროს **causa traditionis**-ის გაბათილების შემთხვევაშიც კი შემძენი რჩება მესაკუთრე და, მაშასადამე, უფლებამოსილი, გაასხვისოს ნივთი სხვა პირზე. როდესაც კაუზალური სისტემის მიხედვით შემძენის ანალოგიური მოქმედება სამართლებრივი ძალის არმქონე იქნება, ვინაიდან შემძენი თავიდანვე არ გამხდარა მესაკუთრე და, შესაბამისად, არ იყო უფლებამოსილი გასხვისებაზე.

*კონსენსუალური და კაუზალური გადაცემის სისტემა.*

კონსენსუალური და კაუზალური გადაცემის სისტემა განხილულ იქნება ფრანგული სამოქალაქო სამართლის მაგალითზე.

თანამედროვე ქვეყნების სამოქალაქო სამართალში საკუთრების უფლების გადაცემის ზემოაღნიშნულ სისტემას საფუძველი ჩაეყარა 1804 წელს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის (**Code Civil**) მიღებით. კოდექსმა გააუქმა რომისსამართლისეული საკუთრების უფლების გადაცემის წესი, რომელიც გადაცემისათვის ითხოვდა გასხვისებული ნივთის შემძენის მფლობელობაში გადაცემას – **traditio**.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1138-ე მუხლის თანახმად:

“ნივთის გადაცემის ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება ხელშეკრულების მხარეთა შორის შეთანხმების ძალით. იგი კრედიტორს აქცევს მესაკუთრედ და აკისრებს მას რისკს იმ მომენტიდან, როდესაც ნივთი უნდა გადაცემულიყო, თუნდაც მფლობელობაში გადაცემა ჯერ არ მომხდარა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოვალემ ნივთის გადაცემის ვადას გადააცილა; ამ შემთხვევაში ნივთზე რისკი რჩება ამ უკანასკნელზე”.

ანალოგიური გადაწყვეტა საკითხისა გეხვედება ზოგიერთ ცალკეულ ხელშეკრულებაში, რომელთა დროს ხდება ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემა: ჩუქება (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 938-ე მუხლი), ნასყიდობა (სამოქალაქო კოდექსის 1593-ე მუხლი), გაცვლა (სამოქალაქო კოდექსის 1703-ე მუხლი) და სხვა.

მაშასადამე, საკუთრების უფლების გადაცემისათვის საკმარისია მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება და საკუთრების უფლება გადადის მხარეთა შორის შეთანხმების მომენტიდან<sup>104</sup>; ნივთის მფლობელობაში გადაცემა, შესაბამისად, სავალდებულო არ არის. აღსანიშნავია, რომ ისტორიულად კონსენსუალური გადაცემის პრინციპი ფრანგულ სამართალში ხელის ერთი მოსმით, სამოქალაქო კოდექსის შექმნით, არ წარმოშობილა. სამოქალაქო კოდექსის მიღების დროისათვის მფლობელობაში გადაცემის – *traditio*-ს მოთხოვნა უკვე აღმოფხვრილი იყო საფრანგეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე და, ამდენად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის გადაწყვეტა იყო მხოლოდ “ზოგადი პრაქტიკის ფორმალური აღიარება”<sup>105</sup>; მან მხოლოდ საბოლოო წერტილი დაუსვა სასამართლო პრაქტიკაში საკითხის არაერთგვაროვან გადაწყვეტას და განამტკიცა საკუთრების უფლების გადაცემის კონსენსუალური პრინციპი.

იმდენად, რამდენადაც ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემას ახდენს მხარეთა შორის დადებული ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულების ბათილობა შედეგად იწვევს იმას, რომ გამსხვისებელი რჩება

<sup>104</sup> ლათინურად მას *solo consensu*-ს პრინციპს უწოდებენ

<sup>105</sup> L. P. W. van Vliet – Transfer of movables in German, French, English and Dutch law, *Ars Aequi Libri*, Nijmegen, 2000, გვ. 79



მისი მესაკუთრე, ხოლო შემქმნევი კი საკუთრების უფლება არასოდეს არ მიიჩნევა გადასულად. მაშასადამე, ფრანგული გადაცემის სისტემა კაუზალურია.

კონსენსუალური გადაცემის სისტემის დადებითი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ მისი მიხედვით საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე გამარტივებულია, რადგან კრედიტორი (შემქმნი) რომისსამართლისეული *traditio*-ს გარეშეც ხდება მესაკუთრე. ამ სისტემის უარყოფითი მხარე კი მდგომარეობს იმაში, რომ მოძრავი ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკი შემქმნევი გადადის შეთანხმების მომეტიდან მის ფაქტიურ გადაცემამდე. თუმცა ეს უარყოფითი მხარე გარკვეულწილად კომპენსირდება იმით, რომ მოვალის გაკოტრების შემთხვევაში გასხვისებული ნივთი არ შევა გაკოტრების მასაში, შემქმნი ჩაითვლება “საკუთრების კრედიტორად” და მას უფლება მიეცემა უკვე “თავისი” ნივთი გამოითხოვოს გაკოტრების მასიდან. საწინააღმდეგო შემთხვევას თუ წარმოვიდგენთ, ე. ი. როდესაც საკუთრების უფლება უნდა გადასულიყო ნივთის შემქმნის მფლობელობაში გადაცემის მომენტიდან (ტრადიციის სისტემა), შემქმნი აღარ იქნებოდა უფლებამოსილი, მოეთხოვა გასხვისებული ნივთის როგორც თავისის მისთვის გადაცემა და “შეუერთდებოდა” გაკოტრების კრედიტორთა რიგებს.

კონსენსუალური გადაცემის ნორმის საკანონმდებლო დონეზე განმტკიცების მიუხედავად, ფრანგული სამოქალაქო სამართალი იცნობს ამ წესიდან გამონაკლის შემთხვევებსაც. უპირველს ყოვლისა, ამ გამონაკლისებიდან უნდა აღინიშნოს საკუთრების უფლების გადაცემა გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ ნივთებზე. ასეთ ნივთებს მიეკუთვნება, მაგალითად, საწვავი, შაქრის ფხვნილი, ხორბალი და ა. შ.. კანონმდებლობით განმტკიცებული წესი გამოიყენება ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულ (სპეციფიკურ) ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის მიმართ. რატომ არ გადადის საკუთრების უფლება ამ ნივთებზე ხელშეკრულების დადების – შეთანხმების მიღწევის მომენტიდან?

ფრანგული სამართალი, ისევე როგორც სხვა ევროპული ქვეყნების კანონმდებლობები, ეფუძნება განსაზღვრულობის პრინციპს, რომლის მიხედვითაც საკუთრების უფლება და სხვა სანივთო უფლებები შეიძლება არსებობდეს და, მაშასადამე, გადაეცეს ან დადგინდეს მხოლოდ განსაზღვრულ

ნივთებზე. ყოველთვის ცნობილი უნდა იყოს, რომელ კონკრეტულ ნივთს ეხება საკუთრების თუ სხვა სანივთო უფლება. საქონლის ერთობლიობაზე საკუთრების უფლება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცნობილია, რომელი კონკრეტული საქონელი არის საკუთრების უფლების საგანი. შესაბამისად, საკუთრების უფლების გადაცემა შეუძლებელია, თუ ცნობილი არ არის, რომელ კონკრეტულ საქონელზე გადაეცემა იგი შემძენს<sup>106</sup>.

მეორე გამონაკლისს საერთო წესიდან წარმოადგენს საკუთრების უფლების გადაცემა მომავალ ნივთებზე<sup>107</sup>. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი მომავალ ნივთებს აღიარებს ვალდებულების საგნებად<sup>108</sup> და, შესაბამისად, უშვებს მათზე საკუთრების უფლების გადაცემას. თუმცა, საკუთრების უფლება არ გადადის ხელშეკრულების დადების მომენტიდან, არამედ ნივთის შექმნის ან წარმოშობის, შემძენის მფლობელობაში მისი გადაცემისა და ამ უკანასკნელის მიერ მისი მიღების მომენტიდან<sup>109</sup>.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის, რომ კონსენსუალური გადაცემის წესი მოქმედებს მხოლოდ ვალდებულების საგნის გადაცემის მიმართ და არა საპასუხო შესრულების მიმართ<sup>110</sup>. მაგ., ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში, საკუთრების უფლება შეთანხმებისთანავე გადადის მხოლოდ ნასყიდობის ობიექტზე, გაყიდულ ნივთზე, მაგრამ მსგავსი არაფერი ხდება მყიდველის მიერ ნასყიდობის ფასის გადახდის ვალდებულების მიმართ; იგი შესრულებულად ჩაითვლება მხოლოდ ფულადი თანხის გადაცემის მომენტიდან. ეს ლოგიკურიც არის, ხომ არ შეიძლება ჩაითვალოს დასრულებულად გადახდა, როდესაც სინამდვილეში მას ადგილი არ ჰქონია!

კონსენსუალური გადაცემის სისტემა მოქმედებს არა მარტო საფრანგეთში, არამედ იმ უმრავლეს ქვეყნებში, რომლებიც მოხდნენ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის რეცეფციის არეალში. კონსენსუალური გადაცემის სისტემის

---

<sup>106</sup> L. P. W. van Vliet, დასახელებული ნაშრომი, გვ. 75

<sup>107</sup> L. P. W. van Vliet, დასახელებული ნაშრომი, გვ. 73

<sup>108</sup> საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1130-ე მუხლი

<sup>109</sup> საფრანგეთის საკანონმდებლო სასამართლოს 1900 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ ამ გადაწყვეტილებით დადგენილი საკუთრების უფლების გადაცემის წესს ჰოლანდიელი პროფესორი ლ. ვან ვლიეტი მიიჩნევს “სანივთო შეთანხმებად საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ”.

<sup>110</sup> L. P. W. van Vliet, დასახელებული ნაშრომი, გვ. 74

ღირსებად უნდა ჩაითვალოს, რომ ბევრ ქვეყანაში, სადაც არ მოხდა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის “სიტყვა-სიტყვითი გადაწერა” და სამოქალაქო სამართალი ხასიათდება გამოკვეთილი ინდივიდუალიზმით, ეს სისტემა მაინც იქნა დატოვებული გარკვეული კორექტივებით.

მოძრავი ნივთების კონსენსუალური გადაცემის სისტემის ნორმას ლუიზიანას სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს 518-ე მუხლში. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით, ეს ნორმა მოთავსებულია კოდექსის მე-2 წიგნის – “ნივთები და საკუთრების სხვადასხვა სახეცვლილებები” – მე-3 თავში – “საკუთრების უფლების გადაცემა ხელშეკრულებით”. თუმცა, განსხვავება არა მარტო სისტემურია, არამედ გარკვეულწილად შინაარსობრივაც, რომელიც ნათელი გახდება ამ მუხლის ტექსტის გაცნობით:

“მოძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების კონვენციონალური გადაცემა ხდება მესაკუთრესა და შემძენს შორის იმ ხელშეკრულების მეშვეობით, რომელიც გამიზნულია მოძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადასაცემად. თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, საკუთრების უფლების გადასვლა მხარეთა შორის ხორციელდება შეთანხმების ძალით, ხოლო მესამე პირთა მიმართ – მოძრავ ქონებაზე შემძენისათვის მფლობელობის გადაცემის მომენტიდან.

როდესაც მოძრავი ქონება მფლობელობაში არ იქნა გადაცემული, შემდგომი შემძენი, რომელსაც მოძრავი ქონება გადაეცა მფლობელობაში, იძენს საკუთრების უფლებას იმ პირობით, რომ იგი კეთილსინდისიერია. გამსხვისებლის კრედიტორებს შეუძლიათ განახორციელონ იძულებითი აღსრულება მოძრავ ქონებაზე მანამდე, სანამ იგი ჯერ კიდევ გამსხვისებლის მფლობელობაშია”.

იმთავითვე თვალშისაცემია ამ ნორმის რამდენიმე განსხვავება საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1138-ე მუხლის ნორმისაგან:

- (1) საკუთრების უფლების გადაცემის ამ მუხლში მოცემული წესი დისპოზიციურია და მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს;
- (2) კანონი განასხვავებს საკუთრების უფლების გადასვლის მომენტს ხელშეკრულების მხარეთა შორის (საკუთრების უფლების

გადაცემის რელატიური მოქმედება), ერთი მხრივ, და მესამე პირებისათვის, მეორე მხრივ;

- (3) მოძრავი ქონების მფლობელობაში გადაცემას კანონი უკავშირებს გარკვეულ სამართლებრივ შედეგებს.

კონსენსუალური გადაცემის წესს კანადის პროვინცია კვებეკის როგორც ძველი (1866 წლის), ისე ახალი (1992 წლის) სამოქალაქო კოდექსები იზიარებს. ახალ სამოქალაქო კოდექსში ამ წესს მიხენილი აქვს ადგილი კოდექსის „ვალდებულებების შესახებ წიგნის“ ერთ-ერთ განყოფილებაში – “ხელშეკრულების სამართლებრივი ძალა”, მუხლები 1453-1455.

იტალიის 1942 წლის სამოქალაქო კოდექსი კონსენსუალური გადაცემის წესს ასევე “ხელშეკრულების სამართლებრივი ძალის” შესახებ თავში ითვალისწინებს, მუხლები 1376-1378. ყურადღებას გაგამახვილებ 1378-ე მუხლის ნორმაზე, რომელიც ეხება გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთების გადაცემას:

“იმ ხელშეკრულებებში, რომელთა ობიექტია გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთების გადაცემა, საკუთრების უფლება გადაცემა მხარეთა შორის შეთანხმებაში ამ ნივთების განსაზღვრით (l'individuazione) ან მხარეთა მიერ დადგენილი წესით. იმ შემთხვევაში, როდესაც ნივთები გადაზიდულ უნდა იქნეს ერთი ადგილიდან მეორეზე, განსაზღვრა ხორციელდება, აგრეთვე, გადამზიდველისათვის ან ექსპედიტორისათვის გადაცემის მეშვეობით”.

მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიის თანამედროვე სამოქალაქო სამართალი შეიძლება მივაკუთვნოთ უფრო გერმანული სამართლის სისტემას, ვიდრე რომანულ სამართლს, რომელსაც იგი 1966 წლამდე, ახალი სამოქალაქო კოდექსის<sup>111</sup> მიღებამდე, მიეკუთვნებოდა, – მასში განმტკიცებულია კონსენსუალური გადაცემის სისტემა<sup>112</sup>.

*ტრადიციისა და აბსტრაქტული გადაცემის (აბსტრაქტული) სისტემა.*

<sup>111</sup> პორტუგალიის სამოქალაქო კოდექსი ბაძავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსს როგორც სისტემურად, ისე, ხშირ შემთხვევაში, შინაარსობრივადაც

<sup>112</sup> პორტუგალიის სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი

კონსენსუალური გადაცემის სისტემისაგან განსხვავებით, ტრადიციისა და აბსტრაქტული გადაცემის (აბსტრაქტული) სისტემის მიხედვით, როგორც ზემოთ შესავალში აღვნიშნეთ, მხარეთა შორის დადებული ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულება არ იწვევს საკუთრების უფლების გადაცემას (გადასვლას), ასევე სხვა სანივთო უფლების გადაცემას (გადასვლას), ან წარმოშობას, შეცვლას თუ შეწყვეტას თავად ამ ხელშეკრულების – მხარეთა შეთანხმების ძალით. გერმანული სამართალი, რომლის მაგალითზეც განიხილება აბსტრაქტული გადაცემის სისტემა, იცნობს გარიგებების მკაცრ დაყოფას მავალდებულებელ და განკარგვით გარიგებებად (*Verpflichtungs- und Verfügungsgeschäfte*). მათ, აგრეთვე, კაუზალურ და აბსტრაქტულ გარიგებებსაც უწოდებენ. იმ გარიგებას, რომელსაც ფრანგულ სამართალში გადააქვს საკუთრების უფლება შემძენზე (ნასყიდობა, ჩუქება, გაცვლა), გერმანული სამართლის მეცნიერება მავალდებულებელ (ვალდებულებით-სამართლებრივ) გარიგებად მიიჩნევს, რადგანაც ამ დროს ხდება ხელშეკრულების მხარის მიერ ვალდებულების საგნის შესრულების შეპირება. ამ დროს არ ხდება უფლებებზე უშუალო ზემოქმედება, ე. წ. “სანივთო-სამართლებრივი შედეგი”, რაც ნიშნავს უფლების წარმოშობას, გასხვისებას, შეცვლას ან შეწყვეტას; აღნიშნულს ადგილი აქვს მხოლოდ განკარგვითი გარიგებების ძალით. განსახილველ შემთხვევაში, მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის გერმანული სამართალი იცნობს განსაკუთრებულ განკარგვით გარიგებას – “სანივთო შეთანხმებას” (“*Einigung*”).

სანივთო შეთანხმების შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ მასში ხდება ნების გამოვლენა, ერთი მხრივ, გამსხვისებლის მხრიდან, გადასცეს საკუთრების უფლება განსაზღვრულ ნივთზე და, მეორე მხრივ, ნების გამოვლენა შემძენის მხრიდან, მიიღოს ნივთზე საკუთრების უფლება. გერმანიის სამოქალაქო კოდექსში, კერძოდ, საკუთრების უფლების გადაცემის ნორმა შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

“მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის საჭიროა, მესაკუთრემ გადასცეს ნივთი შემძენს მათ შორის გადაცემის თაობაზე დადებული შეთანხმების შესასრულებლად”<sup>113</sup>.

კანონმდებელი ამ ნორმაში პირდაპირ უთითებს მხარეთა შორის დადებული სანივთო შეთანხმებასა და ნივთის შემძენის მფლობელობაში გადაცემაზე, მაგრამ არ ითხოვს ვალდებულებით-სამართლებრივ გარიგებას, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს სანივთო შეთანხმებას. მაშასადამე, გერმანულ სამართალი აღიარებს აბსტრაქტული გადაცემის სისტემას – ე. წ. “აბსტრაქციის პრინციპს” (“Abstraktionsgrundsatz”), რომლის არსის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი.

საფრანგეთის სამართლისაგან განსხვავებით, გერმანიის სამოქალაქო სამართლის მიხედვით, მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის, როგორც წესი, საჭიროა ნივთის შემძენის მფლობელობაში გადაცემა. ამით გერმანულმა სამართალმა გაიზიარა რომისსამართლისეული *traditio*. თუმცა, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი იცნობს შემთხვევებს, როდესაც მოძრავი ნივთების შემძენის მფლობელობაში გადაცემა აუცილებელი არ არის. კერძოდ:

1. §929 მე-2 წინადადების თანახმად, “თუ შემძენი უკვე ფლობს ნივთს, მაშინ საკმარისია მხოლოდ სანივთო შეთანხმება”. ამ წესს თეორიაში “მოკლე ხელის გადაცემა” უწოდებენ – *traditio brevi manu*.
2. §930-ის თანახმად, “თუ მესაკუთრე ფლობს ნივთს, მაშინ ნივთის ფაქტიური გადაცემა შეიძლება შეიცვალოს მესაკუთრესა და შემძენს შორის შეთანხმებით არაპირდაპირი მფლობელობის დადგენის შესახებ”. ამ წესს გერმანულ ენაზე ეწოდება *Besitzkontitut*, ხოლო ლათინურ ენაზე – *constitutum possessorium*. გადაცემის ასეთი სახე გამოიყენება იმ დროს, როდესაც მხარეებს სურთ, გამსხვილებელი დარჩეს ნივთის მფლობელად საკუთრების უფლების გადაცემის შემდეგ. ამ შემთხვევაში შემძენისათვის მფლობელობაში გადაცემა (*Übergabe*) შეიძლება შეიცვალოს *constitutum possessorium*-ით. ამ დროს შემძენი

---

<sup>113</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, §929, პირველი წინადადება

ხდება მფლობელი თავისი თავისთვის (Eigenbesitzer), ხოლო გამსხვისებელი გადაიქცევა მფლობელად სხვისათვის (Fremdbesitzer), რადგანაც იგი დაიწყებს ფლობას შემძენისათვის<sup>114</sup>.

3. §931-ის თანახმად, “თუ ნივთს ფლობს მესამე პირი, მაშინ მისი გადაცემა შეიძლება შეიცვალოს შეთანხმებით, რომლის მიხედვითაც მესაკუთრე შემძენს უთმობს ნივთის მფლობელობაში გადმოცემაზე თავის მოთხოვნას (Herausgabeanspruch)”. ამ პარაგრაფში საუბარია ნივთის სხვისი მფლობელობიდან გამოთხოვის მოთხოვნის უფლებაზე როგორც სანივთო სარჩელის უფლებაზე, თუმცა, თანამედროვე გერმანულ ლიტერატურაში ერთხმად აღიარებულია, რომ სარჩელის უფლება, ისეთი როგორცაა სავინდიკაციო სარჩელის უფლება, არ შეიძლება გადაცემულ იქნეს საკუთრების უფლებისაგან დამოუკიდებლად<sup>115</sup>. როგორც პროფესორმა ფონ ტურმა აღნიშნული მოსაზრება გამოხატა, ვინდიკაცია საკუთრების უფლების განუყოფელი დამცველია, რომელიც მესაკუთრეს არ შეუძლია გადასცეს თავისი საკუთრების უფლების ერთდროული გადაცემის გარეშე<sup>116</sup>. “სავინდიკაციო სარჩელის შემძენისათვის გადაცემა არ უნდა იქნეს განხილული როგორც საკუთრების უფლების გადაცემის აუცილებელი რეკვიზიტი, არამედ როგორც მისი შედეგი: საკუთრების უფლება თავისით გადაეცემა და შედეგად სავინდიკაციო სარჩელის უფლებაც გადადის შემძენზე” – წერს ლ. ვან ვლიეტი<sup>117</sup>.

*ე. წ. შუალედური (ტრადიციისა და კაუზალური) სისტემა.*

საკუთრების უფლების გადაცემის ე. წ. შუალედური (ტრადიციისა და კაუზალური) სისტემა განიხილება, ერთი მხრივ, პოლანდიური და, მეორე მხრივ, ქართული სამართლის მაგალითზე.

<sup>114</sup> L. P. W. van Vliet, დასახელებული ნაშრომი, გვ. 53

<sup>115</sup> L. P. W. van Vliet, დასახელებული ნაშრომი, იქვე

<sup>116</sup> Von Tuhr, Allgemeiner Teil I, გვ. 266, ვუთითებ: L. P. W. van Vliet, დასახელებული ნაშრომი

<sup>117</sup> L. P. W. van Vliet, დასახელებული ნაშრომი, გვ. 59

ნიდერლანდების ახალი, 1992 წლის სამოქალაქო კოდექსის მე-3 წიგნის – “ქონებრივი სამართალი – ზოგადი ნაწილი” 84-ე მუხლი ადგენს ქონების გადაცემის ზოგად ნორმას:

“ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის საჭიროა მისი გადაცემა (“levering”) ნამდვილი გარიგების საფუძველზე, რომელიც დადებულია იმ პირის მიერ, ვინც უფლებამოსილია ამ ქონების განკარგვაზე”.

ჰოლანდიურ სამართალში **levering**-ის კონსტრუქციას იხილავენ როგორც ორი ელემენტისაგან შემდგარს:

1. სანივთო შეთანხმება (**Goerdenrechtelijke overeenkomst**) და
2. განსაზღვრული დამატებითი ფორმალობები, რომლებიც განსხვავდება გადასაცემი ქონების სახის მიხედვით<sup>118</sup>. მოძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შემთხვევაში დამატებით ფორმალობად, ჩვეულებრივ, წარმოგვიდგება ნივთის მფლობელობაში გადაცემა<sup>119</sup>.

ჰოლანდიის სამართლისეული სანივთო შეთანხმების ცნება და არსი ახლოს დგას მის გერმანულ ანალოგთან. ისევე როგორც გერმანული “Einigung”-ი, **Goerdenrechtelijke overeenkomst**-ი წარმოადგენს შეთანხმებას, რომელშიც გამსხვისებელი ავლენს საკუთრების უფლების გადაცემის ნებას განსაზღვრულ ქონებაზე, ხოლო შემქმნი – ნებას ამ ქონების საკუთრების უფლებით მიღებაზე.

მაგრამ განსხვავებით გერმანული სამართლისაგან, ჰოლანდიური სამართლის თანახმად საკუთრების უფლება ქონებაზე გადადის მხოლოდ ნამდვილი გარიგების საფუძველზე. ჯერ კიდევ 1838 წლის ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის მიღების შემდეგ სადავო იყო, განეკუთვნებოდა თუ არა ჰოლანდიური გადაცემის სისტემა აბსტრაქტულსა თუ კაუზალურს. მხოლოდ 1950 წელს ნიდერლანდების უზენაესმა სასამართლომ საკითხი გადაწყვიტა კაუზალური სისტემის სასარგებლოდ<sup>120</sup>. ამჟამად აღნიშნული საკითხი საკანონმდებლო დონეზეა გადაწყვეტილი. საკუთრების უფლების გადაცემისათვის ნამდვილი გარიგების მოთხოვნა პირდაპირ მოცემულია ახალი სამოქალაქო კოდექსის მე-2 წიგნის 84-ე მუხლში.

<sup>118</sup> L. P. W. van Vliet, დასახელებული ნაშრომი, გვ. 133

<sup>119</sup> ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსი, მე-3 წიგნის 90-ე მუხლი

<sup>120</sup> L. P. W. van Vliet, დასახელებული ნაშრომი, გვ. 133



თითქმის ანალოგიურ გადაწყვეტას ვხედავთ ქართულ სამართალში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის თანახმად:

“1. მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი.

2. ნივთის გადაცემად ითვლება: შემძენისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში; არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა ხელშეკრულებით, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად; მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება”.

სამწუხაროდ, კანონის ამ მუხლის ტექსტში დაშვებულია მექანიკური შეცდომა. კერძოდ, “ნამდვილი უფლების” ნაცვლად უნდა იყოს მითითებული “ნამდვილ გარიგებაზე”, რაც გამომდინარეობს კანონმდებლის მიერ ამ ნორმისათვის მინიჭებული შინაარსიდან და რაც მითითებულია მის კოლანდიურ ანალოგში. მაშასადამე, ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა ადგენს საკუთრების უფლების გადაცემის კაუზალურ პრინციპს. სამწუხაროდ, ქართველი კანონმდებლის ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტა დღემდე თანამედროვე ქართული სამართლებრივი ლიტერატურის ანალიზის მიღმა რჩება; 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ნორმა საერთოდ იგნორირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარის მიერ<sup>121</sup>; კომენტირება თავიდანვე ხდება ამ მუხლის მე-2 ნაწილისა. სამაგიეროდ, თანამედროვე ქართული სამართლებრივი ლიტერატურა კარგად იცნობს და აღიარებს სანივთო შეთანხმებას როგორც საკუთრების თუ სხვა სანივთო უფლების გადაცემისათვის აუცილებელ ელემენტს იმისდა მიუხედავად, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლები არ ახსენებს მხარეთა შორის სანივთო შეთანხმებას<sup>122</sup>.

გერმანული და კოლანდიური სამოქალაქო კოდექსების მსგავსად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სანივთო შეთანხმებასთან ერთად საკუთრების უფლების გადაცემისათვის ითხოვს დამატებით ფორმლობებს,

<sup>121</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 121

<sup>122</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე, 186-ე მუხლები

რომლებიც განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ რა სახის ნივთებზე ხდება მისი გადაცემა. თუმცა მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ **constitutum possessorium**-ზე: ნივთის არაპირდაპირ მფლობელობაში გადაცემაზე, როდესაც გამსხვისებელი დარჩება პირდაპირ მფლობელად სხვისათვის. გარდა ამისა, როდესაც ნივთს ფლობს მესამე პირი, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ შემქმნისათვის ამ მესამე პირისაგან ნივთის მფლობელობაში გადმოცემის უფლების დათმობაზე<sup>123</sup>. ამ შემთხვევაში საკუთრების უფლება გადასულად ჩაითვლება მოთხოვნის დათმობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტიდან.

---

<sup>123</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის II ნაწილი

### III თავი ვალის გადაკისრება

#### §1. ვალის გადაკისრების ცნება და მისი იურიდიული ბუნება

ქართული სამართალი იცნობს სინგულარული სამართალმემკვიდრეობას ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში არა მარტო მოთხოვნებისა და უფლებების, არამედ ვალების მიმართაც. ახალმა მოვალემ შეიძლება დაიკავოს ძველი მოვალის ადგილი ამ უკანასკნელის ვალის კისრებით.

იმისდა მიხედვით, თავისუფლდება თუ არა ძველი მოვალე ვალის გადაკისრების ხელშეკრულების შედეგად თავისი ვალდებულებისაგან, სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში განასხვავებენ ვალის გადაკისრების ორ სახეს:

1. პრივატული ვალის გადაკისრება (*die privative Schuldübernahme*) და
2. კუმულატიური ვალის გადაკისრება (*die kumulative Schuldübernahme*).

პრივატული ვალის გადაკისრების დროს ძველი მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულებისაგან და მის ადგილს იკავებს ახალი მოვალე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლი).

კუმულატიური ვალის გადაკისრების დროს ძველი მოვალე არ თავისუფლდება თავისი ვალდებულებისაგან. იგი რჩება ვალდებული კრედიტორის წინაშე, ხოლო მესამე პირი ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში შემოდის თანამოვალის სახით. კუმულატიური ვალის გადაკისრებას მეორენაირად შეგვიძლია ვალის დელეგირება (დელეგაცია) ვუწოდოთ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს მხოლოდ პრივატულ ვალის გადაკისრებას და მისთვის უცნობია ხელშეკრულების საფუძველზე

კუმულატიური ვალის გადაკისრების – ე. წ. ვალის დელეგირების შესახებ ზოგადი ნორმები. სამაგიეროდ, ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილში მოიპოვება ნორმა, რომელიც ადგენს კანონისმიერ ვალის დელეგირებას. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 566-ე მუხლში აღნიშნულია:

„თუ დამქირავებელმა ნივთი სარგებლობისათვის მესამე პირს გადასცა, გამქირავებელს შეუძლია ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მესამე პირს მოსთხოვოს ნივთის დაბრუნება“.

სარგებლობაში ნივთის გადაცემით გამქირავებელს უნდება ახალი მოვალე მოსარგებლე მესამე პირის სახით ისე, რომ დამქირავებელი არ თავისუფლდება თავისი ვალდებულებისაგან.

იმისდა მიხედვით, თუ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის რომელი მხარის მიერ იდება ვალის გადაკისრების ხელშეკრულება, განასხვავებენ:

1. ვალის გადაკისრების ხელშეკრულებას კრედიტორსა და ახალ მოვალეს შორის;
2. ვალის გადაკისრების ხელშეკრულებას ძველ და ახალ მოვალეებს შორის (სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლი).

ვალის გადაკისრების ხელშეკრულება, მიუხედავად იმისა, თუ როგორ არის დადებული – რომელ პირთა მიერ ან რომელი სახისაა – წარმოადგენს განკარგვით გარიგებას და, შესაბამისად, აბსტრაქტულია. თუმცა ამავე დროს იგი შეიცავს ვალდებულებების კისრებას და, ამდენად, იგი ხელშეკრულების მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივ გარიგებადაც მიიჩნევა<sup>124</sup>. ასეთი ორმაგი ბუნება იწვევს განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს იმისდა მიხედვით, ბათილად იქნება აღიარებული მოთხოვნის დათმობის განკარგვითი გარიგება, ვალდებულებით-სამართლებრივი (მავალდებულებელი) გარიგება თუ ერთდროულად ორივე გარიგება როგორც ერთიანი სამართლებრივი აქტი.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში საკითხი ერთგვაროვნად არ არის გადაწყვეტილი:

თუ რომელიმე საფუძვლით ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა ცნობილი იქნება ბათილად, ეს არ იწვევს ავტომატურად ვალის გადაკისრების

<sup>124</sup> Palandt, დასახელებული ნაშრომი, გვ. 595

განკარგვით გარიგების ბათილობას აბსტრაქციის პრინციპის შესაბამისად და ვალი მაინც გადაცემულად ჩაითვლება. თუმცა, შესაძლებელია სასამართლომ ვალის გადაკისრების განკარგვითი და მავალდებულებელი გარიგებები ერთიანი გარიგების შემადგენელ ნაწილებად მიიჩნიოს და ერთ-ერთის ბათილობა მთლიანად გარიგების ბათილობის საფუძველად ჩათვალოს. ვალის გადაკისრება, მოთხოვნის დათმობისაგან განსხვავებით, თავისი ორმაგი ბუნების გამო თავის თავში შეიცავს განკარგვითი სამართლებრივი შედეგის გამამართლებელ კაუზას და იგი არ საჭიროებს რაიმე სხვა ვალდებულებით-სამართლებრივ საფუძველს<sup>125</sup>.

როგორც ჩვეულებრივი გარიგება, ვალის გადაკისრება ექვემდებარება გარიგებათა ნამდვილობის ზოგად მოთხოვნებს:

მხარეთა ქმედუნარიანობა,

გარიგების დადების ნების გამოვლენა,

მხარეთა ნების გამოვლენის თანხვედრა.

რაც შეეხება ფორმას, მოთხოვნის დათმობის მსგავსად, ვალის გადაკისრებაც ზოგადი წესით არ წარმოადგენს ფორმასავალდებულო გარიგებას და იგი შეიძლება დაიდოს ნებისმიერი ფორმით, მათ შორის, ზეპირადაც.

ვალის გადაკისრების ფორმის თავისუფლების პრინციპი დომინირებს არა მარტო გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნების კანონმდებლობებში (მათ შორის, შევიცარიის ვალდებულებით კანონში, სადაც მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნის დათმობა მოითხოვს წერილობით ფორმას, ვალის გადაკისრების მიმართ იგივე მოთხოვნა დადგენილი არ არის), არამედ რომანული სამართლის ქვეყნების კანონმდებლობებში (საფრანგეთი, იტალია, კანადის პროვინცია კვებეკი, ლათინური ამერიკის ქვეყნები). თუმცა, ზოგიერთ თანამედროვე სამოქალაქო კანონმდებლობაში ამ საერთო პრინციპიდან დაშვებულ იქნა გამონაკლისი. კერძოდ, რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 391-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოთხოვნის დათმობის ფორმის წესები შესაბამისად გამოიყენება ვალის გადაკისრების მიმართ, კერძოდ, როგორც ზემოთ უკვე იქნა განხილული, მოთხოვნის დათმობის ფორმა რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის თანახმად, დამოკიდებულია იმ გარიგების ფორმაზე, საიდანაც გამომდინარეობს დასათმობი მოთხოვნა.

<sup>125</sup> Palandt, დასახელებული ნაშრომი, იქვე

პოლონეთის სამოქალაქო კოდექსი ფორმის დაცვის მხრივ ადგენს მკაცრ პირობებს. ამ კოდექსის 522-ე მუხლის თანახმად:

„ვალის გადაკისრების შესახებ ხელშეკრულება ბათილობის სანქციით უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. ეს ეხება, აგრეთვე, ვალის გადაკისრებაზე კრედიტორის თანხმობას“.

ვალის გადაკისრების საგანს შეადგენს *ვალი (ვალები)*, რომელიც შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის, მათ შორის, ნატურალური ვალდებულებებიდან გამომდინარე ვალი და ვალები, რომელთა თაობაზეც მიმდინარეობს სასამართლო პროცესი<sup>126</sup>. დასაშვებია მომავალი ვალების გადაკისრება. ამ შემთხვევაში ვალი გადაცემულად ჩაითვლება (ცხადია, ამაზე კრედიტორის თანხმობის არსებობის შემთხვევაში) მხოლოდ ვალის წარმოშობის მომენტიდან ისე, რომ დამატებითი შეთანხმება საჭირო არ არის.

ვალის გადაკისრების სამართლებრივი ბუნების გარკვევისას აუცილებელია მისი სამოქალაქო სამართლის სხვა ინსტიტუტებისაგან გამოიჯანა.

გარკვეული მსგავსებების მიუხედავად, ვალის გადაკისრება განსხვავდება თავდებობისა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 891-ე მუხლი) და ხელშეკრულების დათმობისაგან. ამ უკანასკნელისაგან განსხვავება განხილულ იქნა ხელშეკრულების დათმობის თავში მისი ცნებისა და იურიდიული ბუნების განხილვისას. ამიტომ ამჯერად შევჩერდებით თავდებობაზე.

საერთო კუმულატიურ ვალის გადაკისრებასა და თავდებობის ერთ-ერთ სახეს – სოლიდარულ თავდებობას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლი) აქვს ის, რომ ორივე შემთხვევაში კრედიტორს უშუალო მოთხოვნის უფლება აქვს როგორც ახალი მოვალის, ისე თავდების მიმართ. თუმცა, დოგმატურად ამ სამართლებრივ ინსტიტუტებს შორის სხვაობა ძნელი დასადგენი არ არის: თავდები კისრულობს, თავდებად დადგეს სხვისი ვალისათვის, როდესაც კუმულატიური ვალის გადაკისრებით ახალი მოვალე ვალს კისრულობს როგორც თავის საკუთარს. თუმცა, ხშირ შემთხვევებში მხარეები ვერ აცნობიერებენ ამ სხვაობას; შესაბამისად, ნაკლებად თუ შეიძლება მათი განმარტებების სიტყვასიტყვითი გაგებიდან იმ დასკვნის გაკეთება: სახეზე არის ვალის გადაკისრება თუ თავდებობა. ამიტომ გერმანული სამართლის

<sup>126</sup> Palandt, დასახელებული ნაშრომი, იქვე

მეცნიერებაში შეიქმნა ე. წ. „ეკონომიკური სხვაობის კრიტერიუმი“. ამ კრიტერიუმის თანახმად, ვალის გადაკისრების წინაპირობაა ახალი მოვალის საკუთარი ეკონომიკური ინტერესი, როდესაც თავდებს ასეთი ინტერესი არა აქვს<sup>127</sup>. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ განსხვავებული მოთხოვნებია დადგენილი ამ გარიგებათა ფორმის მიმართაც.

ზემოთ ვალის გადაკისრების ცნება განხილულ იქნა გერმანული სამართლის სისტემის (რომელსაც მიეკუთვნება საქართველო) ქვეყნების კანონმდებლობისა და იურიდიული მეცნიერების საფუძველზე. ვალის გადაკისრების (და მისი მსგავსი გარიგებების) შინაარსი და სამართლებრივი კონსტრუქცია გარკვეულწილად განსხვავებულია რომანული სამართლის სისტემის ქვეყნების სამართალში. განვიხილოთ ვალის გადაკისრება და მისი მსგავსი გარიგებები ფრანგული და იტალიური სამართლის მაგალითზე.

ფრანგული სამოქალაქო სამართალი კვლავ რჩება რომის სამართლიდან დამკვიდრებული იმ პრინციპის მიმდევრად, რომ ვალდებულება მკაცრად პირადული კავშირია მოვალესა და კრედიტორს შორის და მოვალის მიერ ვალის გადაკისრება სხვა პირზე, როგორც წესი, დაუშვებელია. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მოვალის შეცვლის შესაძლებლობას ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში, მაგრამ ასეთი გარიგება ყოველთვის ნოვაციაა, რომელიც გულისხმობს ძველი ვალდებულების შეწყვეტას და მის ადგილას ახალი ვალდებულების წარმოშობას. ამ დროს არ ხდება ძველი ურთიერთობის შენარჩუნება. ამასთან, ნოვაციით წყდება ძველი ვალდებულების უზრუნველყოფი ყველა აქცესორული უფლება – გირავნობა, თავდებობა<sup>128</sup>.

<sup>127</sup> Dieter Medicus - Schuldrecht I, Allgemeiner Teil, 14., neubearbeitete Auflage, Verlag C. H. Beck, München, 2003, გვ. 401

<sup>128</sup> სამოქალაქო კოდექსის 1271-ე მუხლის თანახმად:

“ნოვაცია ხორციელდება სამი გზით:

- 1) თუ მოვალე კრედიტორთან დებს ხელშეკრულებას, რომლითაც დგინდება ახალი ვალი, რომელიც ცვლის წინა ვალს, ამასთან ეს უკანასკნელი წყდება;
- 2) თუ ახალი მოვალე იკავებს ძველი მოვალის ადგილს და ეს უკანასკნელი კრედიტორის მიერ თავისუფლდება თავისი ვალისაგან;

თუ ახალი ვალდებულების ძალით ახალი კრედიტორი იკავებს ძველი კრედიტორის ადგილს, ამასთან მოვალე თავისუფლდება თავისი ვალდებულებისაგან ამ უკანასკნელის წინაშე”.

ვალის გადაკისრების (გადაცემის) სამართლებრივ შედეგს არ ახდენს, აგრეთვე, ე. წ. დელეგაცია, ე. ი. მოვალის მიერ კრედიტორისათვის სხვა პირის წარდგენა, რომელიც ამ უკანასკნელის წინაშე იღებს პასუხისმგებლობას (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1275-ე მუხლი). დელეგაცია ორგვარია: არასრული და სრული.

არასრული დელეგაციის დროს ძირითადი მოვალე რჩება კრედიტორის წინაშე პასუხისმგებელი, თუ კრედიტორი პირდაპირ არ ათავისუფლებს დელეგანტს (ძირითადი მოვალე) თავისი ვალდებულებისაგან. ამ შემთხვევაში კრედიტორს ეყოლება ერთდროულად ორი მოვალე. თუ კრედიტორი მიიღებს სხვა პირს და გაათავისუფლებს ძირითად მოვალეს (სრული დელეგაცია), ასეთ გარიგებას ექნება არა ვალის გადაკისრების, არამედ ნოვაციის სამართლებრივი შედეგი<sup>129</sup>.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი ვალის გადაცემას ითვალისწინებს უნივერსალური სამართალმემკვიდრეობის დროს; მოვალის გარდაცვალების შემთხვევაში მისი ვალები გადადის მემკვიდრეებზე. არ გადადის ის ვალები, რომლებიც განუყოფელია მოვალის პიროვნებისაგან<sup>130</sup>.

სინგულარულ სამართალმემკვიდრეობას, ე. ი. მემკვიდრეობას ცალკეულ ვალდებულებებში ცოცხალ პირთა შორის გარიგების საფუძველზე, ფრანგული სამართალი, როგორც უკვე ვთქვით, არ იცნობს. მხოლოდ გამონაკლისის სახით ფრანგული სამართალი უშვებს ასეთს შემდეგ შემთხვევებში:

- საქირავნო ურთიერთობაში დამქირავებლის მიერ გაქირავებული ნივთის გაყიდვის შემთხვევაში ახალი მესაკუთრე ხდება მისი წინამორბედის მიერ დადებული ხელშეკრულების მონაწილე და ის ვალდებულებები, რომლებიც ამ უკანასკნელს ეკისრებოდა

<sup>129</sup> საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1276-ე მუხლში ნათქვამია:

“კრედიტორს, რომელმაც პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლა დელეგაციის განმახორციელებელი მოვალე, არა აქვს უფლება წარუდგინოს მოთხოვნა ამ მოვალეს, თუ პირი, რომელზეც მოხდა დელეგაცია, გადახდისუუნარო გახდა; გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას აქტი პირდაპირ ითვალისწინებს ან როდესაც პირი, რომელზეც მოხდა დელეგირება, უკვე იყო გამოცხადებული გადახდისუუნაროდ ან დელეგაციის მომენტისათვის უკვე იყო გაკოტრებული”.

<sup>130</sup> იხ. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 870-ე მუხლი



ხელშეკრულებით, – გადადის მასზე (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1743-ე მუხლი).

- საერთო კედლის თანამესაკუთრეთა ან სერვიტუტით დაკავშირებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა შორის არსებული ვალდებულებები გადადის იმ სანივთო უფლებასთან ერთად, რომელთანაც ეს ვალდებულებები არის დაკავშირებული<sup>131</sup>.

იტალიის სამოქალაქო კოდექსი ვალდებულების პასიური ნაწილის შეცვლის სამ გარიგებას იცნობს:

1. დელეგაცია;
2. ექსპრომისია;
3. ვალის კისრება.

*დელეგაცია* ორგვარია:

- ა) კუმულატიური დელეგაცია და
- ბ) გადახდის დელეგაცია.

კუმულატიური დელეგაცია გულისხმობს მოვალის მიერ კრედიტორისათვის ახალი მოვალის წარდგენას, რომელიც კრედიტორის წინაშე კისრულობს ვალდებულებას. ორივე პირი – ძველი და ახალი მოვალეები – პასუხისმგებელია კრედიტორის წინაშე; ძველი მოვალე, ჩვეულებრივ, არ თავისუფლდება თავისი ვალდებულებისაგან გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კრედიტორი პირდაპირ აცხადებს, რომ იგი ათავისუფლებს მას (იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1268-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

კუმულატიური დელეგაციისაგან განსხვავდება გადახდის დელეგირება, რომელიც ნიშნავს მოვალის შეთანხმებას მესამე პირთან გადახდის განხორციელების თაობაზე. ასეთ მესამე პირს (დელეგატარს) შეუძლია თვითონ იკისროს ვალდებულება კრედიტორის წინაშე, თუმცა იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მოვალე ამას კრძალავს (იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1269-ე მუხლი).

დელეგაციის გაუქმების შემთხვევები მოცემულია 1270-ე მუხლში: “გადამკისრებელს შეუძლია გააუქმოს დელეგაცია იმ დრომდე, როდესაც მიმდებმა იკისრა ვალდებულება კრედიტორის წინაშე ან განახორციელა მის

<sup>131</sup> Ж. де ла Морандьер, დასახელებული ნაშრომი, გვ. 611

წინაშე გადახდა. მიმღებს შეუძლია იკისროს ვალდებულება ან განახორციელოს კრედიტორის წინაშე გადახდა გადამკისრებლის სიკვდილის ან ქმედუნაროდ გახდომის შემდეგაც”.

დელეგაციის შედეგად დელეგატარს არ შეუძლია კრედიტორს წაუყენოს ის დაცვის საშუალებები, რომლებიც დაკავშირებულია დელეგანტსა და კრედიტორს შორის ურთიერთობაზე. მაგ., მას არ შეუძლია გაქვითოს კრედიტორის მოთხოვნა თავისი საწინააღმდეგო მოთხოვნით (შესაგებლით). თუმცა, ეს წესი დისპოზიციურია და შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით<sup>132</sup>. დელეგატარი უფლებამოსილია წამოაყენოს მხოლოდ ის შესაგებელი, რომელიც გამომდინარეობს კრედიტორთან მისი ურთიერთობიდან. ასევე, თუ მხარეთა მიერ სხვა რაიმე არ არის შეთანხმებული, დელეგატარს არ შეუძლია წამოაყენოს კრედიტორის მიმართ ისეთი დაცვის საშუალებები, რომლებიც მას შეეძლო წაეყენებინა მოვალის მიმართ.

#### *ექსპრომისია.*

ექსპრომისიის დროს მესამე პირი ვალდებულებას კისრულობს კრედიტორის წინაშე მოვალის მიერ დელეგაციის განხორციელების გარეშე. ამ შემთხვევაში იგი მოვალესთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს კრედიტორის წინაშე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კრედიტორი ათავისუფლებს მოვალეს<sup>133</sup>.

ექსპრომისია განსხვავდება დელეგაციისაგან იმით, რომ ამ გარიგებაში არ მონაწილეობს მოვალე, რომლის მიერ ხდება მესამე პირის კრედიტორისათვის წარდგენა, არამედ ამ დროს მესამე პირი მოქმედებს თავისი ინიციატივით და თვითონ კისრულობს ვალდებულებას კრედიტორის წინაშე. კრედიტორს არჩევანი აქვს ან გაათავისუფლოს ძირითადი მოვალე ან დატოვოს იგი სოლიდარულად პასუხისმგებელი ახალ მოვალესთან ერთად.

იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1272-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, “თუ სხვა რაიმე არ არის შეთანხმებული, მესამე პირს არ შეუძლია წამოაყენოს კრედიტორის მიმართ დაცვის საშუალებები, რომლებიც გამომდინარეობს მესამე

<sup>132</sup> იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1271-ე მუხლის მე-3 ნაწილი, ვუთითებ the Italian Civil Code, 1969

<sup>133</sup> იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1272-ე მუხლი, ვუთითებ ვუთითებ the Italian Civil Code, 1969

პირის თავდაპირველ მოვალესთან ურთიერთობებიდან”. ამ ნორმით კანონი იცავს კრედიტორის ინტერესებს სხვა პირთა შეთანხმების შედეგად წარმოშობილი უარყოფითი შედეგებისაგან. ეს ნორმა იმ პრინციპის გამომხატველია, რომლის მიხედვით განსაზღვრულ პირთა შორის არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულება არ შეიძლება ბოჭავდეს მესამე პირს.

ამავე დროს, კანონი ახალ მოვალეს საშუალებას აძლევს დაიცვას მოთხოვნისაგან მხოლოდ იმ საშუალებებით, რომლებიც თავდაპირველ მოვალეს შეეძლო წაეყენებინა თავდაპირველი კრედიტორის მიმართ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი დაცვის საშუალებები განუყოფელია თავდაპირველი მოვალის პიროვნებისაგან ან გამომდინარეობს იმ მოქმედებებიდან, რომლებიც განხორციელდა ექსპრომიის შემდეგ. მესამე პირს არ შეუძლია კრედიტორის მიმართ განახორციელოს გაქვითვა, რომლის გამოყენება შეეძლო თავდაპირველ მოვალეს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ასეთი გაქვითვა მოხდა ექსპრომიის განხორციელებამდე<sup>134</sup>.

#### *ვალის კისრება.*

ვალის კისრების თაობაზე შეიძლება შეთანხმდნენ მოვალე და მესამე პირი. ამ შეთანხმებას შეიძლება შეუერთდეს კრედიტორი, რომლის თანხმობის გარეშეც ეს შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონე იქნება. მაგრამ თუ კრედიტორი შეუერთდება მოვალესა და მესამე პირს შორის დადებულ ამ შეთანხმებას, შემოერთების მომენტიდან თანხმობის უკან წაღება დაუშვებელია<sup>135</sup>.

ვალის კისრებისას ძველი მოვალე სოლიდარულად პასუხისმგებელი რჩება ახალ მოვალესთან ერთად. მაგრამ იგი შეიძლება გაათავისუფლდეს ვალდებულებისაგან ორ შემთხვევაში:

- ა) თუ მისი გაათავისუფლება წარმოადგენს ვალის კისრების შესახებ შეთანხმების პირდაპირ გათვალისწინებულ პირობას; და
- ბ) თუ კრედიტორი უშუალოდ ათავისუფლებს მას ვალდებულებისაგან. (იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1273-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

<sup>134</sup> იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1272-ე მუხლის მე-3 ნაწილი, ვუთითებ the Italian Civil Code, 1969

<sup>135</sup> იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1273-ე მუხლის I ნაწილი, ვუთითებ the Italian Civil Code, 1969

ახალი მოვალის პასუხისმგებლობის ფარგლები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 1273-ე მუხლის მე-4 ნაწილში:

“ყველა შემთხვევაში მესამე პირი ვალდებულია მიერთებული კრედიტორის წინაშე იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მან მიიღო ვალი და მას შეუძლია კრედიტორის წინააღმდეგ წამოაყენოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართლებრივი დაცვის ის საშუალებები, რომელთა საფუძველზეც მოხდა ვალის კისრება”.

ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორმა გაათავისუფლა თავდაპირველი მოვალე ვალდებულებისაგან, უზრუნველყოფის ყველა საშუალება, რომელიც დაკავშირებულია მოთხოვნასთან, წყდება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უზრუნველყოფის შემთავაზებელი პირი სპეციალურად თანხმდება მათ გაგრძელებაზე (იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1275-ე მუხლი).

კანონი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც ვალის გადაკისრებისა და ძველი მოვალის პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლების შემდეგ ახალი მოვალის მიერ კრედიტორის მიმართ აღებული ვალდებულება თავიდანვე ბათილი იყო ან შემდგომში იქნება ცნობილი ბათილად. ასეთ შემთხვევაში ძველი მოვალის ვალდებულება აღდგება, მაგრამ კრედიტორი თავის სასარგებლოდ ვეღარ გამოიყენებს მესამე პირების მიერ შეთავაზებულ უზრუნველყოფის საშუალებებს (იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1276-ე მუხლი).

ვალის გადაკისრების ორიგინალური და საინტერესო ინსტიტუტი არსებობს კალიფორნიის შტატის სამართალში. მასში დადგენილია ვალდებულებათა ის წრე, რომელიც მიჰყვება მიწის ნაკვეთს ამ უკანასკნელის გასხვისებასთან ერთად.

კალიფორნიის სამოქალაქო კოდექსით ვალდებულება, მისი ტვირთი შეიძლება გადაცემულ იქნეს არა მარტო როგორც გარიგების (ხელშეკრულების) ძირითადი ობიექტი, არამედ იგი შეიძლება მხარეთა მიერ დადებული ხელშეკრულებით სხვა ობიექტთან ერთად გადავიდეს. კერძოდ, მხარეებს მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულებაში (ან საკუთრების უფლების გადამცემ სხვა გარიგებაში) შეუძლიათ მიუთითონ იმ ვალდებულებებზე, რომლებიც იქცევა ამ მიწის ნაკვეთის საკუთვნებლად და იზიარებს მის ბედს: ამ

უკანასკნელის გადაცემის შემთხვევაში მიჰყვება მას. მიწის ნაკვეთის გადაცემის შემდეგ ეს ვალდებულებები იგივე ძალით როგორც გადაცემამდე ავალდებულებს მოვალის უფლებამონაცვლეს და უფლებამოსილებას ანიჭებს კრედიტორის უფლებამონაცვლეს ისე, თითქოს ისინი პირადად ყოფილიყვნენ შეთანხმებულნი. ასეთ ვალდებულებებს კალიფორნიის სამოქალაქო კოდექსი უწოდებს ვალდებულებებს, რომლებიც მიჰყვება მიწის ნაკვეთს (§1460).

იმისათვის, რომ ვალდებულება მიჰყვეს მიწის ნაკვეთს, კანონი ითვალისწინებს შემდეგი ორი ძირითადი პირობის არსებობას:

1. ვალდებულება გათვალისწინებულ უნდა იყოს სამოქალაქო კოდექსის ტიტულში „ვალდებულებათა გადაცემის შესახებ“ (§1461);
2. იგი პირდაპირ გათვალისწინებული უნდა იყოს უძრავი ქონების გადაცემის აქტში (grant) (§1462).

სამოქალაქო კოდექსი ასახელებს შემდეგი სახის ვალდებულებებს:

- ა) ვალდებულება, რომელიც ქონებას ან მის რომელიმე ნაწილს უქმნის სარგებელს (§1462);
- ბ) გამსხვისებლის მხრიდან გარანტიის ვალდებულება (§1463);
- გ) გამსხვისებლის მხრიდან, აგრეთვე, “მშვიდი სარგებლობის” (§1463);
- დ) ქონების მიმღების მხრიდან მიწის ნაკვეთზე ქირის გადასახადების ან მოსაკრებლების გადახდის ვალდებულებები.

კალიფორნიის სასამართლო პრაქტიკამ შექმნა მთელი რიგი პრეცედენტებისა იმ საკითხზე, თუ რა ჩაითვლება იმ ვალდებულებად, რომელიც მიჰყვება მიწის ნაკვეთს.

უპირველეს ყოვლისა, სასამართლო პრაქტიკა ამ ვალდებულებებისაგან მიჯნავს პირად (პერსონალურ) ვალდებულებებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია მოვალის პიროვნებასთან და წყდება ნივთის გადაცემისთანავე. ამ ვალდებულებებს, მაგალითად, მიეკუთვნება: სამისდღემშიო რჩენა უძრავი ქონების გადაცემის სანაცვლოდ (Teel v. Bank of Eureka (1941)). პირიქით, წყლის მიწოდების ვალდებულებები არ მიიჩნევა ვალდებულებებად, რომლებიც მიჰყვება მიწის ნაკვეთს (Fresno Land and Irrigation Co. v. Dunbar (1889)); ასევე წყლის მიმწოდებელი კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებთან დადებული შეთანხმებები ამ უკანასკნელთა კუთვნილი მიწის ნაკვეთებისათვის წყლის

მიწოდების შესახებ არ მიიჩნევა ამ კომპანიის კუთვნილი მიწის იმ ვალდებულებად, რომელიც მას მიჰყვება. შესაბამისად, კომპანია ვერ დაავალდებულებს ამ მიწის ნაკვეთების მომავალ მყიდველებს, მიიღონ მათი წინამორბედების მიერ დადებული შეთანხმების პირობები (Coulter v. Sausalito Bay Water Co. (1932)).

რა შემთხვევაში არის ვალდებულება, რომელიც მიჰყვება მიწის ნაკვეთს, სავალდებულო (მხოლოდ)?

იმისათვის, რომ ვალდებულება დაეკისროს პირს, ცხადია, მან უნდა შეიძინოს ქონებრივი სიკეთე, რომელიც ვლინდება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებაში. კანონი ვალდებულების დაკისრებას უშვებს მხოლოდ იმ პირზე, რომელმაც შეიძინა საკუთრების უფლება თუნდაც მოვალის ქონების რომელიმე ნაწილზე (კალიფორნიის სამოქალაქო კოდექსის §1465).

§1466, გარდა ამისა, განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც საერთოდ არ არიან პასუხისმგებელი ვალდებულებით ურთიერთობაში. კერძოდ, §§1466-1467 აღნიშნულია:

“უბრალოდ იმ საფუძველით, რომ შეძენილ საკუთრების უფლებაში შენარჩუნებულია მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული ვალდებულებები, რომლებიც მიჰყვება მას, – არავინ არის ვალდებული საკუთრების უფლების შეძენამდე დარღვეული შეთანხმებებისათვის, ან მას შემდეგ, რაც პირი გავიდა ვალდებულებიდან, ან შეწყვიტა მისი სარგებლის გამოყენება.

როდესაც რამდენიმე ტიტულის მფლობელი პირი მიწის ნაკვეთთან დაკავშირებულ ვალდებულებაში არის ვალდებული ან უფლებამოსილი სარგებელზე, – ეს ვალდებულება უნდა განაწილდეს მათ მფლობელობაში არსებული ქონების ღირებულების შესაბამისად, თუ ამ ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია და, თუ განსაზღვრა შეუძლებელია, – მათი კუთვნილი წილების შესაბამისად”.

**§2. ვალის გადაკისრების წინაპირობები და სამართლებრივი შედეგები. ვალის გადაკისრება ქონების გადაცემისას**

*ვალის გადაკისრების წინაპირობები.*

ვალის გადაკისრების წინაპირობების არსებობა დამოკიდებულია ვალის გადაკისრების ხელშეკრულების სახესა და სუბიექტურ შემადგენლობაზე.

თუ ვალის გადაკისრების ხელშეკრულება იდება კრედიტორსა და ახალ მოვალეს შორის, ამ ხელშეკრულების ნამდვილობა არ არის დამოკიდებული სხვა პირის, მათ შორის, ძველი მოვალის თანხმობაზე. თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ძველ მოვალეს შესაძლებლობას აძლევს, არ დაეთანხმოს კრედიტორსა და ახალ მოვალეს შორის დადებულ ხელშეკრულებას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლის მეორე ნაწილი). მას არ ერთმევა უფლება, თავად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე თავისუფალია ვალდებულებისაგან. ასეთი შესრულება სათანადოდ ჩაითვლება და ვალდებულება წყდება.

თუ პრივატული ვალის გადაკისრების ხელშეკრულება იდება ძველ და ახალ მოვალეებს შორის, ასეთი გარიგების სამართლებრივი ძალა მერყევ მდგომარეობაშია და დამოკიდებულია კრედიტორის თანხმობაზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 204-ე მუხლი). ვალის გადაკისრების ამ სახის კრედიტორის თანხმობაზე დამოკიდებულება განპირობებულია კანონის მიერ ამ უკანასკნელის ინტერესების დაცვით. თუ მოთხოვნის დათმობის ნამდვილობისათვის მოვალის თანხმობას კანონი არ ითხოვს იმ მოსაზრებით, რომ მოვალისათვის, როგორც წესი, მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვის მიმართ შეასრულებს ვალდებულებას, – ვალის გადაკისრების დროს კრედიტორი დაინტერესებულია მოვალის ბონიტეტით; კრედიტორი მოვალესთან ამყარებს ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას სწორედ იმის გამო, რომ სჯერა მისი გადახდისუნარიანობის. ამ უკანასკნელის მხრიდან იმის შესაძლებლობა, რომ შეცვალოს თავისი თავი სხვა პირით კრედიტორის თანხმობის გარეშე, ამ რწმენას აცლის ყოველგვარ საფუძველს<sup>136</sup>.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოვიყვანო მაგალითს ქართული სასამართლო პრაქტიკიდან, როდესაც სასამართლომ კრედიტორის თანხმობის

---

<sup>136</sup> Г. Ф. Шершеневич - Курс гражданского права, «Автограф», Тула, 2001, გვ. 377

გარეშე მესამე პირსა და მოვალეს შორის დადებული შეთანხმება ვალის გადაკისრების შესახებ სამართლებრივი ძალის არმქონედ მიიჩნია. კერძოდ:

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ 1999 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ნ. გ-ძის სარჩელი, რომელიც მოითხოვდა კ/ბ "გამაბანკსა" და მის ფილიალ "მინაგობანკს" მის სასარგებლოდ დაკისრებოდნათ საკონვერტაციოდ შეტანილი 9.000 ლარისა და მიყენებული ზიანის – 2.500 ლარის, სულ – 11.500 ლარის ანაზღაურება.

ქ. თბილისის საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა კ/ბ "გამაბანკის" სააპელაციო საჩივარი, რომელშიც აპელანტი მიუთითებდა, რომ კ/ბ "გამაბანკი" არ წარმოადგენდა სათანადო მოპასუხეს, რადგან მან მისი ფილიალი "მინაგობანკი" თავისი აქტივ-პასივებით გადასცა სს "საინვესტიციო სავაჭრო ბანკს" და სათანადო მხარესაც ეს უკანასკნელი წარმოადგენდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ ნ. გ-ძემ კ/ბ "გამაბანკის" ფილიალ "მინაგოში" 1998წ. 28 ოქტომბერს საკონვერტაციოდ შეიტანა 9.000 ლარი. კონვერტირებული თანხა ბანკს უნდა დაებრუნებინა 3 დღის ვადაში, რაც მან არ შეასრულა. სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 204-ე მუხლის შესაბამისად, თუ ვალის გადაკისრების შესახებ შეთანხმდებიან მესამე პირი და მოვალე, მაშინ გადაკისრების ნამდვილობა დამოკიდებულია მოთხოვნის მფლობელის თანხმობაზე. თუ კრედიტორი თანახმა არ არის მოვალის მიერ მესამე პირისათვის ვალის გადაკისრებაზე, მაშინ მესამე პირისა და მოვალის შეთანხმება ვალის გადაკისრების შესახებ სამართლებრივი ძალის არმქონეა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ კ/ბ "გამაბანკის" ვალის სხვა პირზე გადაკისრება კრედიტორის თანხმობის გარეშე უკანონოდ მიიჩნია.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2001 წლის 2 მარტის განჩინებით აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა<sup>137</sup>.

კრედიტორის თანხმობა შეიძლება განხორციელდეს როგორც წინასწარ, ისე შემდგომში (მოწონება). ამასთან მისი განცხადება ნებისმიერი ფორმით შესაძლებელია როგორც ძველი, ისე ახალი მოვალისათვის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილი). თუ კრედიტორი უარს

<sup>137</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი" №3 2001, ნაწილი 1



იტყვის თანხმობის მიცემაზე ან საერთოდ არაფერს განაცხადებს, მაშინ ძველ მოვალესა და მესამე პირს შორის დადებული შეთანხმება ბათილია.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §415 დამატებით ითვალისწინებს შესაძლებლობას, ძველმა მოვალემ და მესამე პირმა მოსთხოვონ კრედიტორს, რომ ამ უკანასკნელმა თავისი თანხმობის შესახებ განაცხადოს გარკვეული ვადის განმავლობაში, რათა მათი შეთანხმების მერყევი მდგომარეობა არ გაგრძელდეს უსასრულოდ. ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში, თუ მითითებული ვადის გასვლამდე კრედიტორი არ განაცხადებს თანხმობას, კანონისმიერი პრეზუმფციით დუმილი ჩაითვლება თანხმობის მიცემაზე უარის თქმად.

გერმანული სამართლის მეცნიერებაში სადავოა ძველ და ახალ მოვალეებს შორის დადებული ვადის გადაკისრების ხელშეკრულების სამართლებრივი შეფასება. ამასთან დაკავშირებით არსებობს ორი თეორია:

- ა) განკარგვითი თეორია; და
- ბ) ოფერტის ან სახელშეკრულებო თეორია<sup>138</sup>.

განკარგვითი თეორია ძველ და ახალ მოვალეებს შორის დადებული ვადის გადაკისრების ხელშეკრულებას განიხილავს როგორც არაუფლებამოსილი პირების მიერ კრედიტორის კუთვნილი მოთხოვნის განკარგვას. ამ განკარგვით გარიგებას იწონებს სწორედ კრედიტორი როგორც უფლებამოსილი პირი. განკარგვითი თეორია გაბატონებულ თეორიას წარმოადგენს როგორც გერმანულ სამართლის მეცნიერებაში, ისე სასამართლო პრაქტიკაში<sup>139</sup>. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ძველსა და ახალ მოვალეებს შორის მყარდება ასევე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა და მათ შორის დადებული ხელშეკრულება ორმაგი ბუნებისაა.

ოფერტის ან სახელშეკრულებო თეორია, პირიქით, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §415 პირველი ნაწილის მიხედვით, კრედიტორისათვის შეტყობინებას განიხილავს ოფერტად, რომელსაც ეს უკანასკნელი აქცეპტით იღებს. შევიცარის სამართალში, როგორც ჩანს, შევიცარის ვალდებულებითი კანონის

<sup>138</sup> Herberger/Martinek/Rüßmann/Weth დასახელებული ნაშრომი, გვ. 1574

<sup>139</sup> Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვ. 395

„§ 414 Vertrag zwischen Gläubiger und Übernehmer

Eine Schuld kann von einem Dritten durch Vertrag mit dem Gläubiger in der Weise übernommen werden, dass der Dritte an die Stelle des bisherigen Schuldners tritt“.

არსიდან და ტერმინოლოგიიდან, აღიარებულია ოფერტის ან სახელშეკრულებო თეორია. მოკლედ მიმოვიხილათ შვეიცარიის ვალდებულებითი კანონში აღწერილ კრედიტორის თანხმობის (აქცეპტის) მიღების პროცედურას.

ახალი მოვალის ოფერტი ვალის მიღებაზე შეიძლება ისე განხორციელდეს, რომ მან, ან მისი რწმუნებით ძველმა მოვალემ, შეატყობინოს კრედიტორს ვალის გადაკისრების შესახებ. კრედიტორის აქცეპტი შეიძლება პირდაპირ განხორციელდეს ან გამომდინარეობდეს გარემოებებიდან და იგი ივარაუდება, როდესაც კრედიტორი ვალის მიმღებისაგან გადახდას ან სხვა შესრულებას უპირობოდ იღებს (ვალდებულებითი კანონის 176-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები).

კრედიტორის მიერ აქცეპტი შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ დროს. თუმცა, ვალის მიმღებს ისევე როგორც ძველ მოვალეს შეუძლიათ კრედიტორს დაუდგინონ აქცეპტის ვადა, რომლის გასვლის შემდეგ კრედიტორის დუმილი ჩაითვლება აქცეპტზე უარად (ვალდებულებითი კანონის 177-ე მუხლი).

#### *ვალის გადაკისრების სამართლებრივი შედეგები.*

პრივატული ვალის გადაკისრების შედეგად ახალი მოვალე იკავებს ძველი მოვალის ადგილს ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში. ვალის გადაკისრების დროს კრედიტორის მოთხოვნა არ იცვლება. ამიტომ მოვალეს შეუძლია კრედიტორს წაუყენოს ყველა ის შესაგებელი, რომლებიც კრედიტორსა და ძველ მოვალეს შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 205-ე მუხლი). შესაგებლის ცნება ფართო მნიშვნელობით უნდა იქნეს გაგებული. იგი მოიცავს ყველანაირ მატერიალურ და პროცესუალურ სამართლებრივი დაცვის საშუალებას, რომელიც მიმართულია კრედიტორის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ. ახალ მოვალეს შეუძლია, აგრეთვე, მოიყვანოს საფუძვლები, რომლებიც იწვევს ვალის გადაკისრების ბათილობას. ამასთან, თუ მოხდა ვალის გადაკისრების გაბათილება, მოვალის შეცვლას აღარ ექნება ადგილი ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში<sup>140</sup>.

<sup>140</sup> Palandt, დასახელებული ნაშრომი, გვ. 589

რომელი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენება არ შეუძლია ახალ მოვალეს კრედიტორის მოთხოვნის წინააღმდეგ?

1. ახალ მოვალეს არ შეუძლია წამოაყენოს შესაგებელი მასსა და ძველ მოვალეს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, რომელიც საფუძვლად უდევს ვალის გადაკისრებას. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს ვალის გადაკისრების აბსტრაქტული ბუნებიდან. ძველ და ახალ მოვალეებს შორის დამყარებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ნაკლი არ მოქმედებს თავად ვალის გადაკისრების განკარგვით სამართლებრივ შედეგზე და, შესაბამისად, არც შესაგებელი ეხება კრედიტორს, რომელიც ამ გარიგებაში არ მონაწილეობს მხარედ. თუმცა, შესაძლებელია, რომ ის ნაკლი, რომელიც აბათილებს კაუზალურ გარიგებას (ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას), იწვევდეს, აგრეთვე, ვალის გადაკისრების განკარგვითი სამართლებრივი შედეგის ბათილობასაც.
2. ახალ მოვალეს უფლება არა აქვს, გაქვითვისათვის წარადგინოს ის მოთხოვნები, რომლებიც ეკუთვნოდა ძველ მოვალეს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 წინადადება). კანონის ასეთი გადაწყვეტა მოტივირებულია იმ პოზიციით, რომ ვალის გადაკისრებისა და ახალი მოვალის მიერ ძველი მოვალის ადგილის დაკავების შემდეგ, ახალ მოვალეს არ უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ნაკისრი ვალი დაფაროს სხვისი ქონებით<sup>141</sup>.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 წინადადებით განსაზღვრული წესი არ ეხება იმ ახალ მოვალეს, რომელიც ვალს კისრულობს კრედიტორთან დადებული ვალის გადაკისრების ხელშეკრულებით. ისევე როგორც სხვა შესაგებელი, ახალმა მოვალემ შეიძლება გაქვითოს კრედიტორის კუთვნილი მოთხოვნა თავისი საწინააღმდეგო მოთხოვნით.

კუმულატიური ვალის გადაკისრების შედეგად ძველი მოვალე არ თავისუფლდება თავისი ვალდებულებისაგან. ახალი მოვალე ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში შემოდის თანამოვალის სახით და შედეგად კრედიტორს ჰყავს არა ერთი, არამედ ერთდროულად ორი მოვალე. მოვალეები

<sup>141</sup> Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვ. 397

სოლიდარულად აგებენ პასუხს კრედიტორის წინაშე. კრედიტორს შეუძლია ვალდებულების შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მათგანს როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 465-ე მუხლი). ახალ მოვალესაც შეუძლია წაუყენოს კრედიტორს ამ უკანასკნელსა და მოვალეს შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ყველა შესაგებელი, რომელიც აქვს მოვალეს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 466-ე მუხლი).

თუ კრედიტორის მოთხოვნა უზრუნველყოფილია აქცესორული უფლებებით, სამართლებრივად გადასაწყვეტი ხდება ამ უფლებების ბედი პრივატული ვალის გადაკისრების შემთხვევაში.

2002 წლის 28 დეკემბრამდე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 206-ე მუხლის რედაქცია შეცდომით იყო ჩამოყალიბებული. კერძოდ, მასში დაშვებული იყო მექანიკური გრამატიკული შეცდომა, რომელიც შედეგი იყო არასწორი თარგმანისა<sup>142</sup>. 2002 წლის 28 დეკემბრის კანონით საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებებითა და დამატებებით 206-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი შესწორებული რედაქციით:

“ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუკი თავდები ან დამგირავებელი არ განაცხადებს თანხმობას ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე”.

